



European  
Commission



**გზამკვლევი:**

**ნატურა 2000-ის ქსელის მოთხოვნების  
გათვალისწინება ჰიდროენერგეტიკაში**

გაქმოს დაცვა

**აღნიშნული გზამკვლევი შეეხება ევროკავშირის გარემოსდაცვით  
კანონმდებლობასთან მიმართებით ჰიდროენერგეტიკის სფეროში  
არსებულ მოთხოვნებს**

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ევროკომისიის შეხედულებებს და მისი  
შესრულება არ არის სავალდებულო.

ევროკომისია, 2018 წ

ამ პუბლიკაციის რეპროდუქცია ნებადართულია წყაროს მითითების პირობით.

პუბლიკაცია მომზადდა N2K GROUP EEIG - Ecosystems LTD, Brussels and Beleco,  
ჩეხეთის დახმარებით.

ფოტო გარეკანზე: Ain, Auvergne-Rhône-Alpes, Bugey, Built Structure, Europe.



გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო



შვედეთი  
Sverige



გზამკვლევის ქართული რეპროდუქცია მომზადდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის ერთობლივი პროგრამის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში.

პუბლიკაცია მომზადებულია სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის“ მიერ.

**თარგმანი ინგლისურიდან:** ირაკლი შავგულიძე, კახა არცივაძე.

**სახელმძღვანელოს ქართული ვერსიის რედაქტირება:** ხათუნა შავგულიძე

**სახელმძღვანელოს ქართული ვერსიის რედაქტირება-ადაპტაცია და დამატებითი**

**განმარტებები:** კახა არცივაძე, ირაკლი შავგულიძე.

# შინაარსი

ქართული გამოცემის შესახებ.....	6
სახელმძღვანელოს ქართული გამოცემის შესავალი.....	8
დოკუმენტის მიზანი.....	23
<b>1 ევროკავშირის პოლიტიკის და კანონმდებლობის ჩარჩო.....</b>	<b>26</b>
1.1 ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივები.....	26
1.2 კოორდინაცია წყლის ჩარჩო დირექტივას და ბიომრავალფეროვნების დირექტივებს შორის.....	31
1.3 წყალდიდობების დირექტივა.....	37
1.4 სგშ -ს და გზშ -ს დირექტივები.....	37
1.5 ურთიერთდამოკიდებულება სგშ-ს, გზშ-ს და ჰაბიტატების დირექტივის 6.3 მუხლს შორის.....	39
<b>2 მტკნარი წყლის ეკოსისტემები და ჰიდროენერგეტიკა ევროკავშირში.....</b>	<b>42</b>
2.1 ევროკავშირის მდინარეებისა და ტბების ეკოლოგიური სტატუსი.....	42
2.2 ევროპის მტკნარი წყლის ეკოსისტემებზე მოქმედი ზეწოლა და საფრთხეები .....	44
2.3 ჰიდროენერგეტიკის ზეგავლენა მტკნარი წყლის ეკოსისტემებზე.....	48
2.4 კუმულაციური ეფექტები.....	57
2.5 მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ზეგავლენა.....	60
<b>3 ზემოქმედების შერბილების და ჰიდროენერგეტიკაში ეკოლოგიური აღდგენის ღონისძიებების გამოყენების კარგი პრაქტიკის მაგალითები.</b>	<b>66</b>
3.1 მდინარეების საუკეთესო ეკოლოგიური მდგომარეობის მიღწევა ჰიდროენერგეტიკის კონტექსტში.....	66
3.2 უარყოფითი ზეგავლენის მქონე ჰიდროელექტროსადგურები ნატურა 2000-ის საიტებზე.....	67
3.3 ეკოლოგიური შემარბილებელი და აღდგენითი ღონისძიებები.....	68
3.4 შერბილების და/ან ეკოლოგიური აღდგენის კარგი პრაქტიკის მაგალითები.....	77
<b>4 ჰიდროენერგეტიკაში ინტეგრირებული დაგეგმვის მიდგომის გამოყენების სანიმუშო პრაქტიკები.....</b>	<b>92</b>
4.1 ინტეგრირებული დაგეგმვის უპირატესობები.....	92
4.2 ინტეგრირებული ეროვნული ან რეგიონული ჰიდროენერგეტიკული გეგმები.....	98
4.3 ველური ბუნების სენსიტიურობის რუკები და ზონირება.....	100
4.4 წინასწარი კონსულტაციები.....	103
<b>5 შეფასების პროცედურა ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით.....</b>	<b>106</b>
5.1 შესავალი.....	106
5.2 როდის არის აუცილებელი მე-6 მუხლით გათვალისწინებული	

	პროცედურის გამოყენება?.....	107
5.3	ეტაპობრივი პროცედურა.....	109
5.3.2	შესაბამისობის შეფასება.....	114
5.4	გამონაკლისი მე-6(4) მუხლის ქვეშ.....	131

## ქართული გამოცემის შესახებ

სახელმძღვანელო გამოიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის, „გადავარჩინოთ ბუნება“ ფარგლებში.

წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის და სხვა დაინტერესებული სექტორების (სატყეო სექტორი და სხვ.) პასუხისმგებელ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია ევროპის კავშირის ველური ბუნების დაცვის კანონმდებლობისა და მათი გამოყენების ძირითადი ასპექტების შესახებ. ეს რეგულაციები ქმნის ერთობლივ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც კავშირის ყველა წევრი ქვეყანა და მათი პარტნიორები ერთობლივად მოქმედებენ ევროპის საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობისა და ჰაბიტატის დასაცავად.

სახელმძღვანელო შეეხება ევროპის კავშირის ბუნების დირექტივების (ფრინველების დირექტივა, ჰაბიტატების დირექტივა) გათვალისწინებულ, ველური ბუნების დაცვისკენ მიმართულ ძირითად პროცედურებს და წარმოგვიდგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, რომლებიც, ვფიქრობთ, ძალიან სასარგებლო იქნება ენერგეტიკისა და მომიჯნავე სფეროებში მომუშავე პროფესიონალებისთვის.

დოკუმენტში შემოთავაზებული მიდგომების გამოყენება ხელს შეუწყობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი პანევროპული ჰაბიტატებისა და სახეობების შენარჩუნებასა და აღდგენას ჩვენს ქვეყანაში; ასევე, დაგვეხმარება საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის ევროკავშირთან ინტეგრაციის მხრივ; დაეხმარება ამ სფეროს სპეციალისტებს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ ფარგლებში, საქართველოში 2023 წლიდან დაარსებული „ზურმუხტის ქსელის“ მართვის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, რადგან ამ ეკოლოგიური ქსელის მართვის პრინციპები სრულად იზიარებს ევროპის კავშირის ველური ბუნების დაცვის დირექტივების მოთხოვნებს.

გარდა ამისა, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში აუცილებელი ხდება ჰაბიტატის დირექტივით გათვალისწინებული ე. წ. „შესაბამისობის შეფასების“ პროცედურისა თუ სხვა მოთხოვნების დანერგვა და სრულფასოვანი ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში. ყოველივე ეს უდიდეს როლს თამაშობს ევროპის ყველაზე საფრთხის ქვეშ მყოფი და ღირებული სახეობისა და ჰაბიტატის დაცვის პროცესში.

გასათვალისწინებელია, რომ დაკვეთის შესაბამისად ითარგმნა და შეძლებისდაგვარად საქართველოს სიტუაციასთან ადაპტირდა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ევროკომისიამ გამოსცა 2017 წელს. შესაბამისად, იგი არ ასახავს ბოლო წლებში განვითარებულ პროცესებსა თუ განახლებულ რედაქციებს.

შეძლებისდაგვარად, ქართული ვერსიის მომზადებისას ტექსტს დაემატა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და განმარტებები ჩანართების სახით, რომელიც ქართველ მკითხველს დაეხმარება ნათლად გაიაზროს ევროპული რეგულაციები და პრაქტიკა საქართველოსთვის შესაბამის კონტექსტში.

# სახელმძღვანელოს ქართული გამოცემის შესავალი

ბიომრავალფეროვნების შემცირება უდიდეს გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად მრავალი ძალისხმევისა, დღემდე გრძელდება როგორც გენეტიკური, ისე სახეობრივი და ეკოსისტემური მრავალფეროვნების შემცირება და ბიომრავალფეროვნებაზე ადამიანის მხრიდან უარყოფითი ზემოქმედების დონე უმეტესად სტაბილურად მაღალი ან მზარდია. ექსპერტების აზრით, თუ არსებული ნეგატიური ტენდენციები არ შეიცვლება, ჩვენი საუკუნე ჰაბიტატების კარგვისა და სახეობათა გადაშენების არნახული მასშტაბების მომსწრე გახდება. ბიომრავალფეროვნების კარგვან ვეგეტაციის ეკოსისტემური სერვისების ფართო სპექტრის მნიშვნელოვან შემცირებას და იმ შემთხვევაში თუ პროცესი კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბებს, კაცობრიობა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. ამ არასახარბიელო სურათის თავიდან აცილება და უარყოფითი ტენდენციების შეჩერება მხოლოდ მრავალმხრივი და კომპლექსური ღონისძიებებითაა შესაძლებელი.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საერთაშორისო ძალისხმევის, მათ შორის ევროპის კავშირის მთავარი ამოცანაა ეფექტიანი და გადაუდებელი ღონისძიებების დასახვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკოსისტემების მდგრადობა და დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ყველა ფორმის შენარჩუნება, მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისების უწყვეტი მოწოდება, სიღარიბის აღმოფხვრა და ადამიანების კეთილდღეობა.

ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება სხვა საკითხებთან ერთად მიიჩნევა ევროკავშირის “ევროპა-2020 სტრატეგიის” მნიშვნელოვან ელემენტად, რომელიც აღიარებს, რომ ხმელეთის და საზღვაო ეკოსისტემები და მათ მიერ მოწოდებული ეკოსისტემური სერვისები ქმნის ეკონომიკისა და საზოგადოების არსებობის საფუძველს. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს გონივრული, ინკლუზიური და მდგრადი ზრდის პოლიტიკის წარმოებას, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს სტაბილურობას და ამ გზით ბუნებიდან მიღებული სოციალურ-ეკონომიკურ სარგებლის შენარჩუნებას.

ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 მიზნად ისახავს ევროპის დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენისკენ მიმართულ კომპლექსური და ამბიციური ნაბიჯების გადადგმას, რომელიც დროის ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი. მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ასეთი ტიპის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროკავშირის უსაფრთხოების ზრდას. ეს მოიცავს ბიომრავალფეროვნების შემცირებისკენ მიმართულ ქმედებებს ევროპის კავშირის მთელ ტერიტორიაზე, რაც ერთი მხრივ დაიცავს ბიომრავალფეროვნებას, გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ამავე დროს მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაში. ამ გზით ევროპის კავშირი ასევე გეგმავს შეიტანოს თავისი წვლილი „ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის“ ფარგლებში მიღებული შეთანხმების „კუნძინ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების

გლობალური ჩარჩოს“ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში.

ევროპის კავშირის ველური ბუნების დაცვის კანონმდებლობა ქმნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ფაქტორივ საფუძველს. რეგულაციები, რომლებიც ამ სფეროში მოქმედებენ ქმნის ერთობლივ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც კავშირის ყველა წევრი ქვეყანა და მათი პარტნიორები ერთობლივად მოქმედებენ ევროპის ყველა საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობისა და ჰაბიტატის დასაცავად.

## ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030

2010 წლის მარტში ევროკავშირის სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა შეიმუშავეს ამბიციური მიზანი, რომელიც მიმართული იყო ევროპის ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერებისა და უკვე დეგრადირებული ჰაბიტატების აღდგენისკენ. ამ მიზნის მისაღწევად 2011 წლის მაისში ევროპულმა კომისიამ მიიღო „ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია: 2020 (COM(2011) 244)“. აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს რესურსების ეფექტური და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობას, ასევე მწვანე ეკონომიკის და ტექნოლოგიების განვითარებას, საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ქვეყნის ქსელების დანერგვას, დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობას და სხვა. ამ მიდგომების ხარჯზე იგეგმება გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება, გარემოს დეგრადაციისა და ბიომრავალფეროვნების კარგვის თავიდან აცილება. რესურსების რაციონალური გამოყენება თავის მხრივ ხელს შეუწყობს ევროკავშირის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ევროპის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ლიდერობას ახალი მწვანე ტექნოლოგიების განვითარების პროცესში.

2020 წელს მიღებული იქნა ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030<sup>1</sup> (EU Biodiversity Strategy 2030), რომელიც წარმოადგენს ევროპის დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის კომპლექსურ და ამბიციურ სტრატეგიას და გეგმას. დოკუმენტი მოიცავს დროის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ, ევროპის ბიომრავალფეროვნების აღდგენის, ასევე მოსახლეობისა და კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებებსა და ვალდებულებების ჩამონათვალს. საფრთხეების შემცირების კუთხით სტრატეგია მიმართულია პოსტ კოვიდ-19 პერიოდში საზოგადოების მდგრადობის (მედეგობის resilience) გაზრდას ისეთი ფაქტორების მიმართ როგორც არის:

- კლიმატის ცვლილების ზეგავლენა;
- ტყის ხანძრები;
- სასურსათო უსაფრთხოება;
- დაავადებების აფეთქებები (მათ შორის ველური სახეობებიდან მომავალი პოტენციური დაავადებების გავრცელების საფრთხეები) და სხვა;
- კატასტროფების პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობები.

მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ასეთი ტიპის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროკავშირის უსაფრთხოების ზრდას. ეს მოიცავს როგორც ენერგოუსაფრთხოების, ასევე ენერგოდამოუკიდებლობის საკითხებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს ნამარხი ნახშირწყალბადების (ნახშირი, გაზი, ნავთობი) შექმნაზე განუვლი ხარჯების შემცირებას 60 მილიარდი ევროთი. რესურსების ეფექტური გამოყენების ზრდა, სხვა საკითხებთან ერთად,

1. [https://environment.ec.europa.eu/strategy/biodiversity-strategy-2030\\_en](https://environment.ec.europa.eu/strategy/biodiversity-strategy-2030_en)

გახდის ევროპის კავშირს ნაკლებად დამოკიდებულს უცხოურ ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე, ხოლო განახლებადი ენერგეტიკის განვითარება უზრუნველყოფს 600 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზრდება 0,8%-ით.

ამგვარად, ბიომრავალფეროვნების შემცირებისკენ მიმართული ქმედებები ევროპის კავშირს დაეხმარება ერთი მხრივ დაიცვას ბიომრავალფეროვნება, მეორე მხრივ გააძლიეროს კავშირის ეკონომიკური პოტენციალი და კონკურენტუნარიანობა, გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ მდგრადობა. ამ გზით ევროპის კავშირი ასევე გეგმავს შეიტანოს თავისი ნვლილი „ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის“ ფარგლებში მიღებული შეთანხმების „კუნძინ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს“ სტრატეგიული მიზნების<sup>2</sup> და ამოცანების, ასევე „ევროპის მწვანე შეთანხმების“<sup>3</sup> შესრულებაში, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს 2030 წლამდე მთელ მსოფლიოში.

## ევროპის კავშირის ველური ბუნების დაცვის დირექტივები

„ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ (2009/147/EC - ე. წ ფრინველების დირექტივა) და „დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატების და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ“ (ე. წ ჰაბიტატების დირექტივა #92/43/EEC), ქმნიან ევროპის კავშირის ველური ბუნების დაცვის საფუძველს. აღნიშნული ნორმატიული აქტები, რომლებსაც შემდგომში სიმარტივისთვის ევროპის ველური ბუნების დაცვის დირექტივებს ვუწოდებთ, ისეთ საკანონმდებლო აქტებთან ერთად როგორც არის „გარემოზე ზემოქმედების შესახებ დირექტივა“ და „წყლის ჩარჩო დირექტივა“ წარმოადგენენ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ბაზას, რომელსაც მთელი ევროპის მასშტაბით ეყრდნობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პოლიტიკა. აღნიშნული ნორმატიული აქტები, მიუხედავად პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული საზღვრებისა, უდიდეს როლს თამაშობს ევროპის ყველაზე საფრთხის ქვეშ მყოფი და ღირებული სახეობისა და ჰაბიტატის დაცვის პროცესში. აღნიშნული რეგულაციები ქმნის ერთობლივ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას საშუალებას აძლევს პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული საზღვრების მიუხედავად, ერთობლივად იმოქმედოს და დაიცვას ევროპის საფრთხის ქვეშ მყოფი ყველა სახეობა და ჰაბიტატი.

ორივე დირექტივის საერთო მიზანია მათ მიერ დაცული სახეობებისა და ჰაბიტატის ტიპების შენარჩუნება და აღდგენა ე. წ „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ მდგომარეობამდე ევროპის მასშტაბით მათი გავრცელების მთელ არეალზე. ეს მიზანი გულისხმობს პოზიტიური შედეგის მიღწევას და ორიენტირებულია იმ სახარბიელო

2. [https://environment.ec.europa.eu/topics/nature-and-biodiversity/global-biodiversity\\_en](https://environment.ec.europa.eu/topics/nature-and-biodiversity/global-biodiversity_en)  
3. <https://ec.europa.eu/stories/european-green-deal/>

კონსერვაციული სტატუსის მიღწევის აუცილებლობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას დროის ხანგრძლივ პერიოდში.

### სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი

„სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ კონცეფცია მოცემულია ჰაბიტატის დირექტივაში (მუხლი 1), რომლის მიხედვითაც „ბუნებრივი ჰაბიტატის კონსერვაციული სტატუსი განისაზღვრება, როგორც მოცემულ ჰაბიტატსა და მისთვის დამახასიათებელ ტიპურ სახეობებზე მოქმედი ზემოქმედებათა ერთობლიობა“. გრძელვადიან პესპექტივაში ასეთ ზემოქმედებას შეუძლია იქონიოს ზეგავლენა ამ ჰაბიტატის ბუნებრივ გავრცელებაზე, ასევე მის სტრუქტურაზე, ფუნქციებსა და დამახასიათებელ სახეობებზე.

რეალობაში ეს გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ჰაბიტატს გააჩნია საკმარისი ფართობი და ხარისხობრივი მახასიათებლები, ხოლო სახეობას - საკმარისი რიცხოვნობა იმისთვის, რომ ამჟამინდელი თუ მოსალოდნელი ზეწოლისა და საფრთხეების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იყოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში.

ბუნებრივი ჰაბიტატის კონსერვაციული სტატუსი მიიჩნევა სახარბიელოდ თუ:

- მისი ბუნებრივი არეალი სტაბილურია ან იზრდება;
- ადგილზეა და, სავარაუდოდ, დროის პროგნოზირებად პერიოდში შენარჩუნდება ჰაბიტატის ის სტრუქტურა და ფუნქციები, რაც აუცილებელია მისი გრძელვადიანი შენარჩუნებისთვის;
- ჰაბიტატისთვის დამახასიათებელი და მისი შემქმნელი ძირითადი სახეობების კონსერვაციული სტატუსი არის სახარბიელო.

სახეობის კონსერვაციული სტატუსი გულისხმობს ზემოქმედებათა იმ ერთობლიობას, რომელმაც გრძელვადიან პესპექტივაში შეიძლება გავლენა მოახდინოს მოცემული სახეობის გავრცელებასა და რიცხოვნობაზე.

სახეობების სტატუსი მიიჩნევა სახარბიელოდ, თუკი:

- პოპულაციის დინამიკა მიუთითებს, რომ სახეობა გრძელვადიან პერსპექტივაში იარსებებს, როგორც თავისი ბუნებრივი ჰაბიტატის სიცოცხლისუნარიანი კომპონენტი;
- მისი გავრცელების არეალი არ მცირდება და, სავარაუდოდ, არც შემცირდება დროის ხანგრძლივ პროგნოზირებად პერიოდში;

- არსებობს და, სავარაუდოდ მომავალშიც იქნება საკმარისად დიდი ჰაბიტატი, რომ პოპულაციამ იარსებოს გრძელვადიან პერსპექტივაში .

როგორც წესი, როგორც ჰაბიტატის, ასევე სახეობის შემთხვევაში კონსერვაციული სტატუსის შეფასება ხდება ევროპის კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ბიომრავალფეროვნების დაცვის ორივე დირექტივასთან მჭიდრო კავშირშია ევროპის კავშირის „წყლის ჩარჩო დირექტივა“, ასევე „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების“ (სგშ) დირექტივა 2001/42/EC და „ევროპის დირექტივა 2014/52/EU გარემოზე ზემოქმედების შესახებ ე. წ (გზშ-ს დირექტივა).

ყველა ეს ნორმატიული აქტი მიმართულია გარემოს მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილებისა და უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისკენ. ამავდროულად, მიუხედავად ზოგადი მიზნების მსგავსებისა და მჭიდრო კავშირისა, მათ მიერ დასმული კონკრეტული ამოცანები მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან.

- **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების** დირექტივა მიზნად ისახავს გარემოს დაცვის უზრუნველყოფას სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების დონეზე, რაც მიიღწევა საქმიანობის დაგეგმვის ან მომზადების ეტაპზევე შესაძლო უარყოფითი ეკოლოგიური შედეგების გამოვლენითა და გათვალისწინებით. ანუ, აღნიშნული დირექტივა მოქმედებს სტრატეგიული პრევენციის მიმართულებით, რათა არ მოხდეს გარემოს მდგომარეობის გაუარესება მანამ, სანამ მოხდება მაღალი დონის გეგმისა თუ პროგრამების დამტკიცება. საბოლოო ჯამში, სგშ-ს დირექტივა უზრუნველყოფს გარემოს დაცვის, მათ შორის ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხების გათვალისწინებას დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე.
- **გარემოზე ზემოქმედების შესახებ** დირექტივა ახდენს გარკვეულ სახელმწიფო თუ კერძო კონკრეტული პროექტების შეფასებას კონკრეტულ დონეზე (მაგალითად, ნატურა 2000-ის საიტზე). შესაბამისად, დირექტივის თანახმად პროექტის განხორციელებაზე ნებართვა გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეფასდება პროექტის სავარაუდო ზემოქმედება გარემოზე.
- **წყლის ჩარჩო დირექტივა** გულისხმობს ყველა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვას და მათი პოტენციალის და მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილება „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ შენარჩუნებას, რითიც იგი ხელს უწყობს ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე მტკნარი წყლის ჰაბიტატებისა და მათზე დამოკიდებული სახეობების კონსერვაციის მიზნების მიღწევას და პირიქით;

### „ნატურა 2000-ის“ ქსელი

ველური ბუნების დაცვის ორივე დირექტივა ეყრდნობა პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახეობების გრძელვადიანი გადარჩენა შეუძლებელია იმ ჰაბიტატების დაცვის გარეშე, სადაც ისინი ბინადრობენ. შესაბამისად, მთავარი აქცენტი სწორედ ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნებაზე კეთდება.

ევროპის ველური ბუნების დაცვის დირექტივები წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს განახორციელონ ორი ძირითადი ტიპის ღონისძიება, კერძოდ:

1. ჰაბიტატების დირექტივის I და II დანართებში ჩამოთვლილი სახეობებისა და ჰაბიტატების, ასევე ფრინველების დირექტივის I დანართში მითითებული მიგრირებად და რეგულარულად გავრცელებული ფრინველების დასაცავად მნიშვნელოვანი უბნების გამოვლენა და დაცვა. **ასეთი უბნების ერთობლიობა ევროპის კავშირის მასშტაბით ქმნის „ნატურა 2000-ის“ ქსელს**, რომელიც ამჟამად მოიცავს 27 500-ზე მეტ ტერიტორიას. რაც შეეხება მტკნარი წყლის ეკოსისტემებს (ტბები და მდინარეები), მათზე მოდის ნატურა 2000-ის მთლიანი ფართობის დაახლოებით 4% (ევროპის გარემოს სააგენტო, 2010, EU 27).
2. სახეობათა დაცვის რეჟიმის დაწესება ევროპის ყველა გარეული ფრინველის<sup>4</sup> და ჰაბიტატების დირექტივის IV დანართში ჩამოთვლილი სხვა სახეობებისთვის. ეს ზომები ეხება ევროკავშირის ფარგლებში ამ სახეობების გავრცელების მთელ არეალს, როგორც ნატურა 2000 -ის ქსელის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

როგორც აღინიშნა, ჰაბიტატების დირექტივის მოთხოვნით მთელ ევროპაში ხდება ისეთი ადგილების შერჩევა, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით და დიდი მნიშვნელობა აქვთ დირექტივის დაცვის ქვეშ მყოფი ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვის თვალსაზრისით. ასეთ უბნებს ენიჭებათ **„ნატურა 2000-ის“ უბნის (საიტის) სტატუსი**. ამ გზით ჰაბიტატების დირექტივა უზრუნველყოფს ევროპაში გავრცელებული 1000-ზე მეტი სახეობისა და მათი გადარჩენისთვის მნიშვნელოვანი 200-მდე ჰაბიტატის დაცვას.

ანალოგიური მოთხოვნა გააჩნია ფრინველების დირექტივას, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ევროპის მასშტაბით გადაშენების მაღალი საფრთხის წინაშე მყოფი 194 ფრინველის (მათ შორის მიგრირებადი) სახეობის კონსერვაციის და მათი ჰაბიტატის შენარჩუნების აუცილებლობაზე. აღნიშნული სახეობებისა და მათი ჰაბიტატების ჩამონათვალი მოცემულია დირექტივის დანართ I-ში, რომელთა მიმართაც ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია განახორციელოს სპეციალური კონსერვაციის ღონისძიებები და დაარსოს ე. წ **„სპეციალურ დაცვის უბნები“** (Special Protection Areas - SPAs).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც „სპეციალური დაცვის უბნები“ ინტეგრირებულია „ნატურა 2000-ის“ ქსელში<sup>5</sup>. ამ თავისებურების გამო, მომავალში „ნატურა 2000-ის“ ქსელის

- 
4. კონსერვაციული აქტივობების ტიპი დამოკიდებულია იმაზე, თუ „ფრინველების დირექტივის“ რომელ დანართშია მითითებული ეს თუ ის სახეობა. მაგალითად II დანართი - დანართში მოცემულ 82 სახეობაზე ნებადართულია ნადირობა, თუმცა შეზღუდვებით, რაც გულისხმობს ნადირობის აკრძალვას იმ პერიოდში, როდესაც ფრინველები ბუდობენ, ზრდიან ბარტყებს ან მიგრირებენ.
  5. რიგ ქვეყნებში ასეთი პრაქტიკა არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში ცალკე გვხვდება როგორც „ნატურა 2000“-ის ასევე „სპეციალურ დაცვის უბნების“ (SPA) ქსელები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქსელის მართვა მნიშვნელოვანწილად ერთსა და იმავე პრინციპებსა და მოთხოვნებს ეყრდნობა.

მართვისა და დაცვის საკითხებზე საუბრისას, როგორც წესი ვგულისხმობთ როგორც „ჰაბიტატის დირექტივით“, ასევე „ფრინველების დირექტივით“ გათვალისწინებულ საკითხებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ორივე დირექტივა ეყრდნობა პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახეობების გრძელვადიანი გადარჩენა შეუძლებელია იმ ჰაბიტატების დაცვის გარეშე, სადაც ისინი ბინადრობენ. შესაბამისად, „ნატურა 2000-ი“ უპირველეს პრიორიტეტს ანიჭებს სწორედ ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვასა და შენარჩუნებას. ასეთი ადგილების გამოვლენის შემდეგ, ეს უბანი ცხადდება „ნატურა 2000-ის“ უბნად და მასზე მყარდება განსაკუთრებული, თუმცა გარკვეულწილად მოქნილი მართვის რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ გრძელვადიან შენარჩუნებას.

პრაქტიკაში მართვის ეს პრინციპი გულისხმობს, რომ თუ ჰაბიტატს ან სახეობას უკვე აქვს „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი“, მაშინ უბნის მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ეს მდგომარეობა შენარჩუნდეს. იმ შემთხვევაში, თუ სახეობას ან ჰაბიტატს აქვს „არასახარბიელო სტატუსი“, ანუ საფრთხის წინაშეა, მაშინ ტერიტორიის მართვა უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს ისე, რომ გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა და ეტაპობრივად აღდგეს ამ სახეობებისა თუ ჰაბიტატების „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი“.

განსხვავებულია დაცული ტერიტორიების და „ნატურა 2000-ის“ ქსელის მართვის პრინციპებიც. განსხვავებით კლასიკური დაცული ტერიტორიებისგან, ეკოლოგიურ ქსელს ადამიანის საქმიანობის მხრივ არ შემოაქვს სტანდარტული შეზღუდვები (როგორც წესი ასეთი შეზღუდვები შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს დაცული ტერიტორიის კატეგორიების მიხედვით<sup>6</sup>). დაცული ტერიტორიის დაარსება გულისხმობს მის ფარგლებში გარკვეული შეზღუდვების დანერგებას, რომლის ფარგლებშიც ლიმიტირებულია ადამიანის სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობა (რაც უფრო მაღალია კატეგორია, მით უფრო მეტად შეზღუდულია ადამიანის საქმიანობა). „ნატურა 2000-ის“ უბნებზე კი ნებადართულია პრაქტიკულად ყველა საქმიანობა, რომელიც ზიანს არ აყენებს ევროპის ველური ბუნების დაცვის დირექტივებით დაცულ კონკრეტულ სახეობას ან ჰაბიტატს, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა მოცემული ტერიტორია.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მასშტაბით ველური სახეობებისა და მათი ჰაბიტატების დაცვის საჭიროება სცდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკურ საზღვრებს და მოიცავს კავშირის არაწევრ ქვეყნებში (მაგ., შვეიცარია, უკრაინა, საქართველო და სხვ.) კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას.

---

6. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა მოიცავს ექვსი სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიის დაარსებას, რომლებიც დაცული ტერიტორიის კატეგორიის მიხედვით შეიძლება ითვალისწინებდეს ადამიანის საქმიანობის სრულად შეზღუდვის (მაგალითად, პირველი კატეგორია ნაკრძალი ან მეორე კატეგორია ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონა) ან შედარებით რბილ რეჟიმს (აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია და ა. შ).

მთელი ევროპის მასშტაბით (მიუხედავად პოლიტიკური საზღვრებისა) კონსერვაციული მიზნების მისაღწევად საჭიროა ბიომრავალფეროვნების დაცვის ერთიანი მიდგომების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას მონყვლადი სახეობების და მათი საარსებო გარემოს დაცვას მთელ მათ საარსებო არეალში (ანუ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე).

ასეთი ერთობლივი ქმედებების განხორციელება შედარებით „მარტივია“ ევროპის კავშირის ტერიტორიაზე, რადგან ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია იმოქმედოს დამტკიცებული დირექტივების მიხედვით. თუმცა არაწევრი ქვეყნების ტერიტორიებზე ეს ურთულესი ამოცანაა, რადგან მათ არ აქვთ ერთიანი ნორმატიული ბაზა და კონსერვაციული ქმედებების მეთოდოლოგია. ამ გამოწვევის დაძლევის ეფექტურ ინსტრუმენტს ქმნის „**ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია**“ რომელიც ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული იქნა 1979 წელს, ქალაქ ბერნში (შვეიცარია). აღნიშნულ კონვენცია (ხშირად „**ბერნის კონვენციასაც**“ უწოდებენ) წარმოადგენს სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს ველური ბუნების დაცვისა და ბუნებრივ მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს. მისი მონაწილე მხარეა ევროპის 51, მათ შორის ევროპის კავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნები, ასევე აფრიკის რამდენიმე ქვეყანაც.

„ბერნის კონვენცია“ განიხილება როგორც „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის<sup>7</sup> (რიო დე ჟანეირო - 1992) დანერგვის ხელშემწყობი რეგიონალური (ევროპული) ინსტრუმენტი. კონვენცია ასევე წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ბუნების კონსერვაციის სფეროში ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირისა თუ სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბუნების დაცვის საკითხებში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომელიც აძლიერებს დემოკრატიულ პროცესებს და უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას.

აღნიშნულ საერთაშორისო შეთანხმებას საქართველო 2009 წელს შეუერთდა, რითიც ქვეყანამ ვალდებულია აიღოს განახორციელოს სამართლებრივი თუ სხვა ტიპის ქმედებები, რომლებიც მიმართულია ევროპის ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების (მონყვლადი, მათ შორის მიგრირებადი სახეობების) და მათი ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვისკენ.

საქართველო და კონვენციაზე მიერთებული სხვა ქვეყნები იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას, მათ შორის იმ ერთიანი მიდგომების გამოყენებით, რომელსაც განსაზღვრავს ბერნის კონვენცია. ასეთ ზომებს მიეკუთვნება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ პროცედურის დანერგვა, კონვენციით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა, ასევე ბიომრავალფეროვნების მართვისა და

---

7. <https://www.cbd.int/>


მონიტორინგის საკითხები და სხვა.

## **ზურმუხტის ქსელი**

მსგავსად ევროპის კავშირის ველური ბუნების დაცვის დირექტივებისა, ბერნის კონვენცია ასევე ეყრდნობა პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახეობების გრძელვადიანი გადარჩენა შეუძლებელია იმ ჰაბიტატების დაცვის გარეშე, სადაც ისინი ბინადრობენ. შესაბამისად, კონვენცია ისევე როგორც ფრინველების და ჰაბიტატების დირექტივა, მთავარ აქცენტს სწორედ ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნებაზე აკეთებს და ითხოვს „ნატურა 2000-ის“ მსგავსი **ე. წ „ზურმუხტის ქსელის“** დაარსებას.

„ნატურა 2000-ის“ ქსელის მსგავსად „ზურმუხტის ქსელის“ დაარსებისას ხდება ისეთი ადგილების გამოყოფა, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია ბერნის კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი ჰაბიტატებითა და სახეობებით. ასეთ ტერიტორიებს ენიჭებათ „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიის“ (Areas of Special Conservation Interest-ASCI) სტატუსი და ისინი ერთიანდება ე. წ „ზურმუხტის ქსელში“.

აღნიშნული ქსელი ასევე ეკოლოგიურ ქსელს წარმოადგენს, რომელიც ევროპის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ემსახურება და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ფაზაშია. ორივე ეკოლოგიური ქსელი მიზნად ისახავს ევროპის ბუნებრივი მემკვიდრეობისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, რაც ხელს უწყობს გარემოს დაცვის გლობალური მიზნების მიღწევას. სავარაუდოა, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება ორივე ქსელის სრული შერწყმაც კი მოხდეს და ჩამოყალიბდეს ერთიანი პანევროპული ეკოლოგიური ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას, დაწყებული ატლანტიკის სანაპიროდან, აღმოსავლეთით ურალის ქედამდე და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან კავკასიის რეგიონამდე.



**ნატურა 2000-ის და ზურმუხტის ქსელის სქემატური გამოსახულება**

გარდა იმისა, რომ „ზურმუხტის ქსელის“ განვითარება ბერნის კონვენციის აუცილებელი მოთხოვნაა, იგი ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციისთვის. „ზურმუხტის ქსელის“ დაარსება ჩვენი ქვეყნის ვალდებულებაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მიხედვით. ასევე „ზურმუხტის ქსელის“ განვითარება იქნება ქვეყნის წვლილი გლობალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში - ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და მისი ეგიდით შემუშავებული კუნძინ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო შესრულების პროცესში. „ზურმუხტის ქსელის“ განვითარების საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ დოკუმენტებშიც (მაგალითად, 2014-2020 წლების ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში და სხვა).

კონსერვაციული თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ „ზურმუხტის ქსელი“ საქართველოში ქმნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, მდგრადი მართვისა და ბუნების კონსერვაციის პრინციპების სხვადასხვა სექტორებში ეფექტური ინტეგრაციის სრულიად ახალ, მოქნილ შესაძლებლობებს. მისი ჩამოყალიბება დაგვეხმარება ბუნებისგან უწყვეტად მივიღოთ სარგებელი და სამსახური ე. წ „ეკოსისტემური სერვისები“, ისეთი როგორცაა: სუფთა ჰაერი და წყლით უზრუნველყოფა, ნიადაგის დეგრადაციის პრევენცია, ეროზიებისა

და წყალმომარაგებისგან დაცვა, აგრარული წარმოება (მაგ. დამტვერვის უზრუნველყოფისგან), მოსახლეობის მომარაგება ტყის მერქნული თუ არამერქნული რესურსებით, ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის შენარჩუნება და განვითარება და სხვ.

ბერნის კონვენციის პრინციპიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით სახეობების დაცვა შეუძლებელია მათი საარსებო ჰაბიტატების დაცვის გარეშე, „ზურმუხტის ქსელი“, ისევე როგორც ევროკავშირის „ჰაბიტატების დირექტივა“ და „ფრინველების დირექტივა“, პირველ რიგში ითხოვს ჰაბიტატების დაცვას. ამ ჰაბიტატების ჩამონათვალი მოცემულია კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის 1996 წლის რეზოლუციაში No.4<sup>8</sup>, სადაც შესულია ევროპაში გავრცელებული 200-მდე სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატი, რომელთა შორის 50-ზე მეტი გვხვდება საქართველოში.

გარდა ამისა, ზურმუხტის ქსელი ემსახურება უშუალოდ სახეობების დაცვასაც, რომელთა გრძელვადიანი გადარჩენა შეუძლებელია მათი ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნების გარეშე და განსაზღვრულია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის 1998 წლის No.6 რეზოლუციით<sup>9</sup>. ამ რეზოლუციაში შესულია ევროპაში გავრცელებული 1000-მდე სახეობა. მათგან 200-ზე მეტი გვხვდება საქართველოში.

„ზურმუხტის ქსელის“ დასაარსებლად საჭირო კვლევები საქართველოში 2009 წლიდან დაიწყო. 2017 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით „ზურმუხტის ქსელის“ 3 ტერიტორია (ლაგოდეხი, ვაშლოვანი და ბანარას ალკვეთილი) ოფიციალურად გამოცხადდა „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიებად, რაც პირველი პრეცედენტი იყო კავკასიის რეგიონში. შემდგომ წლებში ქსელის განვითარებას ეტაპობრივი ხასიათი ჰქონდა. 2023 წლის იანვრის მონაცემებით, ქსელი შედგება 66 ოფიციალურად აღიარებული ტერიტორიისგან, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის 18,75% შეადგენს. საიტების 44% დაცულ ტერიტორიებს ემთხვევა (იხილე რუკა).

როგორც აღინიშნა „ნატურა 2000-ის“, ასევე „ზურმუხტის ქსელის“ მართვა ემყარება ერთსა და იმავე ეკოლოგიურ პრინციპებს, თუმცა ჰაბიტატების დირექტივის მოთხოვნები და „ნატურა 2000-ის“ ქსელის მართვის ინსტრუმენტები უფრო მკაცრია და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ვიდრე ბერნის კონვენციის მონაწილე მხარეებს.

**იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა,** ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე არსებული „ზურმუხტის ქსელი“, განვერვიანების პროცესის პარალელურად უნდა გარდაიქმნას „ნატურა 2000“ ქსელად. გარდა ამისა კანდიდატი ქვეყნები ვალდებული არიან დააკმაყოფილონ

---

8. „გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატების ჩამონათვალი, რომელთაც სპეციფიკური საკონსერვაციო ღონისძიებები ესაჭიროება“ Resolution No. 4 (1996) listing endangered natural habitats requiring specific conservation measures (Adopted by the Standing Committee on 6 December 1996) <https://rm.coe.int/16807469e7>

9. „სახეობები, რომელთა დაცვა მათი ჰაბიტატების კონსერვაციის სპეციფიკურ ღონისძიებებს საჭიროებს“ Resolution No. 6 (1998) listing the species requiring specific habitat conservation measures (Adopted by the Standing Committee on 4 December 1998).

ევროპის ველური ბუნების დაცვის დირექტივების, ჰაბიტატების დირექტივისა და ფრინველების დირექტივის, ისევე როგორც სხვა ნორმატიული აქტების ყველა მოთხოვნა. შესაბამისად, „ზურმუხტის ქსელი“ საქართველოში „ნატურა 2000“ ქსელის ჩამოყალიბების წინაპირობად უნდა განვიხილოთ.



## საქართველოს ზურმუხტის ქსელი

### ეკოლოგიური ქსელის მართვის საკითხები საქართველოში

როგორც „ნატურა 2000-ის“ ასევე „ზურმუხტის ქსელის“ ეფექტური მართვის წინაპირობას წარმოადგენს უბნის მართვის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. ამავე დოკუმენტში მოცემულია ის ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა უბანზე გავრცელებული სახეობებისა და ჰაბიტატების „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ შესანარჩუნებლად. ევროპის კავშირში არსებული პრაქტიკის მიხედვით, „ნატურა 2000-ის“ უბნის მართვის გეგმის შემუშავება იწყება შექმნის ეტაპზე და ითვალისწინებს იმ ძირითად მიდგომებს, რომლებიც მოცემულია ჰაბიტატის დირექტივაში. რაც შეეხება „ზურმუხტის ქსელს“, ეს საკითხი რეგულირდება ეროვნული დონის კანონმდებლობითა და „ბერნის კონვენციის“ მოთხოვნით, რომელიც ითვალისწინებს მართვის გეგმის შექმნას დაარსებიდან არაუგვიანეს 6 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა,

რომ „ზურმუხტის ქსელის“ განვითარებისა და მართვის ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია და საჭიროებს ეროვნულ დონეზე კანონმდებლობის შექმნას, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია.

ეკოლოგიური ქსელების წინაშე არსებული ამოცანების შესრულების პროცესში დაუშვებელია ისეთი საქმიანობის ან განვითარების პროექტების განხორციელება, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს მათ ფორმატში დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების „სახარბილო კონსერვაციული სტატუსზე“. ასეთ დროს გადამწყვეტია გაანალიზდეს ახდენს თუ არა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა დაცულ ჰაბიტატებსა და სახეობებზე პირდაპირ ან ირიბ ზეგავლენას. იმ შემთხვევაში თუ უარყოფით ზეგავლენას ადგილი არ აქვს, როგორც წესი, როგორც ერთი ასევე მეორე ეკოლოგიური ქსელი არ ზღუდავს ადამიანის საქმიანობას.

შესაბამისად, პროექტის განხორციელებამდე მნიშვნელოვანია შეფასდეს პროექტის სავარაუდო ზემოქმედება გარემოზე, რომელიც ხდება სგშ-ს, გზშ-ს პროცედურისა ან ჰაბიტატის დირექტივით გათვალისწინებული ე. წ. „შესაბამისობის შეფასების“ პროცედურის გავლის გზით. აღნიშნული მიდგომა ამცირებს განვითარების პროექტების უარყოფით ზემოქმედებას ეკოლოგიურ ქსელის უბანზე, მის მთლიანობაზე და შეძლებისდაგვარად ამცირებს პოტენციურ ზიანს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს უკვე ნახსენები ე. წ. „შესაბამისობის შეფასების პროცედურა“. განსხვავებით გზშ-სგან, რომელიც განიხილავს გარემოზე ზემოქმედების ყველა ასპექტს, „შესაბამისობის შეფასება“ ფოკუსირებულია იმ შესაძლო ზემოქმედებაზე, რომელსაც უშუალოდ „ნატურა 2000-ის“ უბანზე და ჰაბიტატის დირექტივით დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე შესაძლო უარყოფით ზემოქმედებას აფასებს.

საქართველოშიც იგეგმება ანალოგიური პროცედურის შემოღება, რომელიც გათვალისწინებულია შემუშავების ეტაპზე მყოფი „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტში, სადაც „შესაბამისობის შეფასების“ პროცედურა განიხილება როგორც „ზურმუხტის ქსელის“ უბანზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის შემცირების ინსტრუმენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის კავშირთან ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მოუწევს „ჰაბიტატის დირექტივის“ მოთხოვნების სრულფასოვანი ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც (სხვა საკითხებთან ერთად) გულისხმობს „შესაბამისობის შეფასებას“, ასევე „ნატურა 2000-ის“ უბნის კონსერვაციულ მართვის საკითხების მოგვარებას.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო მკითხველს მისცემს საშუალებას ნათლად წარმოიდგინოს ევროკავშირის ველური ბუნების დაცვის დირექტივების მოთხოვნები. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თავის საქმიანობაში ისეთი სფეროების წარმომადგენლებს, როგორც არის სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა და სხვა.

სახელმძღვანელოში მაქსიმალურად ამომწურავადაა მოცემული პასუხები იმ

კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის ჰაბიტატების და ფრინველების დირექტივების მოთხოვნებთან და იმ გამოწვევებთან, რომელთა გადაწყვეტაც უნევს (და მომავალში უფრო აქტიურად მოუწევს) ჰიდროენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, სატყეო სექტორისა თუ სხვა სფეროს წარმომადგენლებს.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც „ნატურა 2000-ის“, ისე საქართველოში უკვე დაარსებული „ზურმუხტის ქსელის“ მართვა ემყარება ერთსა და იმავე ეკოლოგიურ პრინციპებს, თუმცა ჰაბიტატების დირექტივის მოთხოვნები და „ნატურა 2000-ის“ ქსელის მართვის ინსტრუმენტები უფრო მკაცრია და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ვიდრე ბერნის კონვენციის მონაწილე მხარეებს. საქართველო, ევროკავშირში ინტეგრირების გზაზე, ვალდებულია მოახდინოს „ზურმუხტის ქსელის“ ტრანსფორმირება და „ნატურა 2000-ის“ ქსელთან შერწყმა და ჰაბიტატების დირექტივის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, „ზურმუხტის ქსელი“ საქართველოში „ნატურა 2000“ ქსელის ჩამოყალიბების წინაპირობად უნდა განვიხილოთ.

დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციები და მიდგომები სრულ თანხვედრაშია და ეფუძნება ევროპულ გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნებში ნატურა 2000-ის ტერიტორიების მართვისას „ნასწავლი გაკვეთილები“ და ის გამოწვევები, რომელიც დაკავშირებულია ტყის სამეურნეო/კომერციულ ინტერესებსა და ბუნების კონსერვაციას შორის პოტენციურ კონფლიქტებთან. სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტი ასევე მოიცავს კლიმატის ცვლილების საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის შესამსუბუქებლად, რათა მიღწეული იყოს ზურმუხტის ქსელით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული მიდგომების გამოყენება ხელს შეუწყობს პანევროპული კრიტიკული ჰაბიტატებისა და სახეობების შენარჩუნებასა და აღდგენას, ასევე, დაეხმარება საქართველოს საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

## დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი გვთავაზობს რეკომენდაციებსა და პრაქტიკულ მაგალითების ანალიზს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს საქმიანობა ჰიდროენერგეტიკის სფეროში ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების მოთხოვნების დაცვით. მასში შეფასებულია ზემოქმედების ის ტიპები, რომლებიც ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მუშაობის პროცესში შეიძლება გაჩნდეს და პრაქტიკული მაგალითებით ნაჩვენებია, როგორ შეიძლება სხვადასხვა სიტუაციებში თავიდან ავიცილოთ ან, სულ ცოტა, მინიმუმამდე დავიყვანოთ ჰიდროენერგეტიკული ობიექტების ზეგავლენა გარემოზე.

ფართო თვალსაზრისით, ეს დოკუმენტი მიმართულია ევროკავშირის პოლიტიკისა და მეორე მხრივ, ენერგეტიკას, გარემოს დაცვასა და წყლის სექტორებს შორის სინერჯის გაძლიერებისკენ, ევროკავშირის მიზნების მისაღწევად უფრო კოორდინირებული, ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის მიდგომების გამოყენების გზით.

გზამკვლევის 1-ლ თავში წარმოდგენილია ევროკავშირის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა, რომლითაც ჰიდროენერგეტიკის სექტორმა უნდა იმოქმედოს ევროპაში. მოკლედ არის შეჯამებული ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების ძირითადი დებულებები, ასევე მათი კავშირი წყლის ჩარჩო დირექტივასთან და გზშ-სა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) დირექტივებთან.

მე-2 თავი აღწერს მდინარეებისა და ტბების ზოგად არასახარბიელო მდგომარეობას ევროკავშირში, მათზე ზეწოლისა და საფრთხეების ძირითად ფორმებს; შემდეგ კი განხილულია ამ ეკოსისტემებზე ჰიდროენერგეტიკის სექტორის ზემოქმედების ფორმები და ყურადღება გამახვილებულია პოტენციური კუმულაციური ეფექტების მნიშვნელობაზე.

ევროპის ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის დაახლოებით 400 სახეობა, რომლებიც მტკნარი წყლის ეკოსისტემებში ბინადრობს, დაცულია ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივებით. სამწუხაროდ, ევროპის მდინარეების უმეტესობა უაღრესად დეგრადირებულია და სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური საქმიანობით (მათ შორის, ჰიდროენერგეტიკით) გამოწვეული ზეწოლის ქვეშაა.

გარემოს უახლესი ანგარიშებიდან ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი წყლის ჩარჩო დირექტივის და ბიომრავალფეროვნების (ფრინველთა და ჰაბიტატების) დირექტივების მიზნების მისაღწევად. ამ შედეგის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრიორიტეტი მიენიჭება არა მხოლოდ მდინარეების შემდგომი განადგურების პრევენციას, არამედ მათი ეკოლოგიური სტატუსის აქტიურ აღდგენას და მათზე არსებული ზეწოლისა და საფრთხეების აღმოფხვრას ან თუნდაც მნიშვნელოვნად შემცირებას.

ამ დოკუმენტის მე-3 თავი სწორედ ამ მიზნების მიღწევის გზების ძიებას ეძღვნება და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის საუკეთესო მაგალითებს მიმოიხილავს ევროკავშირის მასშტაბით.

მე-4 თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას და კომპლექსური და მეტად ინტეგრირებული ჰიდროენერგეტიკული გეგმებისა და პროექტების შემუშავების საჭიროებას. ამ ტიპის პროექტების შემუშავება, დაგეგმვის პროცესის დასაწყისშივე უნდა ითვალისწინებდეს მდინარის ეკოსისტემის დაცვის მოთხოვნებს, ასევე შეძლებისდაგვარად უნდა მოიცავდეს მდინარის ეკოლოგიური სტატუსის გაუმჯობესების ღონისძიებებსაც.

დოკუმენტის მე-5 თავი დეტალურად აღწერს ე. წ. შესაბამისობის შეფასების (Appropriate Assessment, AA) პროცედურას, რომელიც საჭიროა ჰიდროენერგეტიკული გეგმების ან პროექტებისთვის და აუცილებელი პირობაა ევროსაბჭოს „ბუნებრივი ჰაბიტატების და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ“ (#92/43/EEC), იმავე „ჰაბიტატების დირექტივის“ მე-6 მუხლის მიხედვით. ასევე მოცემულია განმარტებები ამ პროცედურის ძირითად ასპექტებსა და მის კავშირზე ევროკავშირის სხვა გარემოსდაცვით შეფასების მექანიზმებთან. ევროკავშირის პრაქტიკამ არაერთგზის აჩვენა, რომ მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები ძალიან ხშირად გამოწვეულია უხარისხოდ და არასრულფასოვნად ჩატარებული შესაბამისობის შეფასებებით.

ეს გზამკვლევი შექმნილია შესაბამისი უწყებებისთვის, დეველოპერებისა და კონსულტანტებისთვის. ის ასევე გამოსადეგი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომლებიც მუშაობენ ჰიდროენერგეტიკის საკითხებზე. დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ოფიციალური პირების, ასევე სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით, რომელთა მხრიდანაც მიღებული იყო ღირებული მოსაზრებები.

დოკუმენტი ეფუძნება ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივებსა და სხვა მნიშვნელოვან პრინციპებს, რაზეც დგას ევროკავშირის გარემოს დაცვისა და ჰიდროენერგეტიკის პოლიტიკა. დოკუმენტში მოცემული მეთოდოლოგიისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების წარმოდგენისას ჩვენი მიზანი არ იყო რაიმე „მზა რეცეპტის“ შემოთავაზება, არამედ - დაინტერესებულ მხარეებისთვის სასარგებლო რჩევების, იდეებისა და წინადადებების გაზიარება, რომლებიც შემუშავდა ჰიდროენერგეტიკის პრაქტიკოს სპეციალისტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებული დისკუსიებისა და განხილვების შედეგად.

დოკუმენტი ასახავს ევროპის კომისიის შეხედულებებს და არ არის იურიდიულად სავალდებულო. ევროკავშირის დირექტივების საბოლოო ინტერპრეტაციის ვალდებულება ეკისრება მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს. დოკუმენტში შეძლებისდაგვარად ინტეგრირებულია შესაბამისი ევროპული პრეცედენტები. აქედან გამომდინარე, წინამდებარე გზამკვლევის გამოყენებისას,

რეკომენდებულია ორივე დირექტივის შესახებ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული განმარტებებისა და გადაწყვეტილებების გათვალისწინება<sup>10</sup>.

---

10. [http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance_en.htm)

# 1. ევროკავშირის პოლიტიკის და კანონმდებლობის ჩარჩო

ჰიდროენერგეტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს განახლებადი ენერჯის დირექტივის<sup>11</sup> განხორციელებაში და 2020-2030 წლების ევროკავშირის ენერგეტიკის სფეროს მიზნების მიღწევაში. როგორც წყალზე დაფუძნებული ყველა სხვა ეკონომიკური საქმიანობა, ჰიდროენერგეტიკა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც შეიქმნა და დაინერგა ევროპის მდინარეებისა და ტბების დაცვისა და აღდგენის მიზნით. ეს სამართლებრივი მოთხოვნები მოცემულია წყლის ჩარჩო დირექტივაში, წყალდიდობების დირექტივაში, ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივებში და გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივებში (გარემოზე ზემოქმედების შეფასება - გზმ -ის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების - სგშ-ის დირექტივები).

ეს თავი ასახავს ევროკავშირის ამ რეგულაციების ზოგიერთ ძირითად დებულებას, რომელიც რელევანტურია ჰიდროენერგეტიკის სფეროსთვის. ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულად ბიომრავალფეროვნების დაცვისკენ მიმართულ ორ დირექტივაზე (ფრინველების დირექტივა და ჰაბიტატების დირექტივა), რადგან ეს არის ამ გზამკვლევის მთავარი თემა.

## 1. ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივები

ევროპის მდინარეები ბიომრავალფეროვნების მდიდარი ბუნებრივი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. სამწუხაროდ, ათწლეულების განმავლობაში მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს, რამაც დააჩინა ამ ეკოსისტემების მდგრადობა და მათი როგორც ველური სახეობების საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელობა. ამჟამად ევროპის მდინარეების უმეტესობა დეგრადირებულია და საჭიროებს აღდგენას.

აღიარებენ რა ბიომრავალფეროვნების კარგვის საგანგაშო პროცესს, ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურებმა დაისახეს ამბიციური მიზანი, 2020 წლისთვის შეაჩერონ აღნიშნული ტენდენციები. ამ მიზნის მისაღწევად 2011 წლის მაისში, კომისიამ მიიღო ევროკავშირის „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების სტრატეგია 2020 წლისთვის“, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ამ სფეროში. 2017 წლის აპრილში ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების პრაქტიკული იმპლემენტაციის მიზნით, ევროპის კომისიამ შეიმუშავა ახალი

---

11. [https://energy.ec.europa.eu/topics/renewable-energy/renewable-energy-directive-targets-and-rules/renewable-energy-directive\\_en](https://energy.ec.europa.eu/topics/renewable-energy/renewable-energy-directive-targets-and-rules/renewable-energy-directive_en) . განახლებადი ენერჯის დირექტივის მიზნები და ამოცანები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე [https://energy.ec.europa.eu/index\\_en](https://energy.ec.europa.eu/index_en)

სამოქმედო გეგმა<sup>12</sup>, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის 2020 წლის მიზნისკენ სწრაფვას— ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების კარგვის პროცესების შეჩერებას<sup>13</sup>.

ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივები ევროკავშირის ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკის ქვაკუთხედაა. ეს რეგულაციები ქმნის ერთობლივ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას საშუალებას აძლევს, პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული საზღვრების მიუხედავად, ერთობლივად იმოქმედოს და დაიცვას ევროპის საფრთხის ქვეშ მყოფი ყველა სახეობა და ჰაბიტატი.

ორივე დირექტივის საერთო მიზანია მათ მიერ დაცული სახეობებისა და ჰაბიტატის ტიპების შენარჩუნება და აღდგენა ე. წ. „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“<sup>14</sup> მდგომარეობამდე ევროპის მასშტაბით მათი გავრცელების მთელ არეალზე. ეს მიზანი გულისხმობს პოზიტიური შედეგის მიღწევას და ორიენტირებულია იმ სახარბიელო სიტუაციაზე, რომლის მიღწევა და შენარჩუნებაცაა საჭირო. ამიტომ ის სცილდება უბრალოდ გარემოსადმი მიყენებული ზიანის თავიდან აცილების (პრევენციის) მოთხოვნას.

---

12. [http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/fitness\\_check/action\\_plan/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/fitness_check/action_plan/index_en.htm)

13. ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა: ეს დოკუმენტი ბუნებრივია ითვალისწინებდა 2020 პერიოდს. ამჟამად ევროკომისიის მიერ შემუშავებულია განახლებული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 ([https://environment.ec.europa.eu/strategy/biodiversity-strategy-2030\\_en](https://environment.ec.europa.eu/strategy/biodiversity-strategy-2030_en)), რომელიც წარმოადგენს წინა გეგმის გაგრძელებას და განსაზღვრავს ახალ ამოცანებს რომელთა მიღწევასაც ევროკავშირი ისახავს 2030 წლისთვის. უშუალოდ ტექსტში ნახსენები 2020 წლის გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/biodiversity-strategy-for-2020.html>

14. ჰაბიტატების დირექტივის მე-2 მუხლის Cf ქვეპუნქტის მიხედვით ამ დირექტივის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებები უნდა შემუშავდეს ისეთი ფორმით, რომ შენარჩუნდეს ან აღდგეს დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი. „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ კონცეფცია არ არის ნახსენები ფრინველების დირექტივაში, თუმცა მასში გათვალისწინებულია ანალოგიური მოთხოვნები ე.წ. სპეციალური კონსერვაციული ტერიტორიებისთვის.

## სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის განსაზღვრება ჰაბიტატის დირექტივის მიხედვით

### მუხლი 1.

**ბუნებრივი ჰაბიტატის კონსერვაციული სტატუსი** განისაზღვრება, როგორც მოცემულ ჰაბიტატსა და მის ტიპურ სახეობებზე მოქმედ ზემოქმედებათა ერთობლიობა, რასაც გრძელვადიან პესპექტივაში შეუძლია იქონიოს ზეგავლენა ამ ჰაბიტატის ბუნებრივ გავრცელებაზე ევროპის კავშირის ტერიტორიის ფარგლებში, მის სტრუქტურასა და ფუნქციებზე, და ასევე დამახასიათებელ სახეობებზე.

ბუნებრივი ჰაბიტატის კონსერვაციული სტატუსი მიიჩნევა სახარბიელოდ თუ:

- მისი ბუნებრივი არეალი სტაბილურია ან იზრდება;
- ადგილზეა და, სავარაუდოდ, დროის პროგნოზირებად პერიოდში შენარჩუნდება ჰაბიტატის ის სტრუქტურა და ფუნქციები, რაც აუცილებელია მისი გრძელვადიანი შენარჩუნებისთვის;
- ჰაბიტატისთვის დამახასიათებელი სახეობების კონსერვაციული სტატუსი არის სახარბიელო.

**სახეობის კონსერვაციული სტატუსი** გულისხმობს ზემოქმედებათა იმ ერთობლიობას, რომელმაც გრძელვადიან პესპექტივაში შეიძლება გავლენა მოახდინოს მოცემული სახეობის გავრცელებაზე და რიცხოვნობაზე ევროპის კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

### სახეობების სტატუსი მიიჩნევა სახარბიელოდ, თუკი

- პოპულაციის დინამიკა მიუთითებს, რომ სახეობა გრძელვადიან პერსპექტივაში იარსებებს, როგორც თავისი ბუნებრივი ჰაბიტატის სიცოცხლისუნარიანი კომპონენტი;
- მისი არეალი არ მცირდება და, სავარაუდოდ, არც შემცირდება დროის ხანგრძლივ პროგნოზირებად პერიოდში;
- არსებობს და, სავარაუდოდ, მომავალშიც იქნება საკმარისად დიდი ჰაბიტატი, რომ პოპულაციამ იარსებოს გრძელვადიან პერსპექტივაში .

ამ მიზნის მისაღწევად, ევროკავშირის ორივე დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს განახორციელონ ორი ძირითადი ტიპის ღონისძიება, კერძოდ:

- ჰაბიტატების დირექტივის I და II დანართებში ჩამოთვლილი სახეობებისა და ჰაბიტატების, ასევე ფრინველების დირექტივის I დანართში მითითებული მიგრირებად და რეგულარულად გავრცელებული ფრინველების დასაცავად **მნიშვნელოვანი უბნების** გამოვლენა და დაცვა. ასეთი უბნები ევროკავშირის მასშტაბით ქმნის **ნატურა 2000 ქსელს**, რომელიც ამჟამად მოიცავს 27 500-ზე მეტ ტერიტორიას. რაც შეეხება ტბისა და მდინარის ეკოსისტემებს, მათზე მოდის ნატურა 2000-ის მთლიანი ფართობის დაახლოებით 4% (ევროპის გარემოს

სააგენტო, 2010, EU 27).

- **სახეობათა დაცვის რეჟიმის დანახვა** ევროპის ყველა გარეული ფრინველისა და ჰაბიტატების დირექტივის IV დანართში ჩამოთვლილი
- სხვა სახეობებისთვის. ეს ზომები ეხება ევროკავშირის ფარგლებში ამ სახეობების გავრცელების მთელ არეალს, როგორც ნატურა 2000 -ის ქსელის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

### დებულებები ნატურა 2000 -ის ტერიტორიების დაცვის კუთხით

ნატურა 2000-ის უბნების დაცვა და მართვა ხდება ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის დებულებებით, რომელიც ასევე არეგულირებს ტერიტორიის კონსერვაციასა და მინათსარგებლობის ფორმებს, მათ შორის ჰიდროენერგეტიკის კუთხით, ურთიერთობებს როგორც უშუალოდ ნატურა 2000-ის ტერიტორიაზე, ასევე მის გარშემო<sup>15</sup>.

მე-6 მუხლი ითვალისწინებს ორი სახის ღონისძიებას:

1. ღონისძიებები, რომელიც **ეხება ნატურა 2000-ის ყველა უბნის კონსერვაციულ მართვას** და ამ ტერიტორიის კონსერვაციული მიზნების განსაზღვრას. ამისთვის წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ:
  - (ა) შეიმუშაონ და განახორციელონ პოზიტიური კონსერვაციული ღონისძიებები, რომლებიც მიემართება დირექტივის I დანართში ჩამოთვლილი ჰაბიტატების შენარჩუნებისა და ნატურა 2000-ის II დანართში (მუხლი 6.1); მითითებულ ამავე უბნებზე მობინადრე სახეობების დაცვისკენ.
  - (ბ) მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ჰაბიტატისა და სახეობების საბინადრო ადგილების მდგომარეობის გაუარესება ან არსებული სახეობების იმგვარი შენუხება, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს მათ გავრცელებაზე (მუხლი 6.2).
2. ჰაბიტატების დირექტივა იძლევა რეკომენდაციას შემუშავდეს ნატურა 2000-ის მენეჯმენტის გეგმები, რომლებიც ნატურა 2000-ის უბნების შესანარჩუნებლად აუცილებელ კონსერვაციის მიზნებისა და ღონისძიებების განსაზღვრის ღია და გამჭვირვალე მექანიზმს წარმოადგენს. მართვის გეგმის შემუშავების პროცესი ყველა დაინტერესებულ მხარესა და ჯგუფს აძლევს საშუალებას ჩაერთოს პროცესში და მონაწილეობა მიიღოს ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების გარშემო კონსენსუსის მიღწევის პროცესში. გარდა ამისა, მენეჯმენტის გეგმის არსებობა ასევე უზრუნველყოფს ნატურა 2000-ის კონსერვაციის ღონისძიებების ინტეგრირებას წყლის ჩარჩო დირექტივის ღონისძიებების პროგრამაში.

ღონისძიებები, რომლებიც რეგულირდება დირექტივის 6.3 მუხლით და ეხება შეფასების პროცედურას ნებისმიერი დაგეგმილი ან მიმდინარე პროექტისთვის, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ნატურა 2000-ის ერთ

15. დეტალები იხილეთ [http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/index\\_en.html](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/index_en.html)

ან მეტ უბანზე (დეტალებისთვის იხილეთ თავი 5). შეფასების პროცედურა მოითხოვს, რომ ნებისმიერი დაგეგმილი საქმიანობა ან პროექტი, რომელსაც სავარაუდოდ ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ნატურა 2000-ის უბანზე, უნდა დაექვემდებაროს ე. წ. „შესაბამისობის შეფასების პროცედურას“ (AA) იმ ზეგავლენის დეტალურად შესასწავლად, რომელმაც შეიძლება პოტენციური ზემოქმედება იქონიოს ტერიტორიის კონსერვაციულ მიზნებზე.

კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია დაეთანხმოს გეგმის ან პროექტის განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „შესაბამისობის შეფასების“ დასკვნების საფუძველზე დადგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ მოახდენს უარყოფით გავლენას შესაბამისი უბნის მთლიანობაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „შესაბამისობის შეფასების“ პასუხისმგებლობაა უარყოფითი ზეგავლენის არარსებობის (და არა არსებობის) ჩვენება.

განსაკუთრებულ შემთხვევებში გამონაკლისის სახით შეიძლება დასაშვებად იქნას მიჩნეული დაგეგმილი საქმიანობა, რომელიც სავარაუდოდ უარყოფითად იმოქმედებს ნატურა 2000 უბანზე (ჰაბიტატის დირექტივის მუხლი 6.4-ს), თუ ნაჩვენებია, რომ **არ არსებობს სხვა ნაკლებად საზიანო ალტერნატივა**, ხოლო დაგეგმილი პროექტი იმპერატიულ აუცილებლობას წარმოადგენს **უმაღლესი საზოგადოებრივი ინტერესებიდან** გამომდინარე. ასეთ შემთხვევებში, **საჭიროა ადეკვატური საკომპენსაციო ზომების უზრუნველყოფა, რათა ნატურა 2000 ქსელის საერთო მთლიანობა იქნას უზრუნველყოფილი.**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით, „შესაბამისობის შეფასების“ პროცედურა არარის გზმ-ს და სგმ-ს დირექტივებით, ასევე წყლის ჩარჩო დირექტივის<sup>16</sup> მუხლი 4.7-ით განსაზღვრული პროცედურების ანალოგიური, თუმცა კარგი იქნება მათი ერთმანეთთან ინტეგრირება ან კოორდინირება მაინც.

### დებულებები სახეობების დაცვის შესახებ

ბიომრავალფეროვნების დირექტივების დებულებების მეორე ნაწილი ეხება გარკვეული სახეობების დაცვას მათი ბუნებრივი არეალების ფარგლებში ევროკავშირის მასშტაბით, ყველგან როგორც ნატურა 2000-ის უბანზე, ისე მის გარეთ. ასეთ სახეობებს მიეკუთვნებიან ჰაბიტატების დირექტივის IV დანართში ჩამოთვლილი სახეობები და ყველა ის გარეული ფრინველი, რომელიც გვხვდება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. კონკრეტული პირობები მოცემულია ფრინველთა დირექტივის მე-5 მუხლში, ჰაბიტატების დირექტივის მე-12 (ცხოველებისთვის) და მე-13 (მცენარეებისთვის) მუხლებში.

16. კომისიის ვებ-გვერდები გზმ-სა და სგმ-ს შესახებ — <http://ec.europa.eu/environment/eia/eia-legalcontext.htm> ; <http://ec.europa.eu/environment/eia/sea-legalcontext.htm>

ამ სახეობებთან მიმართებით წევრ ქვეყნებს არსებითად მოეთხოვებათ:

- აკრძალონ მათი მიზანმიმართული შეწუხება გამრავლების, გამოკვების, ჰიბერნაციისა და მიგრაციის დროს;
- არ დაუშვან გამრავლების ან დასასვენებელი ადგილების მდგომარეობის გაუარესება, ან განადგურება;
- არ დაუშვან ბუდეების ან კვერცხების მიზანმიმართული განადგურება, ან დაცული მცენარეების ამოღება, ან განადგურება.

სახეობების დაცვის დებულებებიდან გამონაკლისების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ შემზღვეულ გარემოებებში - ისეთი როგორცაა მოსავლის ან შინაური პირუტყვისთვის სერიოზული ზიანის თავიდან აცილება, ან საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნული გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დირექტივის მიზნებისთვის მისაღები სხვა გამოსავალი. გამონაკლისი შემთხვევების დაშვების (გამოყენების) პირობები მოცემულია ფრინველების დირექტივის მე-9 მუხლში და ჰაბიტატების დირექტივის მე-16 მუხლში<sup>17</sup>.

**სახეობათა დაცვის დებულებები ასევე ძალზე აქტუალურია 2000-ის ტერიტორიების გარეთ მდებარე ჰიდროენერგეტიკული ობიექტებისთვის.** ეს დებულებები იცავს ნებისმიერი გარეული ფრინველის ან „ჰაბიტატების დირექტივის“ IV დანართში ჩამოთვლილი სახეობის გამრავლებისა თუ დასვენების ადგილებს და დაგეგმილმა სამუშაომ ან ობიექტმა ის არ უნდა გაანადგუროს. საწინააღმდეგო დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ საქმე გვაქვს გამონაკლის შემთხვევასთან და არსებობს კომპეტენტური უწყების მიერ გამოტანილი და დირექტივის პირობების შესაბამისად მიღებული სათანადო გადაწყვეტილება. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკის ობიექტისთვის, რომელიც მდებარეობს იმ მდინარეზე, რომელსაც იყენებენ მიგრირებადი სახეობები— გადამფრენი ფრინველები ან მიგრირებადი თევზები (მაგ. ატლანტური ზუთხი *Acipenser sturio* და ჰაბიტატების დირექტივის IV დანართში შესული სხვა სახეობა).

## **2. კოორდინაცია წყლის ჩარჩო დირექტივას და ბიომრავალფეროვნების დირექტივებს შორის**

წყლის ჩარჩო დირექტივა და ბიომრავალფეროვნების ორი დირექტივა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგან მათი საერთო მიზანია ევროპის მტკნარი წყლის ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა. შესაბამისად, მათი განხორციელება უნდა იყოს კოორდინირებული ყოვლისმომცველი დადებითი ეფექტის მისაღწევად. ქვემოთ მოცემულია წყლის ჩარჩო დირექტივასა და ბიომრავალფეროვნების ორი დირექტივას შორის ურთიერთქმედების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებიც

---

17. Commission guidance document on the strict protection of animal species of Community interest under the 'Habitats' Directive [http://ec.europa.eu/environment/nature/conservation/species/guidance/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/conservation/species/guidance/index_en.htm)

განსაკუთრებით ეხება ჰიდროელექტროსადგურებს და უშუალოდ გამომდინარეობს ევროპის კომისიის ფორმატში „ხშირად დასმული შეკითხვებიდან“<sup>18</sup>.

განსხვავებები წყლის ჩაჩრო დირექტივისა და ბიომრავალფეროვნების დირექტივების ამოცანებს შორის

წყლის ჩაჩრო დირექტივა და ბიომრავალფეროვნების დირექტივები, ნაწილობრივ მაინც, ვრცელდება ერთსა და იმავე გარემოზე და აქვთ საერთო მიზნები, იმ კუთხით, რომ სამივე მიმართულია მდინარეების მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილებასა და წყლის ეკოსისტემების გაუმჯობესებისკენ. მიუხედავად ზოგადი მიზნების მსგავსებისა და მჭიდრო კავშირისა, მათ მიერ დასმული კონკრეტული ამოცანები მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან.

წყლის ჩაჩრო დირექტივა გულისხმობს ყველა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვას და მათი პოტენციალის და მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილებას – „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ შენარჩუნებას. მეორე მხრივ, ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივები მიზნად ისახავს დაიცვას, შეინარჩუნოს და აღადგინოს კონკრეტული სახეობები და ჰაბიტატები, რათა მიღწეული იქნას მათი ე.წ. სახარბიელო კონსერვაციულ სტატუსი მთელ მათ ბუნებრივ არეალში ევროკავშირის ფარგლებში.

წყლის ჩაჩრო დირექტივის ფარგლებში „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ მიღწევა ჩვეულებრივ ხელს უწყობს ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე მტკნარი წყლის ჰაბიტატებისა და მათზე დამოკიდებული სახეობების კონსერვაციის მიზნების მიღწევას და პირიქით. თუმცა, „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ მოთხოვნა ვრცელდება წყლის ობიექტებზე (მდინარეებზე, ტბებზე), ხოლო სახარბიელო კონსერვაციის სტატუსი უკავშირდება კონკრეტული ტიპის ჰაბიტატებსა და სახეობებს.

ამრიგად, „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ მიღწევა ყოველთვის არ არის საკმარისი პირობა სახეობებისა და ჰაბიტატების სახარბიელო კონსერვაციის სტატუსის მისაღწევად, მაშინაც კი, თუ ყველა წყლის ობიექტისთვის მიღწეულია „კარგი ეკოლოგიური სტატუსი“. აქედან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი კონსერვაციული ღონისძიებების გატარება უკვე ნატურა 2000-ის უბნის კონსერვაციის მიზნების მისაღწევად, რაც ითვალისწინებს იმ სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვას, რომელთა კონსერვაციისთვისაც ეს უბანია შექმნილი.

ეს საკითხი აღიარებულია წყლის ჩაჩრო დირექტივაში, რომლის 4.2 მუხლში აღნიშნულია, რომ „როდესაც წყლის ობიექტის მართვასთან დაკავშირებულია ერთზე მეტი ამოცანა, უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე მკაცრ პირობას აყენებს“. მაგალითად, თუ ნატურა 2000-ის უბანი განკუთვნილია წავის ან მტკნარი წყლის რომელიმე სხვა სახეობის კონსერვაციისთვის, შესაძლოა საჭირო გახდეს თევზაობის რეგულირება, რათა არ იქნას დაშვებული თევზის რესურსის

18. იხილეთ კომისიის წინაშე ხშირად დასმული კითხვები წყლის ჩაჩრო დირექტივის და ბუნების ორი დირექტივის გარშემო <http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/docs/FAQ-WFD%20final.pdf>

გადაქარბებული მოხმარება, მაშინაც კი, თუ ეს არ არის აუცილებელი წყლის ჩარჩო დირექტივის ფორმატში „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ მისაღწევად.

საუკეთესო შემთხვევაში, ეს დამატებითი მოთხოვნები უნდა იყოს შეტანილი (ან სულ მცირე ნახსენები მაინც უნდა იყოს), წყლის ჩარჩო დირექტივით გათვალისწინებულ მდინარის აუზური მართვის გეგმაში სპეციალური დებულებების სახით, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანხვედრა (და თავიდან აცილებული იქნას კონფლიქტები) წყლის ჩარჩო დირექტივისა და ნატურა 2000 -ით გათვალისწინებულ ღონისძიებებს შორის (იხ. მუხლი 4.1.c.)<sup>19</sup>.

### **ძლიერ მოდიფიცირებული ან ხელოვნური წყალსატევები და ნატურა 2000-ის ქსელი**

წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4.3-ის თანახმად, ზოგიერთი წყლის ობიექტი, რომელიც, მათი ფიზიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ადამიანის საქმიანობის შედეგად, უნდა მივიჩნიოთ „ძლიერ მოდიფიცირებულ წყლის ობიექტად“, თუ ისინი აკმაყოფილებენ წყლის ჩარჩო დირექტივის 4.3. მუხლის ყველა მოთხოვნას. ისეთი წყალსატევები, რომლებიც შექმნილია ადამიანის მიერ ისეთ ადგილებში, სადაც მანამდე არ არსებობდა წყლის ობიექტი, კვალიფიცირდება, როგორც ხელოვნური წყალსატევები (მაგ. ხელოვნური წყალსაცავი ან ხელოვნური სანავიგაციო, ან საირიგაციო არხი).

ძლიერ მოდიფიცირებული და ხელოვნური წყლის ობიექტებისთვის „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ კონცეფციის ნაცვლად გამოიყენება „კარგი ეკოლოგიური პოტენციალი“ და წყლის ჩარჩო დირექტივის ამოცანა ამ მდგომარეობის მიღწევას გულისხმობს (იმ შემთხვევაში, თუ კიდევ უფრო ნაკლებად მკაცრ ამოცანაზე არ არის საუბარი, როცა იყენებენ კიდევ უფრო დაბალ სტანდარტს - „საშუალო ეკოლოგიურ პოტენციალს“). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წყლის ჩარჩო დირექტივა, ძლიერ მოდიფიცირებულ ან ხელოვნურ ობიექტებთან მიმართებით, მიზნად ისახავს საუკეთესო ეკოლოგიური მდგომარეობის მიღწევას, რაც პრაქტიკულად შესაძლებელია და თავსებადია ამ ობიექტის ლეგიტიმურ გამოყენების რეჟიმთან, რომელიც საფუძვლად დაედო ობიექტის ძლიერ მოდიფიცირებულ წყლის ობიექტად ან ხელოვნურ წყალსატევად აღიარებას<sup>20</sup>.

ძლიერ მოდიფიცირებული ან ხელოვნური წყლის ობიექტი შეიძლება ასევე გამოცხადდეს ნატურა 2000-ის უბნად, თუ ის შეიცავს სახეობას ან ჰაბიტატის ტიპს, რომელიც შესულია ფრინველების დირექტივის I დანართში, ან ჰაბიტატების

---

19. იხილეთ კომისიის წინაშე ხშირად დასმული კითხვები წყლის ჩარჩო დირექტივის და ბუნების ორი დირექტივის გარშემო <http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/docs/FAQ-WFD%20final.pdf>

20. უფრო დეტალური ინფორმაცია კონკრეტულ მოთხოვნებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიიღოთ ევროპული კომისიის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოდან European Commission, Directorate-General for Environment, Identification and designation of heavily modified and artificial water bodies. Guidance document No 4, Publications Office, 2003“ შემდეგ მისამართზე: <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/77d2e154-9850-498c-b273-c5389e47ff02>

დირექტივის I ან II დანართებში. ასეთ შემთხვევებში საჭიროა შესაბამისი კონსერვაციული ღონისძიებების გატარება ამ სახეობის ან ჰაბიტატის დასაცავად და იმ მიზნების შესაბამისად, რომელიც განისაზღვრა ამ ტერიტორიის ნატურა 2000-ის უბნად გამოცხადებისას. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზომები შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ის, რაც საკმარისია „კარგი ეკოლოგიური პოტენციალის“ მისაღწევად. ისინი ასევე უნდა იყოს ინტეგრირებული წყლის ჩარჩო დირექტივის მდინარის აუზური მართვის გეგმებში, სპეციალური დებულებების სახით (იხ. მუხლი 4(1)ც, მუხლი 4(2)-თან ერთად).

### **ახლი პირობების შეფასება წყლის ჩარჩო დირექტივის ფაზებში**

ბუნების დაცვის დირექტივების მსგავსად, წყლის ჩარჩო დირექტივას აქვს სპეციალური დებულებები, რომლებიც გამოიყენება წყლის ობიექტებზე ახალი პროექტების შესაფასებლად. წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4.7-ის თანახმად, გარკვეულ პირობებში, სახელმწიფომ გამონაკლისის სახით შეიძლება დაუშვას წყლის ობიექტების ცვლილება ან ქმედებები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის მდგრადი განვითარებისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი, სავარაუდოდ, გამოიწვევს წყლის ობიექტის მდგომარეობის გაუარესებას ან ეწინააღმდეგება „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“, ან კარგი ეკოლოგიური პოტენციალის“ მიღწევას, ან მიწისქვეშა წყლების „კარგ მდგომარეობას“. ამ ტიპის პროექტების განხორციელება პოტენციურად მოიცავს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებსაც<sup>21</sup>.

თუ პროექტი პოტენციურად უარყოფითად იმოქმედებს როგორც წყლის ჩარჩო დირექტივის მიზნებზე, ასევე ნატურა 2000-ის უბანზე, მაშინ უნდა განხორციელდეს როგორც წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4.7-ით გათვალისწინებული, ასევე ნატურა 2000-ის შეფასების პროცედურა, ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6.3-ის მიხედვით, საუკეთესო შემთხვევაში ეს პროცესი უნდა წარიმართოს კოორდინირებულად ან სულაც ინტეგრირებულად). თითოეულ მათგანს აქვს განსხვავებული სამართლებრივი აქცენტი: ერთი აფასებს, არის თუ არა პროექტი საფრთხის მომტანი წყლის ჩარჩო დირექტივის ძირითადი მიზნებისთვის, ხოლო მეორემ უნდა შეაფასოს იმოქმედებს თუ არა ეს პროექტი უარყოფითად ნატურა 2000-ის ტერიტორიის მთლიანობასა და მიზნებზე. თუმცა, ეს ხელს არ უშლის შეფასების გარკვეული ასპექტების კოორდინაციას, მაგ. კვლევებისა და კონსულტაციების დონეზე.

წყლის ჩარჩო დირექტივა ცალსახად აღიარებს, რომ დაგეგმილი საქმიანობა (განვითარების პროექტი) ვერ განხორციელდება, თუ ის არ შეესაბამება ევროკავშირის სხვა გარემოსდაცვით კანონმდებლობას; ანუ, თუ დაგეგმილი საქმიანობა ან პროექტი არ აყენებს საფრთხის ქვეშ წყლის ჩარჩო დირექტივის მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ უარყოფითად იმოქმედებს ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობაზე, მაშინ ის ვერ დამტკიცდება წყლის ჩარჩო დირექტივის მიხედვით, თუ არ იქნება დაშვებული გამონაკლისი ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6.4-ის მოთხოვნების შესაბამისად. განმარტება წყლის ჩარჩო დირექტივის მე-4(7) მუხლის გამოყენებასთან

---

21. მუხლი 4.7-ის გამოყენების პრეცედენტული შემთხვევების შესახებ ინფორმაცია იხილეთ სასამართლოს გადაწყვეტილებები; საქმეები: C-461/13 და C-346/14.

დაკავშირებით, გარემოსდაცვითი მიზნებიდან გამონაკლისების შესახებ, ბუნების დირექტივებთან კავშირის ჩათვლით, მოცემულია განხორციელების საერთო სტრატეგიის (Common Implementation Strategy - CIS) სახელმძღვანელო დოკუმენტში No. 36 წყლის ჩარჩო დირექტივის 4.7 მუხლის შესახებ, რომელიც დამტკიცდა 2017 წელს<sup>22</sup>.

---

22. [https://circabc.europa.eu/sd/a/e0352ec3-9f3b-4d91-bdbb-939185be3e89/CIS\\_Guidance\\_Article\\_4\\_7\\_FINAL.PDF](https://circabc.europa.eu/sd/a/e0352ec3-9f3b-4d91-bdbb-939185be3e89/CIS_Guidance_Article_4_7_FINAL.PDF)

## **მტკნარი წყლის მარგალიტის მიდიების კონსერვაცია ირლანდიაში**

მტკნარი წყლის მარგალიტის მიდია (*Margaritifera margaritifera*) ერთ-ერთი უძველესი უხერხემლო ორგანიზმია. რთული სასიცოცხლო ციკლისა და ბუნებრივ მდგომარეობასთან დაახლოებულ წყლის გარემოსა და სუფთა გამდინარე წყლისადმი მოთხოვნილების გამო, იგი მდინარის ეკოსისტემების მდგომარეობის კარგი ბიოლოგიური ინდიკატორია. სახეობა დაცულია ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით, მაგრამ გააჩნია არასახარბიელო კონსერვაციის სტატუსი მთელ ირლანდიაში, რაც ძლიერ სედიმენტაციას ან საკვები ნივთიერებებით გაჯერებული დანალექის არსებობას უკავშირდება.

2009 წელს, ირლანდიაში შემუშავდა ეროვნული კანონმდებლობა მტკნარი წყლის მიდიის კონსერვაციის სახარბიელო სტატუსის მისაღწევად. ეს კანონმდებლობა აწესებს გარემოს ხარისხის სავალდებულო ნორმებს მტკნარი წყლის მიდიების ჰაბიტატისთვის ნატურა 2000-ის უბნებში. ასევე განისაზღვრა ქვე-აუზური მართვის გეგმების მომზადების და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვის საჭიროება. ამ გეგმების მიზანია მთელი წყალშემკრები აუზის მასშტაბით მიდიების რიცხოვნობის შემცირების გამომწვევ ფაქტორებზე რეაგირება. გამოყენებული ფორმატი ასახავდა მდინარის აუზის მართვის გეგმებს წყლის ჩარჩო დირექტივის ფარგლებში, რათა შემდგომ ქვე-აუზური მართვის გეგმები მდინარის აუზური მართვის გეგმის საერთო ქოლგის ქვეშ მოქცეულიყო.

ირლანდიაში ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებსა და წყლის ჩარჩო დირექტივას შორის მჭიდრო კავშირები ადრეულ ეტაპზე გამოიკვეთა; 2009 წელს, წყლის ჩარჩო დირექტივის ეროვნულმა ტექნიკურმა საკოორდინაციო ჯგუფმა დააარსა ქვეკომიტეტი - „ეროვნული კონსერვაციის სამუშაო ჯგუფი“. მისი მთავარი მიზანი იყო წყლის ჩარჩო დირექტივის ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხების კოორდინაციისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაბამის სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა.

ჯგუფმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მტკნარი წყლის მიდიების ქვე-აუზური მართვის გეგმების განხორციელებაში და შეიმუშავა მტკნარი წყლის მიდიებისთვის წყალშემკრები აუზის მართვის პრაქტიკული, ფუნქციონალური და ეკონომიური ღონისძიებები; ჯგუფმა ასევე დაგეგმა ამ ღონისძიებების ეფექტურობის შეფასების პროცედურა და გამოავლინა საჭიროებები როგორც პოლიტიკის, ისე მეთოდოლოგიის დონეზე.

[http://www.wfdireland.ie/docs/5\\_FreshwaterPearlMusselPlans/](http://www.wfdireland.ie/docs/5_FreshwaterPearlMusselPlans/)

<http://kerrylife.ie>

<http://www.environ.ie/en/Environment/Water/WaterQuality/WaterFrameworkDirective/>

### 3. წყალდიდობების დირექტივა

2007 წლის ნოემბერში მიიღეს დირექტივა 2007/60/EC. იგი ადგენს წყალდიდობების რისკების შეფასებისა და მართვის ჩარჩოებს და წევრ სახელმწიფოებს ავალებს შემდეგ ქმედებებს:

1. წყალდიდობის საშიშროებისა და წყალდიდობის რისკის რუკების შექმნა, რომლებზეც აღნიშნულია მდინარის აუზებში (ან მართვის სხვა შეთანხმებულ ერთეულზე) იდენტიფიცირებული წყალდიდობის რისკის ზონები. ეს რუკები ასევე უნდა ასახავდეს პოტენციურ არასასურველ შედეგებს, რომელიც უკავშირდება წყალდიდობის სხვადასხვა სცენარს. მათ შორის უნდა შეიცავდეს ინფორმაციას წყალდიდობის შედეგად გარემოს დაბინძურების პოტენციური წყაროების შესახებ. გარდა ამისა დატანილი უნდა იყოს დაცული ტერიტორიები და ეკოლოგიური ქსელები, მაგ. ნატურა 2000. (რუკის შედგენის ვადა 2013 წლის დეკემბერი).
2. წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების შემუშავება, რათა მოხდეს დატბორვის პოტენციური უარყოფითი შედეგების მართვა და შემცირება. ეს გეგმები უნდა მოიცავდეს პრიორიტეტულ ღონისძიებებს— წყალდიდობის რისკის მართვის ყველა ასპექტს: პრევენციას, დაცვას და რეაგირებას, კონკრეტული მდინარის აუზის ან ქვეაუზის მახასიათებლების გათვალისწინებით (გეგმების შემუშავების ვადა 2015 წლის დეკემბერი).

წყალდიდობის შესახებ დირექტივის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს ბუნების დირექტივების მოთხოვნებს. მაგალითად, თუ წყალდიდობისგან დაცვის ღონისძიება საფრთხეს უქმნის ნატურა 2000-ის ერთ ან მეტ უბანს, ის ასევე უნდა შეესაბამებოდეს ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის პროცედურას და უნდა განხორციელდეს შესაბამისობის შეფასება პროექტის პოტენციური გავლენის შესაფასებლად ნატურა 2000-ის საიტ(ებ)ის მთლიანობაზე.

### 4. სგშ -ს და გზშ -ს დირექტივები

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) დირექტივა 2001/42/EC

ევროპარლამენტის დირექტივა 2001/42/EC გარკვეული პროგრამებისა და გეგმების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (სგშ-ს დირექტივა), მიზნად ისახავს გარემოს მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა შესაძლო უარყოფითი ეკოლოგიური შედეგების საქმიანობის დაგეგმვის ან მომზადების ეტაპზე გამოვლენითა და გათვალისწინებით, ანუ მანამ, სანამ მოხდება მოცემული გეგმისა თუ პროგრამების დამტკიცება.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) სავალდებულოა მთელი რიგი გეგმებისა და პროგრამებისთვის, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია გზშ-ის დირექტივაში. ამ პროცესის განხორციელება ქმნის დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ნებართვის გაცემის წინაპირობას და აყალიბებს მომავალი

საქმიანობის ისეთ ფორმატს (ჩარჩოს), რომელიც მინიმალურ ზიანს მიაყენებს გარემოს. ის ასევე სავალდებულოა ნებისმიერი გეგმისა თუ პროგრამისთვის, რომელიც მაღალი ალბათობით იქონიებს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ნატურა 2000-ის უბანზე, ამიტომ უნდა შეფასდეს ჰაბიტატების დირექტივის 6.3 მუხლის შესაბამისად.

სგშ-ს პროცესის ფარგლებში წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მოამზადონ გარემოსდაცვითი ანგარიში, რომელიც შეაფასებს დაგეგმილი სამუშაოებისა და პროგრამების სავარაუდო ზემოქმედებას გარემოზე. გარდა ამისა, ამავე დოკუმენტში უნდა განხილული იქნას და შეფასდეს შესაძლო ალტერნატივები დამათი პოტენციური ზეგავლენის მასშტაბებიც. ასევე, წევრმა ქვეყნებმა უნდა გაიარონ კონსულტაციები გარემოს მართვაზე პასუხისმგებელ უწყებებთან და საზოგადოებასთან.

უნდა ჩატარდეს ეფექტური და დროული კონსულტაციების სერია, რაც საშუალებას მისცემს გარემოსდაცვით უწყებებსა და საზოგადოებას, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები წარმოდგენილი გეგმებისა თუ პროგრამების თაობაზე, მათ დამტკიცებამდე. სგშ-ს ჩატარების პროცესი კოორდინირებული უნდა იყოს გეგმისა და პროგრამის განვითარების პროცესთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონსულტაციების ეტაპზე გამოთქმული გარემოსდაცვითი მოსაზრებებისა და შენიშვნების ინტეგრირება ბოლო ვარიანტებში.

საბოლოო ჯამში, სგშ მიზნად ისახავს ნაახალისოს ტერიტორიულ დაგეგმვაში უფრო მეტად ინტეგრირებული და ეფექტური მიდგომის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს გარემოს დაცვის, მათ შორის ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხების გათვალისწინებას დაგეგმვის ადრეულ, სტრატეგიულ ეტაპზე. ამგვარი მიდგომა ამცირებს კონფლიქტებს გეგმებისა თუ პროექტების განხორციელების პერიოდში. გარდა ამისა, იგი საშუალებას გვაძლევს, მომავალი პროექტების განსახორციელებლად ისეთი ზონები შეირჩეს, რომლებშიც პოტენციურად ასეთი კონფლიქტი არ წარმოიშობა, მაგალითად ნატურა 2000-ის უბნებზე ან მათ სიახლოვეს.

### გზმ დირექტივა

მაშინ, როცა სგშ-ის პროცესი განკუთვნილია გეგმებისა და პროგრამებისთვის, ე.წ „გზმ დირექტივა“ 2011/92/EU (2014 წლის შესწორებული სახით მინიჭებული აქვს ახალი ნომერი ევროპარლამენტის დირექტივა 2014/52/EU გარემოზე ზემოქმედების შესახებ), განკუთვნილია გარკვეულ სახელმწიფო თუ კერძო კონკრეტული პროექტების შესაფასებლად. შესაბამისად, დირექტივის თანახმად პროექტის<sup>23</sup> განხორციელებაზე ნებართვა გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეფასდება პროექტის სავარაუდო ზემოქმედება გარემოზე.

---

23. გზმ დირექტივა ტერმინ „პროექტს“ განსაზღვრავს, როგორც სამშენებლო სამუშაოების, კონსტრუქციების, დანადგარ-მონწყობილობების მონტაჟს ან სხვა სახის ჩარევას ბუნებრივ გარემოსა და ლანდშაფტში.

გზმ დირექტივის მიხედვით გარკვეული სახის პროექტებისთვის გზმ-ს ჩატარება აუცილებელია (მათი ჩამონათვალი მოცემულია „დანართი I-ში<sup>24</sup>) და სხვა პროექტების შემთხვევაში კი წევრი სახელმწიფოების შესაბამისმა სამსახურებმა (მაგ. გარემოს დაცვის უწყებამ) უნდა განსაზღვროს, ექნება თუ არა პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე („დანართი II პროექტები<sup>25</sup>“). ეს პროცესი ხორციელდება ე.წ. „სკრინინგის“ პროცედურის მეშვეობით, დირექტივის III დანართში მოცემულ კრიტერიუმების მიხედვით. ჰიდროელექტროენერგეტიკული პროექტების უმეტესობა დანართი II -ში ხვდება<sup>17</sup>.

## **5. ურთიერთდამოკიდებულება სგმ-ს, გზმ-ს და ჰაბიტატების დირექტივის 6.3 მუხლს შორის**

გზმ დირექტივის მიხედვით (მიღებული შესწორებებით 2014/52/EU), კოორდინირებული და/ან ერთობლივი პროცედურა უნდა განხორციელდეს, თუ პროექტის შეფასება საჭიროა როგორც გზმ-ის დირექტივის, ისე ბუნების (ჰაბიტატების და ფრინველების) დირექტივების შესაბამისად. იმ პროექტებისთვის<sup>26</sup>, რომლებიც შეფასებას ექვემდებარება ერთდროულად გზმ-ის, ჰაბიტატების, ფრინველების, წყლის ჩარჩოსა და სამრეწველო ემისიების დირექტივების შესაბამისად, კომისიამ შეიმუშავა სპეციალური გზამკვლევი კოორდინირებული და/ან ერთობლივი პროცედურების ჩასატარებლად.

კოორდინირებული პროცედურის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა კოორდინაცია უნდა გაუწიონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესებს, რომლებიც ცალ-ცალკე ჩატარდება ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით ამგვარ შეფასებას დაქვემდებარებული პროექტებისთვის. ხოლო ერთობლივი პროცედურის დროს, წევრი ქვეყნების მთავრობები უზრუნველყოფენ ერთიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას.

**ამავე დროს, შესაბამისობის შეფასება (AA), რომელიც ევროკავშირის ველური ბუნების კანონმდებლობის მიხედვით უნდა ჩატარდეს, ერთიან გარემოსდაცვით ანგარიშის დოკუმენტში მაინც ცალკე, ადვილად იდენტიფიცირებად ნაწილად უნდა შევიდეს.** ეს გამომწვეულია იმით, რომ ჰაბიტატების დირექტივით მოთხოვნილი შესაბამისობის შეფასების პროცედურა აფასებს ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა ასპექტს და აქვს განსხვავებული კრიტერიუმები ზემოქმედების ხარისხის დასადგენად, ვიდრე გზმ/ზგმ -ს დირექტივებით გათვალისწინებულ პროცედურებს. კერძოდ, ეს უკანასკნელი განიხილავს გარემოზე ზემოქმედების ყველა ასპექტს,

---

24. I დანართის პროექტები, მოიცავს ისეთ კაშხლებისა და სხვა ტიპის კონსტრუქციებს, რომლებიც განკუთვნილია წყლის შეკავების ან წყლის მარაგის შესაქმნელად, სადაც წყლის მოცულობა აღემატება 10 მილიონ კუბურ მეტრს.

25. II დანართში შესული პროექტები მოიცავს ისეთ კაშხლებს და სხვა კონსტრუქციებს, რომლებიც შექმნილია წყლის შესაკავებლად ან გრძელვადიან პერსპექტივაში დასამარაგებლად, რომლებიც არ ხვდებიან I დანართში.

26. OJ C 273, 27.7.2016, p. 1-6. კომისიის გზამკვლევი გზმ-ს შესახებ გზმ-ს დირექტივის მუხლი 2(3) მიხედვით (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2011/92/EU, ცვლილება დირექტივით 2014/52/EU) (2016/C 273/01)

ბიომრავალფეროვნება კი, მათ შორის ერთ-ერთია. მაშინ, როცა ბუნების დირექტივების შესაბამისად ჩატარებული შეფასება ფოკუსირებულია იმ შესაძლო ზემოქმედებაზე, რომელსაც ნატურა 2000-ის ფარგლებში დაცული სახეობები და ჰაბიტატები განიცდის.

თითოეული დირექტივის ფარგლებში ჩატარებული შეფასება განსხვავებულია მათი შედეგის თვალსაზრისითაც. ზგს-სა და გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული შეფასებები განსაზღვრავს პროცედურულ მოთხოვნებს, მაგრამ არ ადგენს სავალდებულო გარემოსდაცვით სტანდარტებს. მეორე მხრივ, ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით ჩატარებული შეფასების შედეგები დაუყოვნებლივ სავალდებულო ხდება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსთვის და ამ შედეგებს უნდა დაეყრდნოს საბოლოო გადაწყვეტილებაც მოცემული პროექტის შესახებ.

ამრიგად, იმ შემთხვევაში თუ შესაბამისობის შეფასების პროცედურა არ დაადასტურებს, რომ დაგეგმილი საქმიანობა ან პროექტი უარყოფითად არ იმოქმედებს ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობაზე, სახელმწიფო უწყება ვერ დაეთანხმება მოცემული დაგეგმილი საქმიანობის/პროექტის განხორციელებას. ასეთ დროს პროექტი უნდა შეიცვალოს, თუ იგი არ ხვდება გამონაკლისი შემთხვევების კატეგორიაში ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6.4-ის შესაბამისად.

თუ შეფასების ჩატარება აუცილებელია ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ გეგმებისა და პროგრამების მიმართ ზგშ-ის დირექტივა გამოყენებული უნდა იქნას ამ დირექტივის საკანონმდებლო მანდატის შესაბამისად<sup>27</sup>.

**გზამკვლევითი „ევროკავშირის ინტერესის“ პროექტების) გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების დარეგულირებისთვის ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის სფეროში“**

როგორც ნებისმიერი სხვა სახის განვითარების პროექტი, ჰიდროენერგეტიკული პროექტებიც ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურებს. ევროპის კომისიამ გამოსცა სპეციალური გზამკვლევითი, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა პროცედურებს, განსაკუთრებით ევროკავშირის ინტერესის მქონე პროექტებისთვის (PCIs), რომლებიც გამოიყოფა ტრანსევროპული ენერგეტიკული ქსელის რეგულაციის შესაბამისად, მაშინ როცა პარალელურად უზრუნველყოფს ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების მაქსიმალურ დაცვას.

კომისიის გზამკვლევითი მოიცავს მთელ რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც უპირველესად ევროკავშირის ინტერესის მქონე პროექტებისთვისაა (PCIs) შემუშავებული, მაგრამ ასევე რელევანტურია ნებისმიერი სხვა ენერგეტიკული გეგმისა თუ პროექტისთვის, ჰიდროენერგეტიკის ჩათვლით.

27. C-177/11, EU:C:2012:378, p. 19-24.

ეს რეკომენდაციები შეეხება:

- ადრეულ დაგეგმვაზე, „საგზაო რუკასა“ და შეფასებების სკოპინგის პროცესს;
- პროექტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე, გარემოსდაცვითი შეფასებებისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების ეფექტურ ინტეგრაციას;
- პროცედურების კოორდინაციასა და ვადების დაწესებას;
- მონაცემთა შეგროვებას, მონაცემთა გაზიარებას და ხარისხის კონტროლს;
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას;
- პროცესებში საზოგადოების ადრეულ და ეფექტურ მონაწილეობას.

[http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/PCI\\_guidance.pdf](http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/PCI_guidance.pdf)

## 2. მტკნარი წყლის ეკოსისტემები და ჰიდროენერგეტიკა ევროკავშირში

### 1. ევროკავშირის მდინარეებისა და ტბების ეკოლოგიური სტატუსი

დამახასიათებელი კომპლექსური სტრუქტურითა და დინამიკით მდინარეები და ტბები განსაკუთრებით მდიდარ ეკოსისტემებს ქმნიან და პირდაპირი მნიშვნელობით, სიცოცხლე მოაქვთ მიმდებარე ტერიტორიებისთვის. მდინარეები და ტბები თავისთავად მაღალი ღირებულების ჰაბიტატებია; მოქმედებენ როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკოლოგიური დერეფნები, რომელთა წყალობითაც ხდება სახეობების გავრცელება და მიგრაცია. ასევე მათი დამსახურებაა წყალზე დამოკიდებული ეკოსისტემების (ჭალის ტყეები, ჭაობები, ჭენჭრობები და ტენიანი მდელოები), ერთმანეთთან დაკავშირებული მოზაიკა, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების კუთხით.

ევროპის ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა შორის დაახლოებით 400 მდინარეებსა და ტბებში მობინადრე მტკნარი წყლის სახეობაა, დაცულია ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივებით. მთლიანობაში ტბები და მდინარეები მოიცავენ ნატურა 2000-ის კონტინენტური ნაწილის ფართობის დაახლოებით 4%-ს (დაახლოებით 31 560 კმ<sup>2</sup> — რაც ბელგიის საერთო ფართობს აღემატება). ეს უბნები დაარსებულია ისეთი სახეობების კონსერვაციისთვის, როგორცაა ატლანტური ორაგული (*Salmo salar*), ნავი (*Lutra lutra*), ალკუნი (*Alcedo atthis*), მდინარის ხამანწკა (*Unio crassus*) და სხვა, ისევე როგორც ჰაბიტატის ისეთი ტიპები, როგორცაა: ჭალის ტყეები, ტენიანი მდელოები, ნოტიო მდელოები და ტორფნარები.

მდინარე სასიცოცხლო მნიშვნელობის მრავალფუნქციური რესურსიცაა ევროპის ეკონომიკისა და სოციალური კეთილდღეობისთვის. ისინი ეკონომიკის უამრავ სექტორს ემსახურებიან და ქმნიან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ბევრ პროდუქტსა და სერვისს. თუმცა ბოლო 150 წლის განმავლობაში ამ ეკოსისტემების ინტენსიური გამოყენების გამო, სულ რამდენიმე დიდი მდინარეა დარჩენილი ბუნებრივთან დაახლოებულ მდგომარეობაში. სხვადასხვა დონის დაბინძურების (მათ შორის ნუტრიენტებით) შედეგად დეგრადირებულია წყლის ხარისხი, სერიოზული ცვლილებებია მდინარეთა ჰიდრომორფოლოგიაში, ბუნებრივი ნაკადის დინამიკასა და ჰიდროლოგიურ რეჟიმებში, ასევე დეგრადირებულია ეკოლოგიური კავშირები.


ევროპის გარემოს სააგენტოს მიერ 2015 წელს მომზადებულმა ანგარიშმა „ევროპის გარემოს მდგომარეობის შესახებ“<sup>28</sup> აჩვენა, რომ ევროპის მდინარეებისა და ტბების ნახევარზე მეტი ვერ აკმაყოფილებდა „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ ან „პოტენციალის“ პირობებს. 2009 წელს ზედაპირული წყლების მხოლოდ 43% იყო კარგ ან საუკეთესო ეკოლოგიურ მდგომარეობაში. არ არსებობდა იმის მოლოდინიც, რომ

28. <http://www.eea.europa.eu/soer>


2015 წლისთვის მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდებოდა, რადგან ითვლებოდა, რომ წყლის ობიექტების მხოლოდ 53% მიაღწევდა კარგ ეკოლოგიურ მდგომარეობას, რაც შორს იყო წყლის ჩარჩო დირექტივის მიერ დასახული მიზნებისგან.

მდგომარეობა ევროკავშირის მასშტაბით კიდევ უფრო მძიმეა დაცული მტკნარი წყლის სახეობებისა და ჰაბიტატების თვალსაზრისით. ევროკომისიამ თავის **ბუნების მდგომარეობის შესახებ ანგარიშში**<sup>29</sup> შეაფასა იმ ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსები, რომლებიც დაცულია ბუნების ორი დირექტივით. 2007-2012 წლების მდგომარეობით, მტკნარი წყლის სახეობების თითქმის სამ მეოთხედს (74%) და მტკნარი წყლის ჰაბიტატის ტიპების 73%-ს მინიჭებული ჰქონდა არახელსაყრელი-არაადეკვატური ან არახელსაყრელი-ცუდი სტატუსი და სახეობების მხოლოდ 17%-ს და ჰაბიტატების 16%-ს ჰქონდა ხელსაყრელი სტატუსი.

კონსერვაციული სტატუსი  
(ა) სახეობების (5615 კვლევა)



კონსერვაციული სტატუსი  
(ბ) ჰაბიტატები (94 კვლევა)



სახარბიელო
  უცნობი  
 არასახარბიელო-არაადეკვატური
  არასახარბიელო-ცუდი

კონსერვაციული სტატუსი და გენდენცია: (ა) სახეობები; (ბ) ჰაბიტატები (ჰაბიტატების დიხექტივა) ხომლებიც უკავშირდება მდინაჩეებისა და ტბების ეკოსისტემებს. წყარო: EEA, 2015b, Article 17 reports and assessments.

29. <http://www.eea.europa.eu/publications/state-of-nature-in-the-eu>


შემაშფოთებელია ევროპის მდინარეების ზოგადი მდგომარეობა. ცხადია, რომ ევროპის ბევრი მდინარე ძლიერ დეგრადირებულია და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი წყლის ჩარჩო დირექტივისა და ბუნების ორი დირექტივის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. **ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრიორიტეტი გაკეთდება არა მხოლოდ შემდგომი გაუარესების შეჩერებაზე, არამედ მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე აქტიური ღონისძიებების გზით.**

## **2. ევროპის მტკნარი წყლის ეკოსისტემებზე მოქმედი ზეწოლა და საფრთხეები**

ადამიანი სხვადასხვა საქმიანობით ზეწოლას ახდენს წყლის ობიექტებზე. განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა აქვს ჰიდრომორფოლოგიურ მოდიფიკაციას, რაც აშკარად ჩანს მდინარეებისა და გარდამავალი წყალსატევების (დელტა, ფიორდი და ა.შ.) 40%-ზე მეტის შემთხვევაში. წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებული მდინარის აუზების პირველი აღწერის<sup>30</sup> შედეგად გაირკვა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაში მდინარეებისა და წყალსატევების ჰიდრომორფოლოგიაზე ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ურბანული განვითარება და წყალდიდობისგან დაცვა, ელექტროენერჯის გამომუშავება (ჰიდროენერჯეტიკის სფერო), შიდა ნავიგაცია, დაშრობა და სადრენაჟო სამუშაოები სოფლის მეურნეობისთვის.


---

30. Commission Communication: Towards Sustainable Water Management in the European Union' First stage in the implementation of the Water Framework Directive 2000/60/EC [COM(2007) 128 final].



მნიშვნელოვანი ზეწოლა (მახცხნივ) და ზემოქმედება (მაჩვენებ) მდინარეებზე; ფიზიკურებში მითითებულია წვეხი სახედმწიფოების ხაოღენობა (ევროპის წყლები - სტატუსის შეფასება და ზეწოლა 2012 წ.)

რაც შეეხება ნატურა 2000-ის მტკნარი წყლის ობიექტებზე ზეწოლას და საფრთხეებს, ბუნების მდგომარეობის ანგარიშში ყველაზე გავრცელებულ საფრთხედ ნახსენებია „წყლის ობიექტების მდგომარეობის ცვლილება“.



ბუნების მდგომარეობის ანგაზიში. EEA 201

### ჰიდროენერგეტიკა ევროკავშირში

2011 წლის მდგომარეობით ევროკავშირში დაახლოებით 23 000 ჰიდროელექტროსადგურია. მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა (91%) მცირე ზომის სადგურებია (10 მგვტ.სთ-ზე ნაკლები სიმძლავრის), რომლებიც მთლიანი ჰიდროგენერაციის დაახლოებით 13%-ს გამოიმუშავენ. მეორე მხრივ, დიდი ჰიდროელექტროსადგურები წარმოადგენენ ყველა ჰიდროელექტროსადგურის მხოლოდ 9%-ს, მაგრამ მათზე ჰიდროენერგეტიკის მიერ გენერირებული ელექტროენერჯის მთლიანი წარმოების დაახლოებით 87% მოდის\*

ტექნიკური მიზეზების გამო, ჰიდროელექტროსადგურები ძირითადად მთიან რაიონებში შენდება. მაგრამ მათ სერიოზული ზეგავლენა აქვთ საკმაოდ დიდ ტერიტორიებზე როგორც დიდ, ისე პატარა მდინარეებსა და ტბებზეც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მცირე ზომის მდინარეებში წყლის ნაკადის თუნდაც მცირე შემცირებას ან ბუნებრივი ეკოლოგიური პირობების დარღვევას, შეიძლება მძიმე უარყოფითი შედეგები მოჰყვეს.

ყველაზე ხშირად ევროკავშირში გვხვდება შემდეგი ტიპის ჰიდროელექტროსადგურები:

- **კალაპოტური (დერივაციული) ჰიდროელექტროსადგურები:** ელექტროენერჯის გენერაცია ხორციელდება წყლის ენერჯის

ხარჯზე, რომელიც წარმოიქმნება მდინარის სხვადასხვა წერტილს შორის სიმაღლეებს შორის სხვაობით. ამ დროს გამოიყენება მდინარეში არსებული წყლის ჩამონადენი და არ ხდება წყლის დაგუბება წყალსაცავებში. ჰესის ეს ტიპი ყველაზე ხშირად მცირე სიმძლავრის ობიექტებია, მაგრამ ასევე გამოიყენება დიდი სადგურების შემთხვევებშიც.

- **კალაპოტური სადგური წყლის რეზერვუარით:** ამგვარ ჰესს აქვს გარკვეული ზომის წყალსაცავი, რომელშიც წყლის დაგროვება ხდება წყალუხვობის ან დაბალი მოთხოვნილების პერიოდში და ეს წყალი შემდგომ გამოიყენება პიკის პერიოდში. შესაბამისად, გამომუშავების სიმძლავრე ნაკლებად არის დამოკიდებული ჩამონადენის რაოდენობასა და ხელმისაწვდომობაზე. ასეთი რეზერვუარები შეიძლება შეიცავდეს წყლის დღიურ, სეზონურ ან წლიურ მარაგს, რაც საშუალებას იძლევა, დაკმაყოფილდეს ელექტროენერჯის პიკური მოთხოვნები და ხელი შეეწყოს სხვა ტიპის განახლებადი ენერჯის (მაგ. ქარის) წარმოების ინტეგრაციას ელექტროსისტემაში.
- **წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურები :** ტრადიციულ რეზერვუარიან ჰიდროელექტროსადგურს აქვს საკმარისად დიდი ზომის წყალსაცავი, რათა მოახდინოს წყლის აკუმულაცია როგორც ნალექიანი, ასევე მშრალი სეზონის განმავლობაში. აქ წყალი გროვდება კაშხლის დახმარებით. ამგვარი სადგურის გამოყენება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში, როგორც საბაზისო დატვირთვის სადგური ან როგორც პიკური დატვირთვის სადგური.
- **სატუმბ-წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურები:** ასეთ სადგურებს აქვთ წყალსაცავები სხვადასხვა სიმაღლეზე, რაც ქმნის გენერაციის შესაძლებლობას პიკურ პერიოდებში; დაბალი მოთხოვნის დროს (მაგ. ღამით) მაღლა მდებარე რეზერვუარში ქვედა რეზერვუარიდან წყალი აიქაჩება, რომელიც შემდეგ ისევ ტურბინებში გადის უკვე მაღალი მოთხოვნის პერიოდში. სატუმბ-წყალსაცავიან ჰესებს ფარავს განახლებადი ენერჯის დირექტივა, მაგრამ მათ მიერ გენერირებული ენერჯია არ აისახება განახლებადი ენერჯის სტატისტიკაში.



\* [Arcadis 2011: Hydropower generation in the context of the EU WFD. EC DG Environment. 168 pp. [http://bookshop.europa.eu/pl/hydropower-generation-in-the-context-of-the-eu-water-framework-directive-pbKH3013438/downloads/KH-30-13-438-EN-N/KH3013438ENN\\_002.pdf;pgid=y8dIS-7GUWmDSR0EAlMEUUsWb0000A6euO\\_e0;sid=E0EKwHHfLLsKwijMudqUZxP6sYJ2kNMcbxE=?File-Name=KH3013438ENN\\_002.pdf&SKU=KH3013438ENN\\_PDF&CatalogueNumber=KH-30-13-438-EN-N](http://bookshop.europa.eu/pl/hydropower-generation-in-the-context-of-the-eu-water-framework-directive-pbKH3013438/downloads/KH-30-13-438-EN-N/KH3013438ENN_002.pdf;pgid=y8dIS-7GUWmDSR0EAlMEUUsWb0000A6euO_e0;sid=E0EKwHHfLLsKwijMudqUZxP6sYJ2kNMcbxE=?File-Name=KH3013438ENN_002.pdf&SKU=KH3013438ENN_PDF&CatalogueNumber=KH-30-13-438-EN-N) ]2. ასევე იხილეთ: Water management, Water Framework Directive & Hydropower. Common Implementation Strategy Workshop’.

### 3. ჰიდროენერგეტიკის ზეგავლენა მტკნარი წყლის ეკოსისტემებზე

ევროკავშირის ბუნების დირექტივებით დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატის ტიპებზე ჰიდროელექტროსადგურების ზემოქმედება, შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს ნატურა 2000 სხვადასხვა საიტის მიხედვით. ზეგავლენის მასშტაბი დამოკიდებულია კონკრეტული მდინარის მახასიათებლებზე, მის ფიზიკურ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე— დეგრადირებულია თუ არა ეკოსისტემა, დიდია თუ მცირე მდინარე, მთის მდინარეა თუ დაბლობის და ა.შ. ზეგავლენა ასევე დამოკიდებულია იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომელთა კონსერვაციისთვისაც შეიქმნა მოცემული ნატურა 2000 -ის საიტი და თვით ჰიდროენერგეტიკული ობიექტების ტიპსა და ზომაზე. **ამის გამო, თითოეული ჰესის ზეგავლენის განხილვა ინდივიდუალურად უნდა მოხდეს.**

ჰაბიტატებსა და სახეობებზე ზეგავლენამ შეიძლება თავი იჩინოს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ყოველდღიური ექსპლუატაციის, რემონტის ან დემონტაჟის ეტაპზე. ზეგავლენა შეიძლება მოიცავდეს ბუნებრივი ჰაბიტატების კარგვას, დეგრადაციას ან ფრაგმენტაციას და იმ სახეობების პოპულაციების შემცირებას ან სრულ განადგურებას, რომლებიც ამ ჰაბიტატებზეა დამოკიდებული. ზიანის ოდენობა დამოკიდებულია ზემოქმედების მასშტაბზეც, ასევე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჰაბიტატებისა და სახეობების მონყვლადობაზე.

ქვემოთ ასახულია ზემოქმედების დიაპაზონი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ჰიდროენერგეტიკას ჰაბიტატებსა და სახეობებზე, განსაკუთრებით ევროკავშირის ბუნების დირექტივების ქრილში. ჰიდროენერგეტიკული ობიექტების ოპერატორებმა კარგად იციან თუ რა ტიპის ზემოქმედებას აქვს ადგილი მდინარის ეკოსისტემებზე და ესმით ამ ეკოსისტემების კომპლექსურობა. შესაბამისად, მათ ყველაზე კარგად შეუძლიათ საკუთარი საქმიანობა მოიყვანონ შესაბამისობაში წყლის ჩარჩო დირექტივასთან და ბუნების დირექტივების მოთხოვნებთან, ასევე შეუძლიათ ყველა მხარისთვის პოტენციური მომგებიანი სიტუაციების (ე.წ. win-win situations) წარმოდგენა, რათა სადაც შესაძლებელია ხელი შეუწყონ უკვე დეგრადირებული მდინარეების ეკოსისტემების აღდგენას.

- ცვლილებები მდინაჩის მოხფორმობასა და მდინაჩის ჰაბიტატებში

წყლის ობიექტების ნებისმიერი ფიზიკური მოდიფიკაცია გავლენას ახდენს ჰიდროლოგიური პროცესების ნორმალურ მიმდინარეობაზე და არღვევს მტკნარი წყლის სისტემების ეკოლოგიურ მთლიანობას, როგორც მდინარის კალაპოტის გასწვრივ, ასევე განივი მიმართულებითაც. მაგ. შეიძლება გამოიწვიოს მდინარის მონყვეტა მათი მიმდებარე ჭალებიდან და ჭაობებიდან ან გამოიწვიოს ელექტროსადგურების ირგვლივ ტერიტორიების დატბორვა<sup>31</sup>.

31. მეტი დეტალი მოცემულია შემდეგ პუბლიკაციაში: Common Implementation Strategy for the Water Framework Directive, WFD and hydromorphological pressures, Technical Report, Good practice in managing the ecological impacts of hydropower schemes. [https://circabc.europa.eu/sd/a/68065c2b-1b08-462d-9f07-413ae896ba67/HyMo\\_Technical\\_Report.pdf](https://circabc.europa.eu/sd/a/68065c2b-1b08-462d-9f07-413ae896ba67/HyMo_Technical_Report.pdf)

ჰაბიტატის კარგვის ყველაზე აშკარა ფორმაა თავად ჰაბიტატების პირდაპირი ფიზიკური განადგურება ჰიდროენერგეტიკული ობიექტის ზემოთ, ქვემოთ ან მიმდებარე ტერიტორიაზე (მაგ. ბუნებრივი ფართობის ფიზიკური დაკავება, დატბორვა, ჭალების ან სხვა დატბორვადი უბნების მცენარეული საფარის, ან სხვა ფიზიკური ელემენტების გაქრობა). მაგრამ ფართობის ფიზიკური დაკავების გარეშეც, ბუნებრივი ჰიდრომორფოლოგიური პროცესების რღვევაც იწვევს ისეთი ბიოტური და აბიოტური პირობების შეცვლას, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰაბიტატის სტრუქტურისა და ფუნქციონირებისთვის. გარდა ამისა, ყოველივე ამან შეიძლება ხელი შეუწყოს დეგრადირებულ ჰაბიტატებში ინვაზიური სახეობების გავრცელებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადგილობრივი ფაუნის გაქრობა ლოკალურ დონეზე.

- ბაზიუხების შექმნა დაცული სახეობების მიგრაციასა და გავრცელებაში


მდინარეები, ტბები და სანაპირო ზონები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მტკნარი წყლის სახეობების გავრცელებასა და მიგრაციაში, ასევე შედარებით ლოკალური ხასიათის გადაადგილებისას გამოკვების, გამრავლების, მოსვენებისა და ბუდობის ადგილებს შორის. ლანდშაფტის ფარგლებში ისინი ფუნქციონირებენ, როგორც სასიცოცხლო ეკოლოგიური დერეფნები და უსაფრთხო გადაადგილების „კუნძულები“. სახეობების თავისუფალ გადაადგილებაში ნებისმიერი სახის ბარიერი ან მცირე შეფერხებაც კი მდინარის ორივე მიმართულებით, ხშირად მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს ამ სახეობების გავრცელებასა და გადარჩენაზე.

ჰიდრო მორფოლოგიური ზეგავლენის ძირითადი ფორმები უდანევო დერივაციული ჰიდროელექტროსადგურები




- შეშლის უფრო ცვლით მდინარის თავისებურებას
  - ამირებს წყლის ნაკადის სიჩქარეს
  - ცვლის სუბსტრატის სტრუქტურას
  - ააღწის შავალყურის წყლის ბინძავი კონცენტრაცია და წყლის შევსებაზე საჭიროებს ნაპირსაგარე საშუალებებს, რაც ცვლის ნაპირების სტრუქტურას
  - აფრებს ლუბრალო კაპიტის სახეობებისთვის არსებულ წყალგარე ამოსთვის (ცალსი თევზი, ვარდები და სხვა) შორის კავშირებს
- მიგრაციისთვის ქმნის ბარიერს
- დამსავი ბაღები აზიანებენ თევზს
- იწვევს სუბსტრატის დონით და მორფოლოგიის კავშირი მინსვება წყლებთან
- მდინარის კალაშით წყლის ნაკადის რაოდენობა და სიჩქარე სინერჯულად მრავლდება

ჰიდრო მორფოლოგიური ზეგავლენის ძირითადი ფორმები დერივაციული ჰიდროელექტროსადგურები



- შეშლის უფრო ცვლით მდინარის თავისებურებას
  - ამირებს წყლის ნაკადის სიჩქარეს
  - ცვლის სუბსტრატის სტრუქტურას
  - საჭიროებს ნაპირსაგარე საშუალებებს, რაც ცვლის ნაპირების სტრუქტურას
- მიგრაციისთვის ქმნის ბარიერს
- დამსავი ბაღები აზიანებენ თევზს
- ამცირებს წყლის ნაკადს (ნაკადის რაოდენობა და სიჩქარე იკლებს)



სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოწვეული ზემოქმედება. წყახო: ვეჰონიკა კოდეჩ-კხეიმელი

ჰიდროელექტროსადგურს შეუძლია პირდაპირ ან ირიბად შეაფერხოს ან სულაც შეაჩეროს სახეობების დისპერსია და მიგრაცია. ამის ყველაზე აშკარა მაგალითია კაშხლები და დაგუბებული ადგილები, რომლებიც ფიზიკური ბარიერებია თევზების მიგრაციისთვის, რის გამოც მათ აღარ შეუძლიათ მდინარის გასწვრივ ზევით- ქვევით გადაადგილება. ეს დიდი პრობლემაა მტკნარი წყლის მრავალი სახეობისთვის და იწვევს მტკნარი წყლის თევზების ბევრი სახეობის პოპულაციის ფრაგმენტაციას, იზოლაციას და საბოლოოდ გადაშენებას.

ბარიერის ეფექტი განსაკუთრებით მწვავეა, როდესაც მდინარის გასწვრივ ერთზე მეტი დაბრკოლებაა. ძალიან მცირე ნაგებობებისა და ფიზიკური ბარიერების შემთხვევაშიც კი, მდინარე შეიძლება უბრალოდ „გაუვალი“ გახდეს თევზებისთვის. ხმელეთის სახეობებისთვის კი ბარიერის ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს ხელოვნურმა არხებმა, რადგან ხდება ხმელეთის ჰაბიტატების ფრაგმენტაცია. მეორე მხრივ, არხი ქმნის მანამდე არარსებულ, ხელოვნურ კავშირებს სხვადასხვა წყალშემკრებ აუზებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უცხო სახეობების გავრცელება და ზიანი მოუტანოს ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას.

მდინარის ორივე მიმართულებით მიგრაციის შესაძლებლობა მნიშვნელოვანია თევზის ყველა სახეობისთვის. მაგრამ მდინარის ჰაბიტატის უწყვეტობა პირდაპირი მნიშვნელობით აუცილებელია დიადრომული სახეობებისთვის. აღმავალი მიგრაცია ყველაზე მნიშვნელოვანია ანადრომული თევზებისთვის, მაგ. ატლანტური ორაგული (*Salmo salar*), ატლანტური ზუთბი (*Acipenser sturio*); ასევე სალამურასნაირებისთვის, მაგ. ზღვის სალამურა (*Petromyzon marinus*). დაღმავალი მიგრაცია აუცილებელია ამ სახეობების ახალგაზრდა ინდივიდებისთვის და ზრდასრული კატადრომული თევზისთვის, მაგ., ჩვეულებრივი გველთევზა (*Anguilla anguilla*), რომელიც დაცულია გველთევზას რეგულაციით მიხედვით<sup>32</sup>.

32. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TX-T/?uri=CELEX%3A32007R1100>

- **სედიმენტაციის დინამიკის დახლვევა**

სედიმენტაცია წყლის ეკოსისტემებში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შემადგენელი ნაწილია და უმნიშვნელოვანესია ამ სისტემების ჰიდროლოგიური, გეომორფოლოგიური და ეკოლოგიური ფუნქციონირებისთვის. სედიმენტები ქმნის მრავალფეროვან ჰაბიტატებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობენ სახეობათა ფართო სპექტრის არსებობას. ბუნებრივ პირობებში ხდება ნატანი მასალების (ძირითადად ღორღის) მუდმივი გადაადგილება მდინარის დინების მიმართულებით, რაც მდინარეებს უნარჩუნებს ეკოლოგიურ სტრუქტურასა და ფუნქციას. კაშხლები და დამბები კი არღვევს სედიმენტების ბუნებრივ დინამიკას.

დიდი წყალსაცავები 90%-ზე მეტ ინერტულ მასალას იჭერენ, რასაც შეუძლია მდინარის ქვედა წელში კალაპოტისა და ნაპირების ეროზიული პროცესების დაჩქარება და ისეთი მნიშვნელოვანი ჰიდრომორფოლოგიური სტრუქტურების განადგურება, როგორიცაა რიყეები. კაშხლებსა და დამბებზე მიმდინარე სარემონტო და მოვლითი სამუშაოები გულისხმობს ინერტული მასალის პერიოდულ გამორეცხვას (განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც წყლის დეფიციტია), რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჰაბიტატებსა და სახეობებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება ამ პროცესების სათანადო მართვა.

კაშხლის ზემოთ, თვით წყალსაცავში ან გადაკეტილ მონაკვეთებში, ინერტული მასალის დაგროვება უარყოფითად მოქმედებს როგორც სახეობებზე, ისე ჰაბიტატებზე, რადგან მას შეიძლება მოჰყვეს მაგალითად, წყალმცენარეებისა და წყლის მცენარეების გადამეტებული გამრავლება და დაცული სახეობების შევიწროება. ღორღისა თუ ლამის დაგროვება შეიძლება განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდეს ლითოფილური სახეობებისთვის, როგორიცაა მაგ. ხარიუსი (*Thymallus thymallus*), რომელიც ასეთ ტერიტორიებს ტოფობისთვის იყენებს, ასევე მტკნარი წყლის მიდიებისთვის (*Margaritifera margaritifera*; *Unio crassus*); ასევე იმ ფრინველებისთვის, რომლებიც მშრალ რიყეებზე ბუდობენ (მაგ. ჩიბუხასებრნი).

### **ბარიერების მოხსნა მდინარე დუნაის აუზში**

მდინარე დუნაის აუზის რეგიონის ფარგლებში ჰიდროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გამო, მდინარეებისა და ჰაბიტატების მთლიანობა დაახლოებით 45% -თ არის დარღვეული. 4000 კვადრატული კილომეტრის საერთო ფართობის წყალშემკრებ აუზში 1 688 ბარიერია განთავსებული. მათგან 600 კაშხალი და დამბაა, 729 პანდუსი/ჯებირი, 359 ობიექტი სხვა ტიპის ბარიერი. ამ ბარიერებიდან 756-ზე არსებობს ფუნქციონირებადი თევზსავალი. 2009 წლის შემდგომ პერიოდში მოწყობილი ბარიერებიდან 932 (55%-ში), სერიოზულ პრობლემას ქმნის თევზების მიგრაციისთვის და ეს ზემოქმედება კლასიფიცირებულია, როგორც მნიშვნელოვანი ზენოლა. დუნაის აუზის მდინარეების მართვის ბოლო გეგმის მიხედვით, მდინარე დუნაის აუზის ქვეყნები გეგმავენ მნიშვნელოვნად შეამცირონ კაშხლებით გამოწვეული შეფერხებები და უზრუნველყონ მდინარის „უწყვეტობა“ 2021 წლისთვის.



- ჩამონადენის ეკოლოგიური ხეჯიმის ცვლილებები


ეკოლოგიური ჩამონადენი ის სასიცოცხლო მექანიზმია, რომელიც განაპირობებს მდინარის ეკოსისტემების კრიტიკულად მნიშვნელოვან პროცესებს. ამ პროცესებზეა დამოკიდებული მდინარის ეკოსისტემის სიჭანსაღე და ევროკავშირში დაცული მრავალი სახეობა თუ ჰაბიტატი<sup>33</sup>. ეკოლოგიური ჩამონადენის რეჟიმის ცვლილებას შეიძლება მოჰყვეს მტკნარი წყლის ჰაბიტატების შემცირება ან სრული განადგურება, ასევე კავშირის განწყვეტა მომიჯნავე ჰაბიტატებთან (მაგ. ქალის ტყეებთან).

მდინარის ჩამონადენის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალი უარყოფითი ეფექტი, მაგ. თევზის ტოფობის ადგილების დაშრობა ან ქვირითისა და მოზარდი ინდივიდების დაღუპვა; შეიძლება შეფერხდეს თევზების მიგრაცია მდინარის სათავეებისკენ, რადგან თავთხელ მონაკვეთებზე შეიძლება გადაულახავი ბარიერები გაჩნდეს ან თევზებში მიგრაციის მოტივაციის ინჰიბირება გამოიწვიოს.

მდინარის კალაპოტში წყლის ნაკადის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს წყლის ტემპერატურის მატება და წყალში ჟანგბადის კონცენტრაციის შემცირება. ეს ქმნის შეუსაბამო საარსებო გარემოს მთელი რიგი სახეობებისთვის: თევზები, კიბოსნაირები, ორსადგულიანი მოლუსკები ან წყლის ჰაბიტატებზე დამოკიდებული ისეთი სახეობები როგორცაა ნემსიყლაპია და სხვა.

- წყლის ხეჯიმის ცვლილება პიკური ჰიდროელექტროსადგულების მიერ

წყლის მოცულობის ძლიერმა ფლუქტუაციამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს როგორც სახეობებს, ასევე მათ ჰაბიტატებს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მცირე მდინარეების შემთხვევაში. ე.წ. ჰიდროდარტყმები (ჰიდროპიკები<sup>34</sup>), რაც გულისხმობს სადგურიდან გამოშვებული წყლის რაოდენობის მნიშვნელოვან ფლუქტუაციას, სერიოზულ ზიანს აყენებს ისეთ ორგანიზმებს, რომლებიც რთულად ეგუებიან წყლის ნაკადისა და დონის უცარ ცვლილებას (მაგ. ლიფსიტები ან სხვა ნელა მოძრავი ან სედენტური ორგანიზმები, განსაკუთრებით მცენარეები). უარყოფითი ზემოქმედება შეინიშნება მტაცებლების დაცულ სახეობებზეც, რადგან იცვლება მათი მსხვერპლი სახეობების ქცევა და გავრცელება.



33. 'Ecological flows in the implementation of the Water Framework Directive' <https://circabc.europa.eu/sd/a/4063d635-957b-4b6f-bfd4-b51b0acb2570/Guidance%20No%2031%20%20-%20%20Ecological%20flows%20%28final%20version%29.pdf>

34. რედაქტორის შენიშვნა: ელექტროენერგიაზე დღე-ღამური პიკური მოთხოვნების დაკმაყოფილების გამო, წყალსაცავის ქვემოთ მდებარე უბნებზე ხდება წყლის ნაკადების მოცულობის მკვეთრი და პერიოდული მატება და შემცირება. შედეგად ვითარდება ე.წ. „ჰიდროდარტყმა“ (Hydropeaking).

ჰიდროდარტყმების ეფექტი განსაკუთრებით მწვავეა გვალვის ან ყინვის დროს. ეს საკითხი ასევე სულ უფრო აქტუალურია კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით. ჰიდროელექტროსადგურების პიკური დატვირთვების ფორმით ექსპლუატაცია კიდევ ერთ არასასურველ ეფექტს ქმნის: ხშირად პიკის დროს წყალსაცავიდან გამოშვებული წყლის ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე სტანდარტულ რეჟიმში გამოშვებული წყლის ტემპერატურა. შედეგად, წყლის რეგულარულ ტემპერატურასთან შეგუებული ორგანიზმები ვერ ეგუებიან უეცარ ცვლილებას, რომელიც დღეში რამდენიმე საათს გრძელდება და იღუპებიან.

- სეზონური წყადღიძობების ციკლების შეცვლა

მდინარეში წყლის ნაკადების კონტროლის მიზნით, ზოგჯერ კალაპოტების შეცვლის პრაქტიკას მიმართავენ. ამან შეიძლება გამოიწვიოს სეზონური წყალდიდობის ციკლების დარღვევა, რაც თავის მხრივ იწვევს დაცული ჰაბიტატების და მათთან ასოცირებული სახეობების სრულ განადგურებას. ამ პროცესით ყველაზე ხშირად ზარალდება ალუვიური ტყეები, სეზონური ტბორები, მდინარეული ტბები და მათთან დაკავშირებული სახეობები.

### **ვეროპის კავშირის კვლევითი პროექტი - RIPEAK: ჰიდროდარტყმების ზეგავლენა ქალის ტყეებზე და ჰიდროენერჯეტიკის მდგრადი მართვა**

ჰიდროდარტყმა არის მდინარის ჩამონადენის მოკლებნიანი ფლუქტუაცია, რაც ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილების დღე-ღამური ცვლილების საპასუხოდ ტურბინების ჩართვა-გამორთვას უკავშირდება. ამ პროცესის შედეგად იცვლება მდინარის ჰიდროლოგია (როგორც სადგურის ზემოთ, ისე მის ქვემოთ), წყლის ხარისხი, მდინარის მორფოლოგია და სხვა მრავალი პარამეტრი, საბოლოო ჯამში – მდინარის ეკოსისტემა მთლიანად. სამეცნიერო მონაცემები ამ საკითხის გარშემო მწირია, ხოლო არსებული კვლევები ძირითადად დაკავშირებულია იქტიოფაუნასთან მაშინ, როცა შეუსწავლელია ამ პროცესის ზეგავლენა ქალის ტყეებზე.

ჰიდროდარტყმას შეუძლია გამოიწვიოს ქალის მცენარეულობის განახლების შეფერხება, შედეგად კი – ქალის ტყისთვის დამახასიათებელი გარკვეული სახეობების შემცირება. თესლის გაღივებისა და ამონაყარის პარამეტრების ანალიზი საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ურთიერთდამოკიდებულება ჰიდროდარტყმებსა და ქალის მცენარეულობის განახლებას შორის. შესაბამისად, შევძლებთ განვსაზღვროთ ამ მოვლენის ბიოლოგიური შედეგები (როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი) და მოვახდინოთ მოვლენების პროგნოზირება. ასეთი კვლევები დაგვეხმარება განვსაზღვროთ ზემოქმედების ზღვრული მაჩვენებლები, რაც ხელს შეუწყობს ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, წარმოების მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე.

ეს პროექტი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ჰიდროენერგეტიკულ წარმოებას დაქვემდებარებული მდინარეების მდგრად მართვას. ამ მიზნით დაგეგმილია ლიტერატურული მასალების სიღრმისეული შესწავლა, დღე-ღამური ნაკადების ფლუქტუაციის ანალიზი, საველე ექსპერიმენტები და კომპიუტერული მოდელირების ჩატარება. პროექტის მოსალოდნელი შედეგები: (1) ხელმისაწვდომი იქნება ახალი მონაცემები ჰიდროდარტყმების ზეგავლენის ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური (მაგალითად, ჭალის მცენარეულობის ანალიზი) პარამეტრები, (2) შეიქმნება ახალი ჰიდროლოგიურ-ეკოლოგიური მოდელები, რომლებიც აღწერს ამ ზეგავლენას და (3) შემუშავდება ეფექტური ღონისძიებები ჰიდროენერგეტიკული კაშხლების მდგრადი ფუნქციონირებისთვის.

<http://www.emg.umu.se/english/research/research-projects/responses-of-riparian-forests-to-hydropeaking/>

- წყლის ქიმიური და გემპეჩაგუხური პახამეგხების შეცვლა

ნალექებში დამაბინძურებლების დაგროვების ან სხვა პროცესების გამო, კაშხალი ძირულად ცვლის მდინარის ქიმიურ მახასიათებლებს, მინერალების შემცველობას და pH-ს როგორც დინების ზედა ნაწილში, ასევე სადგურის ქვემოთ. ყველა ეს ცვლილება გავლენას ახდენს მცენარეთა და ცხოველთა თანასაზოგადოებების შემადგენლობაზე. წყლის ტემპერატურის შეცვლასა და მასთან დაკავშირებულ ჟანგბადის კონცენტრაციის ცვლილებასაც უარყოფითი ზეგავლენა აქვს ორგანიზმებზე. წყალსაცავების მოწყობამ შეიძლება გამოიწვიოს მდინარის წყლის ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება; თუმცა შეიძლება პირიქითაც მოხდეს, თუ წყალდება ხდება წყალსაცავის ძირიდან, სადაც ზედაპირთან შედარებით, ტემპერატურა დაბალია.

- ცხოველთა ინდივიდების დაზიანება და დაღუპვა

ჰიდროელექტროსადგურში გავლისას თევზები და სხვა ცხოველები შეიძლება დაშავდნენ ან დაიხოცონ, შემდეგი მიზეზების გამო<sup>35</sup>:

- დაზიანებები ტურბინისკენ მიმავალ მილსადენებთან, ტურბინის ფრთებთან ან ტურბინის კორპუსთან ფიზიკური კონტაქტის დროს;
- ტურბინაში გავლისას წნევის მკვეთრი ფლუქტუაციით გამოწვეული ბაროტრავმები;
- წყლის მიმღებ ცხაურებში გაჭედვა ან სანმენდი მანქანების მუშაობით გამოწვეული დაზიანებები;
- ინტენსიური ნაკადით გამოწვეული ტრავმები და წყალსავარდნი ნაგებობების ზეგავლენით მიღებული დაზიანებები;
- ინდივიდების დეზორიენტაცია, რის გამოც ისინი უფრო ადვილად ხდებიან მტაცებლის მსხვერპლი.

35. Arcadis 2011: Hydropower generation in the context of the EU WFD. EC DG Environment. 168 pp. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/67f12506-5494-4b7e-8742-11b70c6cd280>

ელექტროსადგურზე ცხოველთა სიკვდილიანობა შეიძლება მერყეობდეს 0-დან 100%-მდე<sup>36</sup>. ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია მდინარეში გავრცელებულ თევზების სახეობებზე, ჰიდროელექტროსადგურის კონსტრუქციის ტიპსა და გამოყენებულ შემარბილებელ ღონისძიებებზე, მაგალითად, ტურბინებით გამოწვეული სიკვდილიანობა იზრდება, რაც შეტია ბრუნვის სიჩქარე და ფრთების რაოდენობა და რაც უფრო მცირეა ფრთებს შორის მანძილი (კაპლანი). სიკვდილიანობამ შეიძლება 100%-საც კი მიაღწიოს, თუ თევზი გადის ტურბინებს მაღალი წნევის სადგურებში (მაგ., პელტონის ტურბინებში).

- სახეობების შევიწხოება-განდევნა და შეწუხება

მდინარეზე მიმდინარე საინჟინრო სამუშაოები შემაწუხებელი ფაქტორია გარკვეული სახეობებისთვის და იწვევს მათი სასიცოცხლო ციკლის დარღვევას, როგორც ნატურა 2000-ის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით ეს ეხება ბენტოსურ ფაუნასა და ფლორას, რომელთა არსებობა წყლის კარგ ხარისხზეა დამოკიდებული. საინჟინრო სამუშაოებმა კი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სახეობების გამრავლების, კვების, დასვენების ან გავრცელებისა და მიგრაციის შესაძლებლობებზე.

თუ შეწუხების ფაქტორი მაღალია, მას შეიძლება მოჰყვეს სახეობების გაქრობა, ამ ტერიტორიიდან განდევნა (შესაბამისად, ჰაბიტატის დაკარგვა) ან მათი გადარჩენისა და გამრავლების ალბათობის შემცირება. თუნდაც მცირე ან დროებითი შეწუხებაც კი, შეიძლება ძალიან მძიმე დარტყმა იყოს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობებისთვის და რისკი შეუქმნას მათ გრძელვადიან არსებობას რეგიონში. ასეთი სიტუაციები შეუთავსებელია ბუნების ორი დირექტივის დებულებებთან, რომლებიც სახეობების დაცვას მოითხოვს.

- ზემოქმედება ხმელეთის სახეობებსა და ჰაბიტატებზე

ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედება არ შემოიფარგლება მტკნარი წყლის სახეობებსა და ჰაბიტატებზე, არამედ იგი ზეგავლენას ახდენს ხმელეთის სახეობებსა და ჰაბიტატებზეც. ისევე როგორც წყლის ორგანიზმების და ჰაბიტატების შემთხვევაში, ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ეტაპზე: მშენებლობის, ექსპლუატაციის, რემონტის ან დემონტაჟის დროს. ზემოქმედება ხდება თანმხლები ან დამხმარე ინფრასტრუქტურისგანაც, როგორცაა: მისასვლელი გზები და წყალსადენები, ასევე ელექტროგადამცემი ხაზები, რომლითაც სადგური ქსელს უკავშირდება.

გარდა ჰაბიტატების დეგრადაციის, ფრაგმენტაციისა და კარგვისა, ამ ინფრასტრუქტურამ შეიძლება გამოიწვიოს ხმელეთის ორგანიზმების დაღუპვა ან მნიშვნელოვანი შევიწროება. მაგალითად, ფრინველები შეიძლება შეეჭახონ

---

36. Ferguson, Absolon, Carlson and Sandford 2006. Transaction of the American Fisheries Society 135:139-150). Calles and Greenberg 2009. River Research and Applications 25:1268-1286. Gustafsson 2010.

ელექტროგადამცემ ხაზებს და მიიღონ ელექტროშოკი; მათი გამრავლების ადგილებიც შეიძლება სერიოზულად დაზიანდეს მისასვლელ გზებზე რეგულარული მოძრაობის გამო. ასეთი ეფექტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ჰიდროელექტროსადგური და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა განლაგებულია ფრინველთა სამიგრაციო გზებზე ან ვიწრო ხეობებში, რომლის ფერდობებს მტაცებლები იყენებენ, ან ქარბტენიანი ადგილების სიახლოვეს.

#### 4. კუმულაციური ეფექტები

როგორც ევროპის გარემოს სააგენტოს მიერ მომზადებულ **გარემოს მდგომარეობის ანგარიშშია** აღნიშნული, ევროპის მდინარეების უმეტესობა დეგრადირებულია; მათი უმრავლესობა უკვე ზღვარზეა და ველარ აიტანს რაიმე ახალ განვითარების პროექტის განხორციელებას ისე, რომ არ მოხდეს მათი მდგომარეობის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუარესება. შესაბამისად, ნებისმიერი ახალი საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, პოტენციური კუმულაციური ეფექტის შეფასებას, როგორც ზოგადად მდინარეებზე, ასევე ნატურა 2000-ის ობიექტ(ებ)ზე.

კუმულაციური ეფექტების შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკულად ბუნებრივ (ბუნებრივთან დაახლოებულ) მდგომარეობაში შენარჩუნებული მდინარეებისთვის. განსაკუთრებით კი მცირე მდინარეებისთვის, რომელთა ეკოსისტემებიც ძალიან მონყვლადია ჰიდრომორფოლოგიის ნებისმიერი ცვლილების მიმართ. ერთმა ან ორმა მცირე კონსტრუქციის დამონტაჟებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მაღალი ნეგატიური ეფექტი, რომ წინააღმდეგობაში მოვიდეს წყლის ჩარჩო დირექტივასა და ველური ბუნების ორი დირექტივის სამართლებრივ მოთხოვნებთან.

კუმულაციური ეფექტების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ წყალშემკრებ ზონაში არსებული ყველა ჰიდროელექტროსადგური თუ სხვა ტიპის ობიექტი, განურჩევლად იმისა, ნატურა 2000-ის უბანზეა ეს ობიექტები თუ მის გარეთ. თუ ერთ ჰიდროენერგეტიკულ პროექტს ცალკე განვიხილავთ, შესაძლოა მას არ ჰქონდეს რამდენადმე მნიშვნელოვანი ნეგატიური ეფექტი გარემოზე, მაგრამ თუ მის მიერ გამოწვეულ ზეგავლენას ემატება სხვა უკვე არსებულ ან მშენებარე ობიექტების მხრიდან გაჩენილი ფაქტორები, ერთობლივი ეფექტი შეიძლება ძალიან დიდი იყოს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კუმულაციური უარყოფითი ეფექტი ხშირად გარკვეული დროის შემდეგ იჩენს თავს. ამიტომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ყველა პროექტის ან დაგეგმილი საქმიანობის გათვალისწინება. ეს მოიცავს უკვე დამტკიცებულ ნებისმიერ გეგმას და პროექტს, რომელიც ჯერ არ არის განხორციელებული ან დასრულებული, ასევე უკვე არსებული ობიექტებიდან წამოსულ ზენოლასა და საფრთხეებს. ამ კონტექსტში, წყლის ჩარჩო დირექტივის ფორმატში მომზადებული მდინარის აუზის მართვის გეგმებსა და „ნატურა 2000“-ის უბნის მართვის გეგმებში მითითებული ინფორმაცია უნდა გამოვიყენოთ.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უკვე დამტკიცებული გეგმა ან

პროექტი არ უნდა განვიხილოთ, როგორც პრეცედენტი სხვა ახალი გეგმებისა თუ პროექტების სასარგებლოდ, მაგალითად, თუ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დამტკიცებულია, რადგან იგი არ ახდენს გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას, ეს არ უნდა იქნას განხილული როგორც იმავე მდინარეზე ჰიდროენერგეტიკის შემდგომი განვითარების სასარგებლო არგუმენტი. პირიქით, ერთი ასეთი პროექტის დამტკიცება შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამ მდინარეზე უკვე მიაღწია თავის „შესაძლებლობების მაქსიმუმს“ და ვერ გაუძლებს შემდგომ განვითარებას, რაც არ უნდა მცირე იყოს ეს დაგეგმილი საქმიანობა.

გარდა ამისა, კუმულაციური და კომბინირებული ეფექტების შეფასება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმავე სექტორში მსგავსი ტიპის გეგმების ან პროექტების შეფასებით. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნებისმიერი სხვა ტიპის გეგმა ან პროექტი, რომელსაც დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი. პოტენციური კუმულაციური ეფექტები უნდა შეფასდეს ხარისხიანი და სანდო მონაცემების საფუძველზე და არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ხარისხობრივ კრიტერიუმებს. კუმულაციური ეფექტის შეფასება თავიდანვე უნდა იყოს შეფასების მთლიანი პროცესის განუყოფელი ნაწილი და არ უნდა განიხილებოდეს როგორც „ბოლოს დასამატებელი“ საკითხი.

და ბოლოს, კუმულაციური ეფექტის შეფასებამ ასევე უნდა გაითვალისწინოს მდინარეზე უკვე არსებული ობიექტები— ე.წ. არსებული დატვირთვა<sup>37</sup>. მაგალითად, თუ ახალი პროექტი გულისხმობს ახალი ტურბინის დაყენებას, მისი ეფექტი უნდა შეფასდეს უკვე არსებული ჰიდროელექტროსადგურის გათვალისწინებით, თუნდაც ეს უკანასკნელი ათწლეულების წინ იყოს აშენებული. თუ ნავარაუდები კუმულაციური ეფექტი იქნება მიუღებლად მაღალი, უარი უნდა ითქვას ახალ პროექტზე.

### **რეკომენდაციები მცირე ჰიდროელექტროსადგურების შესახებ, გერმანიის გარემოს ფედერალური სააგენტო**

გერმანიაში უკვე ათვისებულია ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის დაახლოებით 80%. ასევე ამონურულია ტექნოლოგიური პოტენციალიც. ამის გამო, მწირია ჰიდროენერჯის მხარდაჭერის პროგრამებიც. დარჩენილი ათვისებული პოტენციალი ძირითადად მოიცავს პრაქტიკულად ხელუხლებელ მცირე მდინარეებს, რომელთა ათვისებასაც სავარაუდოდ, მეტად მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზემოქმედება მოჰყვება.

ანალიზმა აჩვენა, რომ სარგებელთან შედარებით, განეული ხარჯები შეიძლება მნიშვნელოვანად დიდი იყოს. რაც უფრო მცირეა ობიექტის სიმძლავრე, მით უფრო ბუნებრივი ხასიათი აქვს მდინარეში წყლის დინებას და ნაკლები ზიანი ადგება ბუნებას, თუმცა პროექტი ნაკლებად ხელსაყრელი ხდება ეკონომიკური თვალსაზრისით - ხარჯის და სარგებლის თანაფარდობის მხრივ. ზოგადად, ეკონომიკური შეფასებების მიხედვით, ახალი სადგურის აშენების, არსებულის მოდერნიზაციის ან რეაქტივაციისას, **განსაკუთრებით, მცირე – 100 კვტ-მდე**

37. European Court of Justice Ruling C-142/16

**სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების** შემთხვევაში, ელექტროენერჯის გენერაციის ხარჯი აღემატება განახლებადი ენერჯის აქტის შესაბამისად განსაზღვრულ განაკვეთებს. ამიტომ სხვა მხრივ სახარბიელო ვითარებაშიც კი, ელექტროენერჯის გენერაცია შეიძლება არ იყოს ეკონომიკურად მიმზიდველი.

ეკონომიკური ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ ჰიდროელექტროსადგურების საექსპლუატაციო ხარჯების სუბსიდირება (განსაკუთრებით მცირე, 100 კვტ-მდე სიმძლავრის სადგურებისთვის) გულისხმობს CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევის შემცირების მაღალ მაკროეკონომიკურ ხარჯს. შესაბამისად, ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ფონზე, მცირე ჰიდროელექტროსადგურების პოტენციალის შემდგომი ათვისება არ არის პრიორიტეტული კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხითაც.

არსებული სამართლებრივი დებულებებისა და ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- მოდიფიცირებული და უკვე დატვირთული წყალსატევების შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მსხვილ ჰიდროელექტროსადგურებს მცირე და მიკრო სადგურებთან შედარებით, ძირითადად მათი უფრო მაღალი ეფექტურობისა და წყლის ხელმეორედ გამოყენების შესაძლებლობის გამო. ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის განვითარებისას უმჯობესია მოხდეს მათი ოპტიმიზაცია.
- **ჰიდროენერგეტიკის განვითარებაზე უარი უნდა ითქვას, იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს პრაქტიკულად ხელუხლებელ წყალსატევებსა ან ისეთ წყლის ობიექტებთან, სადაც დაგეგმილია ეკოსისტემის ბუნებრივთან დაახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა.**
- **არსებულ კაშხლებზე, რომელთა დანგრევაც შეუძლებელია, მცირე ჰიდროელექტროსადგურების მოწყობა ან ხელახლა ექსპლუატაციაში გაშვება დასაშვებია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესაძლებელია გარემოს ეკოლოგიური გაუმჯობესება - მაგალითად, თავისუფალი დინების აღდგენა.**
- იმ სადგურების რეაქტივაციისას, რომლებიც ამჟამად არ ფუნქციონირებენ და ასევე წყლის გამოყენების ნებართვის განახლებისას, მკაცრი მოთხოვნაა წყლის დაცვის საკითხების გათვალისწინება და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა (მაგალითად, უნდა მოეწყოს თევზსავალები, სტრუქტურულად უნდა იყოს გარანტირებული მინიმალური წყლის ნაკადის შენარჩუნება, გამორიცხული უნდა იყოს კაშხლის ქვემოთ წყალდიდობების გამონწვევა).
- ახალი სადგურის მოწყობისას, თავიდან უნდა იქნას აცილებული მდინარის შეგუბება წყლის გადასროლის მიზნით. უნდა ავირჩიოთ ისეთი კონსტრუქციული მიდგომები, რომ შენარჩუნდეს მდინარის წყლის თავისუფალი დინება და ეკოსისტემის ზოგადი ხასიათი (მაგ. ლატერალური წყალამღები წყლის გადამისამართების სტრუქტურით თავად მდინარეში). უნდა დადგინდეს ზღვრული ხარჯი (ე.წ. ეკოლოგიური ხარჯი) აუცილებელია

სპეციალური ზომების მიღება, რათა თავიდან აიცილონ ტურბინებისგან თევზების დაზიანება. კაშხლების ქვემოთ აკრძალულია ისეთი წყალჩაშვება, რასაც წყალდიდობა და დატბორვა მოჰყვება.

*ხეზიუმე: Hydroelectric Power Plants as a Source of Renewable Energy- legal and ecological aspects –Umweltbundesamt, November 2003*

<http://www.umweltbundesamt.de/sites/default/files/medien/publikation/long/2544.pdf>

## 5. მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ზეგავლენა

ზემოქმედების შეფასების პირველი ნაბიჯი მოიცავს ზემოქმედების სახეების განსაზღვრას იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომლებზეც, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს ჰიდროენერგეტიკული გეგმა ან პროექტი. ამის შემდეგ აუცილებელია დადგინდეს, ექნება თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზეგავლენას, ნატურა 2000-ის საკონსერვაციო მიზნების გათვალისწინებით. ცხადია, ზეგავლენის მასშტაბი უნდა განისაზღვროს მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომით თითოეული სახეობისა და ჰაბიტატისთვის, პროექტის კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით (იხ. თავი 5).

რამდენიმე ინდივიდის დაღუპვამ შეიძლება უმნიშვნელოდ იმოქმედოს ერთი სახეობის პოპულაციაზე, მაგრამ ძალიან მძიმედ- მეორეზე. პოტენციური ზემოქმედება სხვადასხვა იქნება სახეობის პოპულაციის ზომის, განაწილების, გავრცელების არეალის, რეპროდუქციული სისტემის და სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით და ეს მახასიათებლები განსხვავებული იქნება ნატურა 2000-ის უბნებზე მაშინაც კი, თუ ეს უბნები ერთი და იმავე სახეობის დასაცავადაა შექმნილი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ზეგავლენის სხვადასხვა ფორმები შესაძლოა ერთმანეთთან იყვნენ კავშირში. მაგალითად, ტერიტორიის ათვისება ცალკე აღებული შეიძლება არ იყოს სერიოზული ფაქტორი რომელიმე კონკრეტული სახეობისთვის, მაგრამ შესაძლოა მდინარის ბუნებრივი დინების მოდიფიკაციასთან ან შეფერხებასთან კომბინაციაში ზემოქმედება მნიშვნელოვანი გახდეს.

ზემოქმედების დონე უნდა განვიხილოთ შესაბამისი გეოგრაფიული მასშტაბის გათვალისწინებით. მიგრირებადი სახეობებისთვის, რომლებიც ძალიან დიდ მანძილზე გადაადგილდებიან (მაგ. ატლანტური ორაგული *Salmo salar*), ერთ კონკრეტულ ადგილას არსებულმა ზეგავლენამ შესაძლებელია ძლიერი უარყოფითი ეფექტი გამოიწვიოს დიდ გეოგრაფიულ არეალზე (მდინარის მთელ აუზში). პოტენციური ზემოქმედების შეფასება ისეთი სახეობების შემთხვევაში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს მოიცავენ და სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებს იყენებენ, უნდა მოხდეს არა ადგილობრივ, არამედ რეგიონულ მასშტაბში.

ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციული მიზნების გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, მოსალოდნელია თუ არა მნიშვნელოვანი ზეგავლენა გარემოზე. ამისილუსტრაცია ავეროპის მართლმსაჯულების სასამართლოს

გადაწყვეტილება ე.წ. ვადენზის საქმეზე<sup>38</sup>, კერძოდ ამ გადაწყვეტილების პუნქტი 49 ამბობს შემდეგს: „...თუ გეგმა ან პროექტი, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ან არ წარმოადგენს ამ უბნის მართვის აუცილებელ ღონისძიებას და, სავარაუდოდ, ძირს უთხრის უბნის კონსერვაციულ მიზნებს, უნდა ჩაითვალოს, რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ საიტზე. ამ რისკების შეფასება, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განხორციელდეს ამ უბნის მახასიათებლებისა და სპეციფიკური გარემო პირობების გათვალისწინებით“.

შესაბამისობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს სრულყოფილ ინფორმაციას, რომლის მოპოვებასაც შესაძლოა დასჭირდეს სპეციალური სავლე კვლევები ან მონიტორინგის პროგრამები პროექტის დაწყებამდე. ინვესტორმა ეს წინასწარ უნდა განსაზღვროს და გაითვალისწინოს პროექტის დაგეგმვისას და უზრუნველყოს, რომ ბიოლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემები შეიცავს ინფორმაციას ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე (მაგ. სასიცოცხლო ციკლისა და სეზონური ცვალებადობის შესახებ). ასეთ კვლევებს შეიძლება რამდენიმე წელიც დასჭირდეს, რათა მათ სრულად ასახონ მონაცემები სახეობების სასიცოცხლო ციკლისა და ჰაბიტატის ტიპების შესახებ (დეტალებისთვის იხილეთ თავი 5).

### **გზამკვლევი ზეგავლენის ზღვრული მნიშვნელობის დასადგენად გერმანიაში**

სუბიექტურობის მაღალი დონის გამო, სხვა ქვეყნების მსგავსად, გერმანიაშიც რთული აღმოჩნდა ნატურა 2000-ის ჰაბიტატებსა და სახეობებზე ზემოქმედების სიმძიმის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი შესაბამისობის შეფასების საფუძველია. ამიტომ, ხშირად შესაბამის უწყებებს არ ჰქონდათ საკმარისი მეცნიერული დასაბუთება, ამა თუ იმ გეგმის ან პროექტის დასამტკიცებლად. ეს ვითარება ასევე ქმნიდა იურიდიული პრობლემების გაჩენის შესაძლებლობას. პრობლემის გადასაჭრელად და ზემოქმედების სიმძიმის პრაქტიკაში შეფასებისა და თანმიმდევრული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, გერმანიის ბუნების დაცვის ფედერალურმა სააგენტომ (BfN) დააფინანსა კვლევითი პროექტი, რომლის მიზანი იყო მეცნიერულად დასაბუთებული წესებისა და შეთანხმებული მიდგომების შემუშავება ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივებით დაცული ყველა იმ ჰაბიტატის ტიპისა და სახეობისთვის, რომელიც გავრცელებულია გერმანიაში<sup>39</sup>. შემუშავდა შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც 2007 წელს გამოქვეყნდა.

ამ სახელმძღვანელოს მთავარი პოსტულატია, რომ ნატურა 2000-ის ტერიტორიაზე არსებული ჰაბიტატის ტიპებისა და სახეობების საარსებო გარემოს შეუქცევადი კარგვა მნიშვნელოვან ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, გარკვეულ

38. European Court of Justice Ruling C- C-127/02

39. ambrecht H., Trautner J. (2007) Fachinformationssystem und Fachkonventionen zur Bestimmung der Erheblichkeit im Rahmen der FFH-VP – Endbericht zum Teil Fachkonventionen, Schlusstand Juni 2007. (Expert information system and expert rules for significance assessment within the framework of appropriate assessment – Final report part Expert rules, final status June 2007. In German.).

შემთხვევებში ეს დანაკარგი ზოგიერთი ჰაბიტატის ტიპისა და სახეობისთვის მაინც შეიძლება უმნიშვნელოდ ჩაითვალოს. დოკუმენტი ადგენს მეცნიერულად შეთანხმებულ ზღვრულ მაჩვენებლებსა და კრიტერიუმებს ზემოქმედების სიმძიმის განსაზღვრისთვის, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ რაოდენობრივ კრიტერიუმებს, არამედ ხარისხობრივ და ფუნქციურ ასპექტებსაც.

იმისთვის, რომ ზეგავლენა ჩაითვალოს უმნიშვნელოდ, უნდა დაკმაყოფილდეს ყველა შემდეგი პირობა:

- უცვლელი რჩება მოცემული ჰაბიტატის ტიპების/სახეობების ჰაბიტატების სპეციფიკური მახასიათებლები ან ტიპური სახეობის ძირითადი ჰაბიტატები;
- არ ხდება „რაოდენობრივი - არეალის დანაკარგის აბსოლუტური მაჩვენებლის“ საორიენტაციო დონის გადაჭარბება;
- არ ხდება დამატებით ზღვრული ოდენობის: „რაოდენობრივი - ფარდობითი 1%-იანი დანაკარგის მაჩვენებლის“ გადაჭარბება;
- სხვა პროექტებთან კუმულაციური ეფექტები არ აღემატება ზემოაღნიშნულ ზღვრულ ოდენობებს;
- ადგილი არ აქვს კუმულაციურ ეფექტებს სხვა ფაქტორებთან მიმართებაში.

„რაოდენობრივი - არეალის დანაკარგის აბსოლუტური მაჩვენებლისთვის“ შემუშავდა 7 ზომითი კლასი (კატეგორია) ჰაბიტატებისთვის და 8-სახეობებისთვის, რომელიც ადგენს ზღვრულ მნიშვნელობებს ყოველი ჰაბიტატის ტიპის/სახეობისთვის; თითოეული კატეგორია კი დაიყო ზღვრული მაჩვენებლების სამ ხარისხად. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ გერმანიაში გავრცელებული 91 ჰაბიტატის ტიპიდან 21-ისთვის არავითარი დანაკარგი არ არის დასაშვები. ხოლო დანარჩენი ჰაბიტატებისთვის გარკვეული დანაკარგი უმნიშვნელოდ შეიძლება ჩაითვალოს, თუ ზემოქმედება სკალირებულია ზომითი კლასებისა და ხარისხების შესაბამისად. რაც შეეხება ჰაბიტატის დირექტივის II დანართის 53 სახეობას, 16 მათგანისთვის არ არსებობს საორიენტაციო ზღვრული მნიშვნელობები. ასევე არ არსებობს საორიენტაციო ზღვრული მნიშვნელობები ფრინველების დირექტივის გერმანიაში გავრცელებული 20 სახეობისთვის (98-დან), ანუ ამ სახეობების შემთხვევაში არანაირი ზეგავლენა არ იქნება დასაშვები. ეს ზღვრული ოდენობები და ამ პროცედურის შედეგად მიღებული დასკვნები მხოლოდ სახელმძღვანელო ხასიათისაა და შესაბამისობის შეფასების ჩატარებისას მაინც საჭიროა ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება.

ამ სახელმძღვანელოს წარმატებით იყენებს გერმანიის სასამართლოც.

[http://www.bfn.de/0306\\_ffhvp.html](http://www.bfn.de/0306_ffhvp.html)

**შესაბამისობის შეფასების პროცესში ჩართული ლიცენზირებული ექსპერტების მიერ გამოყენებული შკალა ჩეხეთის რესპუბლიკაში**

შესაბამისობის შეფასებაში ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხია სტანდარტული შეფასების შკალის (კრიტერიუმების) გამოყენება. არ არსებობს რაიმე გამზადებული რეცეპტი, თუმცა ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩეხეთის რესპუბლიკაში ლიცენზირებული ექსპერტებისთვის რეკომენდებულია შემდეგი შკალის (კრიტერიუმების) გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს ზემოქმედების მასშტაბი<sup>40</sup>: ზემოქმედების სიმძიმე უნდა შეფასდეს მოცემული ნატურა 2000 -ის უბნის თითოეული სამიზნე ჰაბიტატის და/ან სახეობის მიხედვით. თუ ზემოქმედება თუნდაც ერთ სამიზნე ობიექტზე ფასდება „-2“-ით, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ დაგეგმილი საქმიანობის ზეგავლენა უბნის მთლიანობაზე უარყოფითად იმოქმედებს და ასეთი პროექტის განხორციელებაზე არ უნდა გაიცეს ნებართვა ჰაბიტატების დირექტივის 6.3 მუხლის პროცედურის ფარგლებში.

რიცხვითი მნიშვნელობა	ტერმინოლოგია	აღწერა	მაგალითები
-2	მნიშვნელოვანი უარყოფი ზეგავლენა	<p>მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა. გამორიცხავს <b>გეგმის/პროექტის განხორციელებას.</b></p> <p>მნიშვნელოვანი დარღვევა ან დესტრუქციული ზემოქმედება ჰაბიტატზე ან სახეობის პოპულაციაზე, ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე;</p> <p>ჰაბიტატის ან სახეობის ეკოლოგიური მოთხოვნილებების მნიშვნელოვანი დარღვევა;</p>	<p>ანადრომური სახეობების ქვირილობის ადგილამდე მიგრაციის გზების რღვევა.</p> <p>ჰაბიტატის განადგურება ახალი კაშხლის მიერ გამოწვეული დატბორვის გამო.</p> <p>დერივაციით გამოწვეული ჰიდროლოგიური ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას პოპულაციაზე.</p>

40. შესაბამისობის შეფასებისას გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები რომელიც გამოიყენება ჩეხეთის რესპუბლიკაში 2007 წლიდან - [http://www.mzp.cz/cz/hodnoceni\\_vyznamnosti\\_vlivu\\_koncepci](http://www.mzp.cz/cz/hodnoceni_vyznamnosti_vlivu_koncepci)

		<p>მნიშვნელოვანი ზეგავლენა სახეობის ჰაბიტატზე (საარსებო გარემოზე) ან მის ბუნებრივ განვითარებაზე.</p> <p>გარკვეულ პირობებში ზემოქმედება შეიძლება შემცირდეს შემარბილებელი ღონისძიებებით.</p>	
-1	ზომიერი უარყოფითი ზეგავლენა	<p>შეზღუდული/ზომიერი/ არამნიშვნელოვანი ზემოქმედება.</p> <p><b>გეგმის/პროექტის განხორციელება არ გამოირიცხება.</b></p> <p>ზომიერად პრობლემური ზემოქმედება ჰაბიტატზე ან სახეობის პოპულაციაზე;</p> <p>ჰაბიტატის ან სახეობის ეკოლოგიური მოთხოვნილებების ზომიერი დარღვევა; ზღვრული გავლენა ჰაბიტატზე ან სახეობის ბუნებრივ განვითარებაზე.</p> <p>შესაძლებელია ზემოქმედების აღმოფხვრა შემარბილებელი ღონისძიებების საშუალებით, მაგრამ შეუძლებელია შემარბილებელი ზომების აღსრულება, თუ ეროვნული კანონმდებლობა განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს.</p>	<p>მოდერნიზაცია - თევზებისთვის ნაკლებად საზიანო ტექნოლოგიის გამოყენება არსებულ ბარიერებზე თევზსავალების აგება.</p> <p>ზეგავლენას ადგილი აქვს პოპულაციის კიდურა ნაწილებზე.</p> <p>ზეგავლენა არის ჰაბიტატზე, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზეცაა გავრცელებული.</p>

0	ნულოვანი ზეგავლენა	გეგმა/პროექტს არ აქვს აშკარად გამოხატული უარყოფითი ზეგავლენა.	ზეგავლენას ადგილი აქვს სახეობის/ჰაბიტატის გავრცელების არეალის გარეთ
+1	ზომიერად დადებითი ზეგავლენა	<b>ზომიერად დადებითი ზემოქმედება ჰაბიტატზე ან სახეობის პოპულაციაზე;</b> ჰაბიტატის ან სახეობის ეკოლოგიური მოთხოვნილებების ზომიერი გაუმჯობესება; ზომიერი ხელსაყრელი ზეგავლენა ჰაბიტატზე ან სახეობის ბუნებრივ განვითარებაზე.	პიკური ჰიდროენერგეტიკის რეკონსტრუქცია და კალაპოტურ (დერივაციულ) ჰიდროელექტრო-სადგურად გარდაქმნა კაშხლის გარეშე.
+2	მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა	მნიშვნელოვანი დადებითი ზემოქმედება ჰაბიტატზე ან სახეობის პოპულაციაზე; ჰაბიტატის ან სახეობის ეკოლოგიური მოთხოვნილებების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, დადებითი ზეგავლენა ჰაბიტატზე ან სახეობის ბუნებრივ განვითარებაზე	ჰიდროელექტრო-სადგურის დემონტაჟი

### 3. ზემოქმედების შერბილების და ჰიდროენერგეტიკაში ეკოლოგიური აღდგენის ღონისძიებების გამოყენების კარგი პრაქტიკის მაგალითები

#### 1. მდინარეების საუკეთესო ეკოლოგიური მდგომარეობის მიღწევა ჰიდროენერგეტიკის კონტექსტში

როგორც ზემოთ ითქვა, ევროპაში მხოლოდ რამდენიმე დიდი მდინარეა დარჩენილი ბუნებრივთან შედარებით დაახლოებულ მდგომარეობაში და ისინიც მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდნენ ზემოქმედებას. ხდებოდა მათი ფიზიკური მოდიფიკაცია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ჰიდროენერჯის გენერაციის მიზნით. **აქედან გამომდინარე, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არსებული ჰიდროელექტროსადგურების მოდერნიზაციას, ახალი სადგურების მშენებლობასთან შედარებით, რათა შემცირდეს მათი ეკოლოგიური ზეგავლენა.**

ჰიდროელექტროსადგურების უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად მდინარეების ეკოსისტემებზე და მიმდებარე ჰაბიტატებსა და სახეობებზე, ასევე მათი კონსერვაციული სტატუსის გასაუმჯობესებლად, შესაძლებელია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. ეს არის წყლის ჩარჩო დირექტივისა და ველური ბუნების ორი დირექტივის მიზნების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი გზა.

ასევე უნდა გამოიძებნოს შესაძლებლობა არაეფექტური ან მოძველებული სადგურების სრული დემონტაჟისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში თუ წყლის ობიექტი დეგრადირებულია უკვე არსებული სადგურის ზეგავლენის შედეგად, წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნები პირველი რიგის ამოცანის სახით ითვალისწინებს მდინარის აღდგენას „კარგ ეკოლოგიურ მდგომარეობამდე“. მნიშვნელოვანი ფიზიკური ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ასევე ემსახურება ლეგიტიმურ მიზნებს, რომელიც ვერ მიიღწევა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები სხვა გზებით (ძლიერ მოდიფიცირებული და ხელოვნური წყალსატევების დეზიგნაცია და შესაბამისი გზამკვლევისთვის იხილეთ წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4.3).

ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური განახლებისა და ეკოლოგიური აღდგენის ღონისძიებების დანერგვის შესაძლებლობები უნდა შეფასდეს თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე, მათი კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით. ეკოლოგიური ღონისძიებების ტიპი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, დიდ წილად დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, მაგ. მდინარის მდგომარეობა, მდინარეზე უკვე არსებული ზენოლა და არსებული სადგურები, გავრცელებული ჰაბიტატების ტიპები და სახეობები.

## 2. უარყოფითი ზეგავლენის მქონე ჰიდროელექტროსადგურები ნატურა 2000-ის საიტებზე

ნებისმიერი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს ნატურა 2000-ის საიტზე ან მის მახლობლად, ან რაიმე ფორმით უარყოფით გავლენას ახდენს მასზე, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ჰაბიტატების დირექტივის 6.2 მუხლის დებულებებს. უფრო კონკრეტულად, მუხლი 6.2 აწესებს ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ნატურა 2000-ის უბნის მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიც ის იმყოფებოდა ნატურა 2000-ის უბნად გამოცხადების მომენტში. ეს ნიშნავს, რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა გაატარონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა არ მოხდეს ჰაბიტატების გაუარესება და/ან სახეობების მნიშვნელოვანი შენუხება.

იგულისხმება, რომ წევრი ქვეყნები იურიდიულად ვალდებული არიან:

- შეაფასონ ჰიდროელექტროსადგურებიდან მომდინარე საფრთხეები და ზეწოლის სახეები, იმ სახეობებზე და ჰაბიტატის ტიპებზე, რომელთა კონსერვაციის მიზნითაც მოხდა ნატურა 2000-ის უბნის დაარსება;
- მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა იმ შემთხვევაში, თუ ეს ზეწოლა იწვევს სამიზნე სახეობებისა და ჰაბიტატების შემცირებას ან დეგრადაციას.

ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა ეს მოთხოვნა ე.წ. ოვენდუფის<sup>41</sup> საქმეში (C-117/00)<sup>42</sup>, სადაც მან დაადგინა, რომ დაირღვა 6.2 მუხლის მოთხოვნები, რადგან არ იყო მიღებული ზომები იმ სახეობების ჰაბიტატების გაუარესების თავიდან ასაცილებლად, რომლებისთვისაც იყო დაარსებული საიტი (სპეციალური დაცვის უბანი SPA<sup>43</sup>). რამდენიმე სხვა საქმემ<sup>44</sup> კიდევ უფრო განმარტა სამართლებრივი დაცვის რეჟიმის ტიპი, რომელიც უნდა დაწესდეს ფრინველთა დირექტივის 4.1 და 4.2 მუხლების და ჰაბიტატების დირექტივის 6.2 მუხლის მიზნების მისაღწევად. განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ **სამართლებრივი რეჟიმი იყოს კონკრეტული, თანმიმდევრული და სრული, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს შესაბამისი უბნების მდგრადი მართვა და ეფექტური დაცვა (C-293/07).**

41. Owenduff - მდინარე ირლანდიაში

42. ასევე იხილეთ C-75/01, C-418/04, C-508/04.

43. *ხედაქგოხის კომენტაჰი: SPA (Special Protection Area) ანუ სპეციალური დაცვის უბნების შექმნა გათვადისწინებულა ფრინველების დირექტივის მუხლებით 4.1 და 4.2. მათი დაახლება სავადებებოა წევრი ქვეყნებისთვის ფრინველების დირექტივის I დანახოში ჩამოთვრილი ფრინველებისა და მათი ჰაბიტატების დაცვის მიზნით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკით, SPA, ხოგოხ წესი, შეყვანილია ნატურა 2000-ის ქსელში, თუმცა ახის ქვეყნები სადაც ნატურა 2000-ის და SPA ქსელები ცად-ცადვე. საქართველოს შემთხვევაში სპეციალური დაცვის უბნები ინტეგრირებულია ე. წ. „ზუხმუხვის ქსელში“, ხომელთა შექმნაც სავადებებოა ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბეჰნის კონვენცია) ფაჰგლებში.*

44. იხილეთ საქმეები C-166/97, C-96/98, C-57/89, C-44/95, C-75/01, C-415/01, C-6/04, C-508/04, , C-241/08, C-491/08, C-90/10.

სასამართლომ ასევე დაადგინა დარღვევები იმ შემთხვევებში, როდესაც მოქმედი რეჟიმი იყო „ზედმეტად ზოგადი და არ ეხებოდა კონკრეტულად საიტს ან მასზე გავრცელებულ სახეობებს“ (C-166/04), ხოლო მიღებული ზომები- „მხოლოდ ნაწილობრივი, იზოლირებული ხასიათის და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი უწყობდა ხელს ფრინველების პოპულაციების კონსერვაციას. ამიტომ ეს ზომები არ ჩაითვალა ერთიან და ეფექტურ მიდგომად“ (C-418/04); ზოგ შემთხვევაში საიტებზე იყო „ჭეტეროგენული სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ამ ტერიტორიებს არ აქცევდა საკმარისი დაცვის ქვეშ“ (C -293/07). სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ წმინდა ადმინისტრაციული ან ნებაყოფლობითი ზომები არ იყო საკმარისი 6.2 მუხლის მიზნების მისაღწევად (C-96/98).

უნდა აღინიშნოს, რომ ნატურა 2000-ის უბნებისთვის, ჰაბიტატების დირექტივის 6.1 მუხლი ასევე ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს განახორციელონ კონსერვაციული ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება I დანართში მოცემული ჰაბიტატების ტიპების ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს. ასევე დირექტივის II დანართში ჩამოთვლილ სახეობებს, რომლებიც გვხვდებიან ამ უბანზე. ეს ნიშნავს, რომ ჰიდროელექტროსადგურები ასევე უნდა შეესაბამებოდეს კონსერვაციის უფრო ამბიციურ მიზნებს, რომლებიც სცილდება 6.2 მუხლით დადგენილ მოთხოვნას, უბრალოდ არ გააუარესოს არსებული ვითარება. ისინი ასევე უნდა იყოს ინტეგრირებული მდინარეთა აუზების მართვის გეგმებში (River Basin Management Plans – RBMP).

მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, ჰაბიტატების დირექტივა მოუწოდებს ბუნების დაცვაზე პასუხისმგებელ უწყებებს, შეიმუშაონ ნატურა 2000-ის მენეჯმენტის გეგმები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან და მიწის მფლობელებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რათა ერთობლივად განსაზღვრონ ნატურა 2000-ის თითოეულ ობიექტზე მოქმედი პოტენციური საფრთხეები და ზენოლის ფორმები და დაგეგმონ კონსერვაციული ზომები.

საჭიროა ჰიდროელექტროსადგურების ოპერატორი კომპანიების კომუნიკაცია ხელისუფლებასთან და/ან მენეჯმენტის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან, რადგან ამ გზით შეიძლება ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც სასარგებლოა როგორც სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციისთვის, ისე ჰიდროენერგეტიკის ინტერესებისთვის.

### **3. ეკოლოგიური შემარბილებელი და აღდგენითი ღონისძიებები**

შემარბილებელი და აღდგენითი ზომების ფართო სპექტრი შეიძლება დაინერგოს როგორც არსებული, ისე ახალი ჰიდროელექტროსადგურებისთვის ეკოლოგიური ზემოქმედების შესამცირებლად<sup>45</sup>. ამ ღონისძიებებს შეუძლია შეამსუბუქოს პოტენციური ეფექტები (სანამ ისინი მოხდება) ან აღმოფხვრას უკვე მიყენებული ზიანი. ასეთი ზომების მაგალითებია:

---

45. საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა შემარბილებელ და კომპენსაციის ღონისძიებებსა და ეკოლოგიურ აღდგენას შორის (იხილეთ ქვეთავი 5.3.).

- მდინარის უწყვეტობისა და თევზების მიგრაციის აღდგენა, მაგალითად ძველი ან მოძველებული ნაგებობების დემონტაჟი, ან თევზსავალების მოწყობა;
- თევზის დალუპვის მაჩვენებლების შემცირება, მაგალითად დამცველი ეკრანების და სპეციალურად ადაპტირებული ტურბინების დამონტაჟების გზით;
- ჩამონადენის ადეკვატური და ცვალებადი ნაკადის აღდგენა, რომელიც შეესაბამება ეკოლოგიურ საჭიროებებს (დაბალი ინტენსივობის ნაკადების ეფექტის შერბილება, დინამიკური ნაკადების, თევზის ნაკადებისა და სწრაფად ცვალებადი ნაკადების შერბილება) და სედიმენტაციის დინამიკის აღდგენა, რაც აუმჯობესებს მტკნარი წყლის ჰაბიტატების სტრუქტურასა და ფუნქციონირებას.

ასევე შეიძლება განხორციელდეს აქტიური აღდგენითი ღონისძიებების ფართო სპექტრი, რათა ერთმანეთთან დაკავშირდეს ან აღდგეს მდინარის ბუნებრივი ჰაბიტატები, იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ჰაბიტატები, რაც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს წყლის ჩარჩო დირექტივისა და ველური ბუნების დირექტივების მიზნების მიღწევას. კონკრეტული ღონისძიებები უნდა შეირჩეს მდინარის ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით, ასევე სადგურის მახასიათებლების, არსებული საფრთხეებისა და ზეწოლის ფორმების შესაბამისად; ასევე სადგურის ეფექტურობის გაზრდის საფასურისა და სიმძლავრის გათვალისწინებით.

მას შემდეგ რაც განხორციელდება კონსერვაციული ღონისძიებები, უნდა შეიქმნას მონიტორინგის სისტემა, რათა გარანტირებული იყოს ზემოქმედების სასურველი ეფექტი. სადაც ეს შეუძლებელია, უნდა იქნას მიღებული გამოსასწორებელი ზომები ნებისმიერი ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

**განსხვავება შერბილების ღონისძიებებს, კომპენსაციასა და ეკოლოგიურ აღდგენას შორის**

შემარბილებელი ღონისძიებები პირდაპირ კავშირშია მოსალოდნელ ზემოქმედებასთან და წარმოადგენს პროექტის ნაწილს ან წესდება ხელისუფლების მიერ, როგორც გეგმის, ან პროექტის დამტკიცების პირობა. პრევენციის პრინციპზე დაყრდნობით, შემარბილებელი ღონისძიებები შემუშავებულია იმისთვის, რომ აღმოიფხვრას სავარაუდო ნეგატიური ზემოქმედება, თავიდან აიცილონ ან შეამცირონ მისი ზეგავლენა იმ დონემდე, რომ ადგილი არ ჰქონდეს უარყოფით ზემოქმედებას ნატურა 2000-ის საიტის მთლიანობაზე. პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის, პროექტით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები არ უნდა ტოვებდეს მეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებსა თუ ეჭვებს

მოცემული ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობის დარღვევის საფრთხეებზე<sup>46</sup>.

საკომპენსაციო ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს ნებისმიერი ზიანის კომპენსაციას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პროექტმა. საკომპენსაციო ღონისძიებები განიხილება მხოლოდ მაშინ, როცა დაგეგმილი საქმიანობა ან პროექტი დამტკიცებულია 6.4 მუხლის მიხედვით, როგორც აუცილებლობა უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესის იმპერატიული მიზეზების გამო, ალტერნატივის არარსებობის შემთხვევაში (იხ. თავი 5).

ეკოლოგიური აღდგენის ღონისძიებები შესაძლოა არც იყოს დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან და ინერგება იმისათვის, რომ შეიქმნას საერთო დადებითი ეფექტი უკვე დეგრადირებული მდინარის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, წყლის ჩარჩო დირექტივისა და ველური ბუნების დირექტივების მიზნების შესაბამისად.

**ცხილი:** ყველაზე გავრცელებული ღონისძიებების მიმოხილვა წყლის დაგროვების ზემოქმედების შესახებ<sup>47</sup>

ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები	ძირითადი ეკოლოგიური ზეგავლენა	შერბილების ღონისძიების მიზანი	შემარბილებელი ღონისძიებების ვარიანტები
მდინარის ზედა წელისკენ მიგრაციის შეწყვეტა ან შეფერხება	თევზები: მიგრირებადი და სხვა თევზების პოპულაციები გამქრალია ან შემცირებულია.	მდინარის უწყვეტობა სათავეების მიმართულებით	პანდუსები თევზსავალები - შემოვლითი არხები

46. იხილეთ სასამართლოს გადაწყვეტილება 142/16 <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=C-142/16> ასევე იხილეთ შემარბილებელი ღონისძიებების მაგალითები.

47. მომზადებულია ECOSTAT-ის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის ცხრილი N3 -ის საფუძველზე; ECOSTAT working group report on a common understanding of using mitigation measures for reaching good ecological potential for heavily modified water bodies, part 2: Impacted by water storage <https://ec.europa.eu/jrc/en/publication/working-group-ecostat-report-common-understanding-using-mitigation-measures-reaching-good-ecological>

<p>ხელოვნურად შექმნილი უკიდურესად შემცირებული წყლის დონე ან წყლის დაბალი დონის პერიოდის გახანგრძლივება.</p>	<p>მცენარეთა და ცხოველთა სახეობების რიცხოვნობის შემცირება;  ფლორისა და ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის ცვლილება.</p>	<p>წყლის დონის დაცემის შერბილება</p>	<p>წყლის დონის გაზრდა;  მდინარის მორფოლოგიის მოდიფიკაცია.</p>
<p>კალაპოტის სრულად გაუწყლოება ან წყლის დონის კრიტიკულამდე შემცირება, როცა შეუძლებელი ხდება თევზების მიგრაცია.</p>	<p>მიგრირებადი თევზის გაქრობა ან შემცირება</p>	<p>თევზებისთვის საკმარისი წყლის დონის შენარჩუნება</p>	<p>თევზებისთვის საკმარისი წყლის დონის უზრუნველყოფა.</p>
<p>კალაპოტის გამორეცხვისათვის საკმარისი ცვალებადი წყლის დონის შემცირება ან არარსებობა</p>	<p>თევზებისა და უხერხემლოების რიცხოვნობის ცვლილება/ შემცირება</p>	<p>ცვალებადი წყლის დონის უზრუნველყოფა</p>	<p>წყლის დონის პასიური ცვალებადობა / აქტიური ცვალებადობა</p>
<p>წყლის დონის სწრაფი ფლუქტუაცია (მათ შორის ჰიდრო პიკები)</p>	<p>ცხოველთა და მცენარეთა სახეობების შემცირება</p>	<p>სწრაფად ცვალებადი წყლის დონის შერბილება</p>	<p>დამაბალანსებელი (შიდა) რეზერვუარ(ებ)ი; დამცლელი მილის/ არხის რელოკაცია; მდინარის მორფოლოგიის მოდიფიკაცია; დამაბალანსებელი (გარე) რეზერვუარების მოწყობა.</p>

<p>ზოგადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების ცვლილება, როგორც კაშხლის ზემოთ, ასევე ქვემოთ (მაგ. ტემპერატურა, სუპერგაჭერება და ა.შ.)</p>	<p>მაკროუხერხემლოთა და თევზების თანასაზოგადოების მატება ან შემადგენლობის ცვლილება, ან თევზების სიკვდილიანობის ზრდა.</p>	<p>ფიზიკურ-ქიმიური ცვლილების შერბილება</p>	<p>წყალაღების მოქნილი რეჟიმის შემუშავება; მრავალჯერადი წყალაღების რეჟიმი; წყალსაცავის დონის მართვა.</p>
<p>მდინარის უწყვეტობის დარღვევა ან შემცირება სედიმენტაციის მხრივ, რაც იწვევს სუბსტრატის შემადგენლობის ცვლილებას.</p>	<p>თევზებისა და უხერხემლოების რიცხოვნობის შემცირება და სახეობების შემადგენლობის ცვლილება</p>	<p>სედიმენტაციის რეჟიმის ცვლილებების შერბილება.</p>	<p>წყალსაცავის ფსკერზე გაჩენილი ფენის მექანიკურად დარღვევა. დანალექის მოცილება.</p> <p>სედიმენტების ხელახალი შეტანა (წყალაღების ნაგებობებში)</p> <p>გვერდითი ეროზიული პროცესების აღდგენა;</p> <p>მამობილიზებული ნაკადების დანერგვა.</p>
<p>ტბის დონის ხელოვნური უკიდურესად დაბალნიშნულამდე შემცირება, თავთხელი ზონის და სანაპირო ზონის ჰაბიტატის ხარისხისა და ფართობის შემცირება.</p>	<p>მცენარეთა და ცხოველთა სახეობების შემცირება. სახეობების შემადგენლობის ცვლილება.</p>	<p>ტბის დონის ცვლილების შერბილება</p>	<p>წყალაღების შემცირება; შემოდინების გაზრდა; ყურეების მოწყობა; სანაპიროს/ თავთხელი ჰაბიტატების მართვა;</p>

			შენაკადებთან დამაკავშირებელი არხების მოწყობა; ხელოვნური მოტივტივე კუნძულების მოწყობა.
გაუნყოფილი სანაპირო ზოლი და შემცირებული მდინარის დინება და დაგუბებები.	მცენარეთა და ცხოველთა სახეობების შემადგენლობის ცვლილება (მაგ. მდორე წყლის სახეობების გადაჭარბებული ზრდა)	მდინარეებზე შეგუბებული ადგილების გაჩენის სანინააღმდეგო შერბილება.	შემოვლითი არხების მოწყობა; რეზერვუარში წყლის დონის შემცირება; კალაპოტის ჰაბიტატის გაუმჯობესება; ლატერალური კავშირების მოწყობა.

ჰიდროელექტროსადგურებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მდინარის სისტემებში თევზის და სხვა წყლის ფაუნის დინების ზემოთ თუ ქვემოთ შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის ტექნიკურ საკითხებს და სათანადო გზების ძიებას. ეს განვითარებადი მეცნიერებაა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს სხვადასხვა ტექნიკური ინოვაციური გადაწყვეტების გამოცდა და ხელახალი შეფასება. თუმცა ვერც ერთი ტექნიკური საშუალება ვერ წყვეტს ყველა პრობლემას.

უამრავი მაგალითი არსებობს, როცა თევზების გადაადგილების გაადვილების მიზნით გატარებული შემარბილებელი ღონისძიება, არაეფექტური ან პირიქით, თევზის პოპულაციებისთვის საზიანოც კი აღმოჩნდა. ზოგჯერ, ეს თვით მოწყობილობის/ კონსტრუქციის ხარვეზით იყო გამოწვეული და მისი დიზაინი არ შეესაბამებოდა დანიშნულებას ან არ იყო გათვალისწინებული მდინარის მონაკვეთის გასწვრივ უკვე არსებული სხვა ბარიერებისგან შექმნილი კუმულაციური ეფექტი. სხვა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მოწყობილობის არასწორი მოვლა და/ან მართვა, ან მონიტორინგის სისტემის არარსებობა, რის გამოც არ ხდებოდა იმის შემოწმება, ასრულებდა თუ არა მოწყობილობა თავის ფუნქციას.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თევზსავალების მოწყობა და/ან ადაპტირებული ტურბინის დამონტაჟება, უახლესი ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, არამედ ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვაც, რომელიც მოგვცემს ინფორმაციას, თუ რამდენად ეფექტურია გატარებული ღონისძიება. შემარბილებელი ღონისძიება ეფექტურად ჩაითვლება, თუ მონიტორინგი აჩვენებს, რომ მდინარის ყველა სახეობას შეუძლია თევზსავალში შეღწევა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა (მაგ. 85%) იქიდან ცოცხალი გამოდის.

თევზსავალის შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბუნებრივის მსგავს გასასვლელების მოწყობას, რადგან რაც უფრო ბუნებრივს ჰგავს თევზსავალი, მით უკეთესად მუშაობს იგი. თევზსავალის კონკრეტული ტიპის და დიზაინის (მაგ. კიბე, ვერტიკალური თევზსავალი (vertical slot), შემოვლითი გზები, ქვის პანდუსი, ლიფტი) შერჩევა უნდა მოხდეს ადგილობრივი პირობების მიხედვით (ბარიერის სიმაღლე, დინების ხასიათი და სხვა ლოკალური მახასიათებლები) და საჭიროებს წინასწარ შესწავლას და დეტალურ დაგეგმვას.

ტურბინების ზემოქმედება თევზებზე, როგორც წესი ძალიან მაღალია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ამ ზემოქმედების შერბილება ტურბინის გეომეტრიული მახასიათებლებისა და მუშაობის რეჟიმის ადაპტაციით. თუმცა, ამგვარი ადაპტაცია ჯერჯერობით არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ტურბინა აღარ იქნება შეფერხება თევზების მიგრაციისთვის და ისინი არ დაიღუპებიან. ამიტომ აუცილებელია დეტალური მონიტორინგი ადგილზე გატარებული ღონისძიების ეფექტურობის შესაფასებლად.

თევზსავალების ან ადაპტირებული ტურბინების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მთელ მდინარეზე არსებული ბარიერების კუმულაციური ეფექტი. სხვადასხვა ბარიერებით დატვირთული მდინარის გასწვრივ ერთი თევზსავალის მოწყობა შეიძლება საკმაოდ ძვირიც იყოს და ამავე დროს არაეფექტურიც. ამიტომ მნიშვნელოვანია უფრო სტრატეგიულად შევხედოთ მდინარის ყველა იმ მონაკვეთს, სადაც ბარიერებია და სწორად შევარჩიოთ და დაგვეგმოთ შემარბილებელი და აღმდგენი ღონისძიებები.

დაბოლოს, ყველა ახალი ნაგებობისთვის აუცილებელია სათანადო და რეგულარული ტექნიკური მოვლა-პატრონობის გეგმის დანერგვა. რეგულარული და ეფექტური მოვლის გარეშე, თევზსავალებმა და ადაპტირებულმა ტურბინებმა შეიძლება ეფექტურობა დაკარგოს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

### **როდის ჩაითვლება კიბისებური თევზსავალი ადეკვატურ შემარბილებელ ღონისძიებად?**

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება 142/16 დასკვნები მორბურგის ქვანახშირის ელექტროსადგურთან დაკავშირებით

მორბურგის ქვანახშირის ელექტროსადგური მდებარეობს ჰამბურგის პორტში, მდინარე ელბის სამხრეთ მონაკვეთის სამხრეთ ნაპირზე, ჰაბიტატების დირექტივის II დანართში შესული ზოგიერთი თევზის სამიგრაციო გზაზე. აქედან ეს სახეობები ადიან გერმანიის ნატურა 2000-ის მთელ რიგ უბნებში, რომლებიც გეესტახტის კაშხლის ზემოთ მდებარეობს. ეს საიტები სადგურიდან დაახლოებით 600 კმ მანძილზეა. თვით გეესტახტის კაშხალი კი მდ. ელბაზე მორბურგის ელექტროსადგურსა და ნატურა 2000-ის უბნებს შორისაა.

მორბურგის სადგურის მშენებლობაზე ნებართვა 2008 წლის 30 სექტემბერს გაიცა. ამას წინ უძღვოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც გერმანიის წყლის კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარდა. ამ შეფასებამ დაასკვნა, რომ მშენებლობა არ ეწინააღმდეგებოდა ნატურა 2000-ის საიტების კონსერვაციულ მიზნებს, რადგან ინვესტორმა ვალდებულება აიღო სადგურიდან დაახლოებით 30 კმ-ში, გესტახტის კაშხალთან მეორე თევზსავალი კიბის დამონტაჟებაზე. იგულისხმებოდა, რომ მორბურგის სადგურის გაგრილების მექანიზმის მუშაობით გამოწვეული თევზის დაღუპვის საკომპენსაციოდ (რომელიც დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარს), მოეწყობოდა „თევზსავალი კიბე“. გარდა ამისა, ზემოქმედების შეფასებამ განსაზღვრა მრავალფაზიანი მონიტორინგის საჭიროება, თევზსავალის ეფექტურობის შესამოწმებლად. თუმცა, ევროპის კომისიამ მიიჩნია, რომ ნებართვის გამცემი უწყების მიერ „თევზსავალი კიბის“ შემარბილებელ ღონისძიებად კლასიფიცირება არასწორი იყო.

### **სასამართლოს დასკვნა:**

„მორბურგის სადგურის ნატურა 2000-ის საიტების მთლიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად, გერმანიის ხელისუფლების პასუხისმგებლობა იყო სათანადო დამცავი ზომების გათვალისწინება. ამასთან დაკავშირებით, დადგენილია პრეცედენტული სამართალი, რომ სიფრთხილის პრინციპის გამოყენება ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის განხორციელების კონტექსტში მოითხოვს კომპეტენტური ეროვნული ორგანოს მხრიდან დამცავი ზომების გათვალისწინებას, რომელთა მიზანი იქნებოდა **ადგილზე პირდაპირი ზემოქმედების თავიდან აცილება ან შემცირება, რათა მომხდარიყო დაცული ტერიტორიის მთლიანობაზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია (...C-521/12,..C-387/15 და C -388/15...).**

სასამართლოსთვის წარდგენილი ამ საქმიდან ირკვევა, რომ თევზსავალი კიბე მიზნად ისახავდა მიგრირებადი თევზების პოპულაციების ხელშეწყობას, რათა მათ უფრო სწრაფად მიეღწიათ გამრავლების ადგილებამდე ელბის შუა და ზემო დინების მონაკვეთებში. ანუ, იგულისხმებოდა, რომ თევზის მარაგების ამ გზით გაზრდა დააკომპენსირებდა მორბურგის სადგურზე თევზების დაღუპვას და სადგურის ზემოთ მდებარე ნატურა 2000-ის საიტებზე კონსერვაციულ მიზნებს სერიოზული ზიანი არ მიადგებოდა.

თუმცა, ცხადი იყო, რომ ზემოქმედების შეფასება არ შეიცავდა მონაცემებს თევზსავალი კიბის ეფექტურობასთან დაკავშირებით **და მასში უბრალოდ იყო ნახსენები, რომ ამ ღონისძიების ეფექტურობის დადასტურება მხოლოდ რამდენიმეწლიანი მონიტორინგის შემდეგად იყო შესაძლებელი.**

აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, რომ ნებართვის გაცემის დროს, თევზსავალი კიბე, წინამდებარე გადაწყვეტილების 35-ე პუნქტში მითითებულ სხვა ზომებთან ერთად, რომელიც მიზნად ისახავდა პირდაპირი მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემცირებას მურბურგის სადგურის ზემოთ მდებარე ნატურა 2000-ის საიტებზე, **ყოველგვარი გონივრული ეჭვის მიღმა** ვერ უზრუნველყოფდა, რომ

ჰაბიტატების დირექტივის მე-6(3) მუხლით დადგენილი ნორმით სადგური არ მოახდენდა უარყოფით ზეგავლენას ნატურა 2000-ის საიტების მთლიანობაზე.

რაც შეეხება აღრიცხვებს, რომლებსაც ეფუძნებოდა ზემოქმედების შეფასება, უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლიდან 2014 წლის მონაცემები შეაგროვა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 2008 წლის 30 სექტემბრის ნებართვის გაცემის შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ **სწორედ პროექტის განხორციელების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს** არ უნდა დარჩეს გონივრული სამეცნიერო ეჭვი საიტის მთლიანობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესაძლებლობაზე (2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინება: კომისია პორტუგალიის წინააღმდეგ, C-239/04, EU:C:2006:665, პუნქტი 24 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი):

კომისიამ ასევე დაადგინა, რომ ქალაქ ჰამბურგში გაიცა ნებართვა მიუხედავად იმისა, რომ მორბურგის სადგურის ზემოქმედების შეფასებაში არ იყო გათვალისწინებული გეესტახტის, ჯერ კიდევ 1958 წელს დამონტაჟებული მოძველებული წყალსაქაჩი-საცავი სისტემის გამო შექმნილი პოტენციური კუმულაციური ეფექტები. ამ სისტემას არ გააჩნდა თევზების დაცვის არავითარი სპეციფიკური მექანიზმი. კომისიის აზრით, არარელევანტურია, იმის გათვალისწინება რომ ეს საქაჩი სისტემა ჰაბიტატების დირექტივის ტრანსპოზიციის (ანუ ეროვნული კანონმდებლობის დირექტივასთან ჰარმონიზაციის) ვადამდე აშენდა, რადგან ამ დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები მხოლოდ ამ ვადის მერე დამტკიცებულ ან დასრულებულ გეგმებსა და პროექტებზე არ ვრცელდება.

#### **სასამართლოს დასკვნები:**

ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კუმულაციური ეფექტების შეფასებისას ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ყველა პროექტი, რომელმაც იმ პროექტთან ერთად, რომლისთვისაც ნებართვაა მოთხოვნილი, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს დაცულ ტერიტორიაზე ამ დირექტივით განსაზღვრული მიზნების კუთხით, მაშინაც კი, როდესაც **ეს პროექტები წინ უსწრებს ამ დირექტივის ტრანსპოზიციის ვადას.**

პროექტები, რომლებიც, გეესტახტის საქაჩი-საცავი ელექტროსადგურის მსგავსად, **წინ უსწრებს ამ დირექტივის ტრანსპოზიციის ვადას**, იმ პროექტთან კომბინაციაში რაზეც ზემოქმედების შეფასება ტარდება, სავარაუდოდ გამოიწვევს მიგრირებადი თევზების პოპულაციების დეგრადაციას ან შეშფოთებას, შესაბამისად, უარყოფითად იმოქმედებს დაცულ საიტებზე ჰაბიტატების დირექტივით დასახული მიზნების შესრულებაზე. ამიტომ ეს პროექტებიც **უნდა მოექცნენ ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი ზემოქმედების შეფასების პროცესში.**

<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=C-142/16>

**მდინარე დუნაის დაცვის საერთაშორისო კომისიის (ICPDR) ტექნიკური დოკუმენტი: თევზების განივ სტრუქტურებში შეუფერხებელი მიგრაციის უზრუნველყოფის ღონისძიებები**

ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს დუნაის ქვეყნების ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რა სახის ტექნიკური საშუალებები არსებობს მდინარის უწყვეტობის აღსადგენად თევზების შეუფერხებელი მიგრაციისთვის. მიმოხილული იყო ყველა სახელმძღვანელო მითითება, რომელიც ამჟამად ხელმისაწვდომია დუნაის ზედა წყალშემკრები აუზისთვის. ამ ტექნიკური საშუალებების შედარებამ აჩვენა, რომ მათისაერთოსტრუქტურა დაშინაარსი ძირითადად თანმიმდევრულია დასაერთო ხაზიდან გადახვევა უმეტეს შემთხვევაში უმნიშვნელოა. სახელმძღვანელო დოკუმენტების უმეტესობა მხოლოდ გერმანულ ენაზეა ხელმისაწვდომი, ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები ინგლისურ ენაზე გაგვაცნოს.

<https://www.icpdr.org/main/practical-advice-building-fish-migration-aids>

**4. შერბილების და/ან ეკოლოგიური აღდგენის კარგი პრაქტიკის მაგალითები**

შემდეგი მაგალითები ასახავს, თუ როგორ განხორციელდა სხვადასხვა სახის შემარბილებელი და/ან ეკოლოგიური აღდგენის ღონისძიებები ჰიდროელექტროსადგურებში სხვადასხვა პირობებსა და გარემოებებში.

**მტკნარი წყლის ნატურა 2000 საიტების მართვა ინგლისში: ჰიდროენერგეტიკა და მდინარის ეკოსისტემის შემცველი სპეციალური დაცვის უბნები (Special Areas of Conservation - SAC)**

“ბუნებრივი ინგლისი” (Natural England) არის სახელმწიფო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ინგლისის დაცულ ტერიტორიებზე, მათ შორის ნატურა 2000 -ის უბნებზე. ამ სააგენტოს მიდგომა მტკნარი წყლის უბნებთან დაკავშირებით ეფუძნება ჰაბიტატების დაცვის პრინციპს, თუმცა ითვალისწინებს სახეობებსაც. მიზნები განისაზღვრება ეკოსისტემის ბუნებრივი ფუნქციონირებისთვის, როცა მტკნარი წყლის სახეობები შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია, როგორც ბუნებრივი ეკოსისტემის დამახასიათებელი კომპონენტები.

გამოიყენება მტკნარი წყლის დაცული ჰაბიტატის მახასიათებლების ჰოლისტიკური ხედვა - მდინარის ჰაბიტატი (მაგალითად, ჰაბიტატების დირექტივის დანართი II მახასიათებელი H3260: მდინარეები Ranunculion-ის და Callitricho-Batrachion -ის მცენარეულობით) მოიცავს მდინარის მთელ დერეფანს ყველა მცირე ბიოტოპით. ბუნებრივი ჰაბიტატის ფუნქციების ძირითადი კომპონენტები (წყლის რეჟიმი, ბუნებრივი მორფოლოგია და სედიმენტაციის

რეჟიმი, წყლის ქიმიური შემადგენლობა და ისეთი ბიოლოგიური ფაქტორების არარსებობა, როგორცაა არა ადგილობრივი სახეობები) წარმოადგენს შეთანხმებული მიზნების საფუძველს. ამ კომპონენტების ბუნებრიობის სამიზნე დონეები მოცემულია ეროვნულ სახელმძღვანელო დოკუმენტში დაცული ტერიტორიებისთვის (UK guidance for protected sites). ბუნებრივი ფუნქციონირების ამ კომპონენტებზე ზემოქმედების მართვა ხორციელდება დაცვისა და აღდგენის მთელი რიგი ღონისძიებების მეშვეობით.

ამ მიდგომას ბევრი საერთო აქვს წყლის ჩარჩო დირექტივის მიზანთან ეკოლოგიური სტატუსის შესახებ, მაგრამ განსხვავდება გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული სიფრთხილის დონის, ბუნებრივი ფუნქციების დაცვის, წარსულში მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ამბიციის დონის მიხედვით და ბუნებრივი ეკოსისტემის ფუნქციონირებაზე ზემოქმედების გათვალისწინების მხრივ. ინგლისში გამოყენებული მიდგომა ასევე შეესაბამება კლიმატის ცვლილების ადაპტაციის პრინციპებს მტკნარი წყლის ეკოსისტემებისთვის, რაც ეკოსისტემის ბუნებრივი ფუნქციონირების აღდგენას მოითხოვს.

ინგლისის ზედაპირული წყლების ქსელი (მტკნარი წყლის “სპეციალური დაცვის უბნების” ჩათვლით) მოიცავს ათასობით სტრუქტურასა და კონსტრუქციას, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მდინარებისა და ტბების ბუნებრივ ფუნქციონირებაზე. ზოგი მათგანი მსხვილი სტრუქტურაა და მათი ზეგავლენაც შესაბამისად მაღალია. ზოგი კი მცირე, მაგრამ დიდი რაოდენობით, რაც მნიშვნელოვან კუმულაციურ ეფექტებს ქმნის. ბევრი ასეთი სტრუქტურა წყალაღების არსებულ ლიცენზიებს უკავშირდება, თუმცა ამჟამად ყველა არ ფუნქციონირებს. ზოგი თავიდანვე ჰიდროგენერაციისთვის შეიქმნა, ბევრზე კი ჰიდროსადგური მოგვიანებით მოეწყო.

სადაც შესაძლებელია, ბუნებრივი ჰაბიტატის ფუნქციონირების აღდგენის მიზნით შემუშავებულია სპეციალური გეგმები მდინარის “სპეციალური დაცვის უბნებისთვის”, რაც ფიზიკური მოდიფიკაციების აღმოფხვრას ითვალისწინებს. ეს ამბიციური და გრძელვადიანი პროგრამაა, რომელიც ათი წლის წინ დაიწყო (Wheeldon et al. 2015). ასევე არსებობს პროგრამები წყალაღების სტრუქტურისა და დაბინძურების შესამსუბუქებლად და არაადგილობრივი სახეობების სანინააღმდეგოდ.

ინგლისის წყლის მარეგულირებელთან (გარემოს სააგენტოსთან) ერთად შედგა ერთობლივი დოკუმენტი ჰიდროენერგეტიკის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა გადაწყვეტილების მიღების პროცესი დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში. ეს დოკუმენტი ეფუძნება გარემოსდაცვითი სიფრთხილის პრინციპს, კუმულაციური ეფექტების სათანადოდ გათვალისწინების მოთხოვნას; ხოლო გადაწყვეტილები უნდა იქნას მიღებული ტერიტორიის კონსერვაციის სპეციფიკური მიზნებისა და მასთან დაკავშირებული აღდგენის გეგმების გათვალისწინებით.

ნატურა 2000 -ის მდინარის აღდგენის გეგმის მიხედვით თუ წყალში არსებული

ნაგებობა არ ექვემდებარება დემონტაჟს და თუ ამას დიდი დრო სჭირდება, მაშინ ჰიდროსადგურის მუშაობის გაგრძელება დასაშვებად მიიჩნევა დროებით ან მუდმივად. თუმცა, სტრუქტურა უნდა შეიცვალოს ბუნებრივი ჰაბიტატის ფუნქციონირებაზე მისი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად და წყლის ბუნებრივი რეჟიმი უნდა შენარჩუნდეს (მათ შორის, შეზღუდვები უნდა დაწესდეს წყალალბების გამო დეგრადირებული მონაკვეთების საერთო ეფექტის გათვალისწინებით). უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ბუნებრივი ჰაბიტატის ფუნქციონირების აღდგენასთან დაკავშირებული სიფრთხილისა და აღდგენის მიზნების გათვალისწინებით, ინგლისის ნატურა 2000-ის უბნები რომლებიც შეიცავენ მტკნარი წყლის ეკოსისტემებს არ წარმოადგენენ პრიორიტეტს ჰიდროენერგეტიკის განვითარების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს ადგილობრივი გარემოებები, როდესაც ჰიდროენერგეტიკა თავსებადია ნატურა 2000-ის მიზნებთან, მიიჩნევა, რომ მეტი შესაძლებლობები არსებობს დაცული ტერიტორიების ქსელის გარეთ.

თუ ნატურა 2000 -ის ქსელის რომელიმე საიტზე ჰიდროენერგეტიკის განვითარება აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება კონსერვაციის მიზნებს, მაშინ შეიძლება წამოიჭრას უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევა. თუმცა, სავარაუდოდ, უფრო ეკონომიური იქნება ალტერნატიული ვარიანტები – განახლებადი ენერჯის სხვა ფორმები, რომლებსაც ბუნებაზე ნაკლები ზემოქმედება ექნება.

<http://publications.naturalengland.org.uk/publication/5478339747774464?category=5605910663659520>

### **კონტროლირებადი წყალდიდობები ჰიდროელექტროსადგურებიდან ესპანეთის მდინარე ებროზე**

ესპანეთში კონტროლირებადი წყალდიდობების მოწყობის ვალდებულება კანონით დაწესდა 2008 წელს. მას შემდეგ ხმელთაშუა ზღვის მდინარეებზე მრავალი ხელოვნური წყალდიდობა მოეწყო.

კონტროლირებადი წყალდიდობები მდინარე ებროს ქვემო წელში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთი) 2002 წლიდან ეწყობა ამ მდინარის მარეგულირებელი კაშხლების კომპლექსიდან (Mequinenza-Ribarroja-Flix -ის კაშხლები).

ამ წყალდიდობის მთავარი მიზანია მაკროფიტების პოპულაციების კონტროლი და სედიმენტაციის გაუმჯობესება (Tena et al., 2013). კაშხლების კომპლექსი 1948-1969 წლებში აშენდა და მათი საერთო ტევადობა დაახლოებით 1700 კუბური ჰექტომეტრია (ჰმ3). წყალსაცავების ეს სისტემა შეიქმნა სამი მიზნით: ჰიდროგენერაცია, მდინარის ქვემო წელში არსებული ატომური ელექტროსადგურის წყალმომარაგება და წყალდიდობების კონტროლი.

კაშხლებიდან წყლის გაშვების მართვა ჰიდროელექტრო ოპერატორის (Endesa Generación S.A.) პასუხისმგებლობა იყო, ხოლო პროცესს მდ. ებროს აუზის მმართველი უწყება ზედამხედველობდა. 2002 წელს ჰიდროელექტროსადგურის ოპერატორს, წყლის მმართველ ორგანოსა და სამეცნიერო საზოგადოებას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება წყალდიდობების ხელოვნურად მოწყობის შესახებ. მას შემდეგ კონტროლირებადი წყალდიდობები რეგულარულად ეწყობა წელიწადში ორჯერ, შემოდგომაზე და გაზაფხულზე. ჩვეულებრივ ხდება დაახლოებით 36 ჰმ3 წყლის გაშვება 16 საათის განმავლობაში, მაქსიმალური ხარჯით 900-დან 1300 -მდე კუბური მეტრი წამში.

ამ წყალდიდობების დიზაინისა და ეფექტის, ასევე მონიტორინგის საკითხები განხილულია რამდენიმე კვლევაში (Batalla et al., 2006; Batalla & Vericat, 2009; Tena et al., 2013). ასევე მოხდა ხელოვნური წყალდიდობების მოწყობის ღირებულების ანალიზი, რამაც აჩვენა, რომ ეს ღონისძიება (წელიწადში ორი ხელოვნური წყალდიდობა) ბაზარზე მიწოდებული ენერჯის ძალიან მცირე ნაწილის ექვივალენტია და საერთო წლიური შემოსავლის მხოლოდ 0,17% -ს შეადგენს (Gómez და სხვ., 2014).

**ლიტერატურა:**

Gómez, C.M., Pérez-Blanco, C.D., & Batalla, R.J. 2014. Tradeoffs in river restoration: Flushing

flows vs hydropower generation in the Lower Ebro River, Spain. Journal of Hydrology 518: 130-139.

**საფრანგეთის ეროვნული ჩარჩო სტრატეგია მიგრირებადი თევზების შესახებ**

საფრანგეთის მდინარეებში თერთმეტი სახეობის დიადრომული თევზი ბინადრობს, რომლებიც თავიანთი რთული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში დიდ მანძილებზე გადაადგილდებიან ზღვისა და მტკნარი წყლის ეკოსისტემებს შორის. ამ სახეობებიდან ბევრი დაცულია ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით (ევროპული ზუთხი, ატლანტური ორაგული და სხვ.) თუმცა, განეული ძალისხმევის მიუხედავად, ყველა ეს სახეობა კვლავ არასახარბიელო ეკოლოგიურ მდგომარეობაშია როგორც საფრანგეთში, ისე ევროკავშირის სხვა ქვეყნებში.

ქვეყანაში ამ სახეობების მძიმე კონსერვაციული სტატუსის საპასუხოდ საფრანგეთის ეკოლოგიისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2010 წელს შეიმუშავა მიგრირებადი თევზის სახეობების კონსერვაციის ეროვნული სტრატეგია. ეს დოკუმენტი მუდმივად განვითარებად ჩარჩო სტრატეგიას

წარმოადგენს და ადგენს მთელ რიგ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება ადაპტირდეს იმ პროგრესის მიხედვით, რომელიც სამიზნე სახეობების აღდგენის პროცესში მიიღწევა.

გათვალისწინებული იყო, რომ ამ თევზების კონსერვაცია, გამოყენება და აღდგენა პირდაპირ შეეხებოდა ბევრ სხვადასხვა ადმინისტრაციასა თუ დაინტერესებულ მხარეს. **ამიტომ ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რათა ყველა მხარე თავიდანვე აქტიურად ჩართულიყო სტრატეგიის შემუშავების პროცესში** და ამით უზრუნველყოთ მათი მხარდაჭერა და მზადყოფნა საკუთარი წვლილი შეეტანათ მის განხორციელებაში. მდგრადი განვითარების სამინისტრომ სტრატეგია ოფიციალურად 2010 წელს დაამტკიცა; მას ყველა მონაწილემ დაუჭირა მხარი.

საფრანგეთში მდინარის აუზების მართვის რამდენიმე გეგმა (ცნობილი, როგორც Schémas directeurs d'aménagement et de gestion des eaux, SDAGE) მოიცავს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს მიგრირებადი სახეობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნულ სტრატეგიაში.

**მდინარეების უწყვეტობის აღდგენის ეროვნული გეგმა**, რომელიც 2010 წელს დამტკიცდა, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიგრირებადი სახეობების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში. იგი ეფუძნება შემდეგ ხუთ მთავარ საკითხს:

- ✓ **დაბრკოლებების ეროვნული რეესტრის შექმნა** მასში შესულია ის 60 000 ნაგებობა, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ წყლის ეკოსისტემის ფუნქციონირებაზე.
- ✓ **სპეციალური ღონისძიებების გასატარებლად პრიორიტეტული ტერიტორიების** იდენტიფიკაცია მდინარეების აუზების დონეზე (Plan Grenelle -ის მწვანე და ლურჯი ინფრასტრუქტურის მიხედვით).
- ✓ წყლის სააგენტოების პროგრამების განახლება, რათა მოხდეს **პრიორიტეტულ ტერიტორიებზე აღდგენითი სამუშაოებისთვის საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფა;**
- ✓ **წყლის პოლიციის სამსახურების მობილიზება** კონტროლის მრავალწლიანი პროგრამის ფარგლებში თევზების მიგრაციისთვის ყველაზე მთავარ ბარიერებზე;
- ✓ **აღდგენითი ღონისძიებების გარემოსდაცვითი სარგებლის შეფასება** და მათი შედეგების დეტალური მონიტორინგის წარმოება.

*Referenciel des obstacles a L'ecoulement: une cartographe nationale des obstacles sur les cours d'eau: <http://www.eaufrance.fr/referenciel-des-obstacles-a-l>*

## მდინარის უწყვეტობის აღდგენა ავსტრიაში

ავსტრიის მდინარეების აუზების მართვის გეგმაში ნათქვამია, რომ გრძივი და გვერდითი უწყვეტობის არარსებობა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც ქვეყნის მდინარეებზე მოქმედებს. გეგმა აღიარებს, რომ წყლის ჩარჩო დირექტივის ფარგლებში კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ წყლის სახეობების მიგრაცია და სედიმენტების ტრანსპორტირება შესაძლებელი იქნება როგორც მდინარის სათავიდან შესართავამდე, ასევე მდინარიდან მასთან ასოცირებულ ქარბტენიან ტერიტორიებამდე. მდინარეთა უწყვეტობა ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბუნების ორი დირექტივით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების აღდგენისთვის.

აქედან გამომდინარე, გრძივი უწყვეტობის აღდგენა განიხილება, როგორც მართვის გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. 2009 წელს იდენტიფიცირდა მიგრაციული ბარიერების მოხსნის პრიორიტეტები და მას შემდეგ განხორციელდა მდინარის აღდგენის არაერთი პროექტი. რამდენიმე მათგანი თანადაფინანსებულია EU LIFE პროგრამის ფარგლებში. დანერგილმა აღდგენითმა ღონისძიებებმა გააუმჯობესა არა მხოლოდ მდინარის უწყვეტობის ხარისხი წყლის ჩარჩო დირექტივის ხელშესაწყობად და მიგრირებადი თევზების საკეთილდღეოდ, არამედ მდინარის გასწვრივ ნატურა 2000-ის სხვადასხვა უბნების საერთო კონსერვაციის მდგომარეობაც.

ეს მცდელობები ახალ დონეზე გადავიდა 2011 წელს ძირითადი LIFE+ პროექტის დაწყებით, რომელიც მოიცავს მდ. დუნაის ავსტრიის ნაწილზე ღონისძიებების ფართო სპექტრის განხორციელებით, სახელწოდებით “LIFE+ Network Danube”. ეს არის ავსტრიაში ყველაზე მასშტაბური ამ ტიპის პროექტი და მისი საერთო ბიუჯეტია 25 მილიონი ევრო. პროექტს ახორციელებს VERBUND, ავსტრიის წამყვანი ელექტროენერგეტიკული კომპანია, გარემოს დაცვის ფედერალური სამინისტროსა და მეთევზეთა ასოციაციების მხარდაჭერით. პროექტი ეყრდნობა დუნაის გასწვრივ LIFE-ის წინა პროექტების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოს, რომლის დროსაც მოხერხდა მდინარეების: მელკის, პილახისა და იბსის 20 კმ-იან მონაკვეთებზე თევზებისთვის უწყვეტობის აღდგენა.

პროექტი განახორციელებს სხვადასხვა ქმედებების ფართო სპექტრს დუნაის ზედა წელის გასწვრივ, რათა გააუმჯობესოს მისი საერთო ეკოლოგიური მდგომარეობა და ჰაბიტატების დირექტივით დაცული 17 თევზის სახეობის კონსერვაციის სტატუსი, ასევე შეიქმნება ეკოლოგიური “კუნძულები” მდინარის გასწვრივ ნატურა 2000-ის ოთხ ძირითად საიტს შორის, რამაც ასევე უნდა გააუმჯობესოს მათი საერთო კონსერვაციული სტატუსი.

უფრო კონკრეტულად, მრავალი სხვადასხვა ეკოლოგიური ზომების გამოყენებით “ქსელი დუნაი” აღადგენს თევზის მიგრაციის უწყვეტ გზას (მინიმუმ 22 კმ-ზე) დუნაის ავსტრიის მონაკვეთზე მდებარე 5 უმსხვილეს ელექტროსადგურზე. ასევე მოხდება ამ ხუთი ელექტროსადგურის საცავებზე რიყეების ჰაბიტატების და 500 მ

სიგრძის შენაკადების აღდგენა. ამ პროცესში ჩართული იქნება წყალდიდობისგან დაცვაც.


ამჟამად განიხილება ცალკეული პროექტები რეგიონულ დონეზე, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინება პასუხისმგებელ ორგანოებს. ერთ-ერთი მათგანი, ოთენჰაიმ-ვილჰერინგის შემოვლითი არხი, იქნება ავსტრიაში ყველაზე გრძელი თევზსავალი. ამ 14,2 კმ-იანი შემოვლითი არხის ღირებულება 8 მილიონი ევროა.

ავსტრიის მიერ დასახული საბოლოო მიზანია 2027 წლისთვის მდ. დუნაის ავსტრიის მონაკვეთი (დაახლოებით 352 კმ) თევზებისთვის სრულიად გავლადი გახდეს.

<http://www.life-netzwerk-donau.at/de/>

### ჰიდრომორფოლოგიური აღდგენის პრიორიტეტები ავსტრიაში

ჰიდრომორფოლოგიური ფაქტორები, როგორცაა წყალაღება, დაგუბება და ჩაშვება, სერიოზულ გავლენას ახდენს ავსტრიის წყლის ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილზე. ეს დიდწილად განაპირობებს იმას, რომ წყლის ჩარჩო დირექტივის კრიტერიუმების მიხედვით, მდინარეების ორ მესამედს არ აქვს კარგი ეკოლოგიური სტატუსი (BMLFUW 2014). ავსტრიის მდინარეთა აუზების მართვის გეგმის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა 2015 წელს, პრიორიტეტად აცხადებს მდინარეების ჰიდრომორფოლოგიის გაუმჯობესებას. იგი ხაზს უსვამს ფართომასშტაბიანი გარემოს აღდგენითი პროგრამების აუცილებლობას მდინარის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად და გადაშენების პირას მყოფი სწრაფი დინების თევზის სახეობების აღდგენის მიზნით. ჭალების აღდგენა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას წყლის ჩარჩო დირექტივის ფარგლებში, არამედ ასევე ნატურა 2000-ის არსებული უბნების, სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის მდგომარეობას.



Priority areas for revitalisation – hydromorphological pressures (Source: @NGP 2015)<sup>8</sup>

პრიორიტეტული ზონები აღდგენითი ღონისძიებებისთვის -  
ჰიდრომორფოლოგიური ფაქტორები (წყარო: @ NGP 2015)8

მდინარე მურის ზემო ნაწილი პრიორიტეტულ ზონადაა მიჩნეული და მოხვდა რამდენიმე მსხვილი აღდგენითი პროექტის ყურადღების ცენტრში, რომლებიც თანადაფინანსებულია EU LIFE-ის ფარგლებში\*. ამ პროექტების შედეგად შეიქმნა მდინარის ახალი სტრუქტურები და აღდგა კავშირები. 4,7 კმ-ის სიგრძის მონაკვეთზე ნაწილობრივ ამოიღეს ნაპირსამაგრი კონსტრუქციებიც. შედეგად, მდინარის 90 კმ-ზე მეტი გაიხსნა თევზების თავისუფალი გადაადგილებისთვის.

მდინარის კიდევ შვიდ სხვა მონაკვეთზე მუშაობა გრძელდება მეორე LIFE პროექტის ფარგლებში. თუმცა, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება, თუ როგორ უნდა შესრულდეს ერთი მხრივ, წყლის ჩარჩო დირექტივის, ნატურა 2000 -ისა და წყალდიდობების დირექტივის მოთხოვნები, და მეორე მხრივ, განახლებადი ენერჯის წარმოების შესახებ მოთხოვნა მდინარეების მთელ 330 კმ-ის სიგრძეზე. საპასუხოდ ხელისუფლებამ, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით, შეიმუშავა ახალი გეგმა, რომელიც მოიცავს ზონირების სქემას ეკოლოგიური პრიორიტეტული ზონებით, კომპრომისული ზონებით და ზონებით განსაკუთრებული შეზღუდვებისა და ინტერესების გარეშე (ძირითადად, შუა და ქვედა მონაკვეთები). ეს გეგმა 2022 წლამდე მოქმედებს და ადგენს სავალდებულო სამიზნე ენერგეტიკულ სიმძლავრეებს, მდინარის ეკოლოგიური სტატუსის შენარჩუნება/გაუმჯობესებასთან ერთად ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად.

\* [https://restorerivers.eu/wiki/index.php?title=Case\\_study%3AAustria\\_Upper\\_Mur\\_-\\_River\\_widening\\_Lasser\\_Au\\_\(LIFE%2B\\_\(LIFE%2B\\_08\\_NAT\\_A\\_614\)\\_%2C\\_Inner-Alpine\\_river\\_basin\\_management\\_-\\_Upper\\_River\\_Mur\\_-\\_murerleben\\_II%22\\_2010-2015\)](https://restorerivers.eu/wiki/index.php?title=Case_study%3AAustria_Upper_Mur_-_River_widening_Lasser_Au_(LIFE%2B_(LIFE%2B_08_NAT_A_614)_%2C_Inner-Alpine_river_basin_management_-_Upper_River_Mur_-_murerleben_II%22_2010-2015))

## ჰიდრომორფოლოგიური აღდგენის პრიორიტეტები ავსტრიაში



კემბსის კაშხალი წყალს Grand Canal d'Alsace -ს აწვდის, რომელიც აღჭურვილია ოთხი ჰიდროელექტროსადგურით. მდინარე ძველი რაინი, კაშხლის ქვემოთ, 50 კმ სიგრძისაა და მე-19 საუკუნიდან ძლიერ მოდიფიცირებულია კაშხლების გამო. კემბსის სისტემა სამ ქვეყანას ეხება, რომელთაც განსხვავებული გარემოსდაცვითი შეხედულებები აქვთ, ამიტომ Electricity de France-მა გადაწყვიტა გარემოს დაცვის ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება, მკაცრად განსაზღვრული „ზემოქმედება/შერბილება“ ბალანსის მიღწევის მიდგომის ნაცვლად.

შედეგად:

- მოხდა ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელოვანი ზრდა: ცვლადი რეჟიმის პირობებში, სადგურიდან გამოსული წყლის რაოდენობა იცვლება ყოველდღიურად წყალსაცავში შემავალი ბუნებრივი ჩადინების მიხედვით. აშენდა ახალი სადგური (8,5 მგვტ, 28 გვტ.სთ) ენერგეტიკული დანაკარგების შეზღუდვისა და ძველ რაინში დინების ყოველდღიური მოდულაციის უზრუნველსაყოფად;
- მოდულაციის უზრუნველსაყოფად; აღდგა ძლიერი გეომორფოლოგიური დინამიკა ძველ რაინში, ახალი სადგურიდან ინერტული მასალის მიწოდებით და კონტროლირებადი ეროზიის ორიგინალური კონცეფციის განხორციელებით;
- განხორციელდა ღონისძიებები თევზების გრძივი და გვერდითი მიგრაციის უზრუნველსაყოფად და ჭაობების აღსადგენად.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების მაგალითები:

- ელზასის დიდ არხსა (Grand Canal d'Alsace) და Petite Camargue Alsacienne -ს შორის დამყარდა კავშირი; ეს დაცული ტერიტორია მოიცავს ტბორების ქსელს და პატარა წყალსადენებს, რომლებიც ხელახლა უკავშირდება ელზასის დიდ არხს, ასევე აშენდა ორი ახალი თევზსავალი.
- კონტროლირებადი ეროზია: ეს ინოვაციური კონცეფცია იყენებს წყალდიდობის ბუნებრივ ეროზიას მდ. ძველი რაინის ინერტული მასალით მოსამარაგებლად. ხრეშის ფსკერის აღდგენა (ცვლადი ნაკადის სიჩქარესთან ერთად) კი შექმნის პირობებს თევზების ქვირილობისა და პიონერი მცენარეულობის განვითარებისთვის. მცირემასშტაბიანი მოდელი იქნა გამოყენებული ეროზიის გასააქტიურებლად საჭირო მინიმალური მიწის სამუშაოების დასადგენად;
- მდინარე რაინის ძველი, დამშრალი განშტოების და მასთან დაკავშირებული ტერიტორიების აღდგენა: პროექტი 2013 წელს დაიწყო და გულისხმობს 100 ჰა სიმიდის ყანის კვლავ ველური ბუნებისთვის დაბრუნებას და 8 კმ-იანი მდინარის განშტოების რენატურალიზაციას. ეს ტერიტორია უკვე შედის Petite Camargue Alsacienne-ის დაცულ ტერიტორიაში, რომელიც პროექტის პარტნიორია.

ამ ინტეგრირებულმა პროექტმა გააუმჯობესა ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის ეკოლოგიური ხარისხი, გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის გამო ენერგეტიკული დანაკარგების მიუხედავად (ზარალი ნაწილობრივ დაკომპენსირდა ახალი სადგურის აშენებით).

<http://alsace.edf.com/wp-content/uploads/2015/06/20150610-Renaturation-Kembs-EDF-PCA.pdf>

### **ჩამონატანის ხელახალი გააქტიურება ტრანსსასაზღვრო „მაღალ“ რაინზე, სადაც 11 ჰიდროელექტროსადგურია**

მდინარე რაინი 73 კმ მონაკვეთზე, კონსტანცის ტბიდან ბაზელამდე პრაქტიკულად შეგუბებულია, მხოლოდ სამ მცირე ადგილას მიედინება თავისუფლად და უზრუნველყოფილია მეტ-ნაკლებად ბუნებრივი პირობები. ჩამონატანის ტრანსპორტირება შეზღუდულია და ბალანსი მთლიანად დარღვეულია არა მხოლოდ მთავარ მდინარეზე იქ არსებული კაშხლების გამო, არამედ მთავარ შენაკადებზეც ფართო ნაპირსამაგრი კონსტრუქციების გამო.

1990 წლიდან, ინერტული მასალის საკითხი განიხილებოდა ცალკეული ჰიდროელექტროსადგურებისთვის გაცემული კონცესიების ფარგლებში, რაც ცხადია, მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის პერიმეტრში მოქმედებს. თუმცა, მდინარის ჩამონატანის ტრანსპორტირება უფრო ფართომასშტაბიანი, აუზის

დონის პრობლემაა და თუ არსებობს ჰესების მთელი კომპლექსი, ეს საკითხიც შეძლებელია მოგვარდეს ფართო თანამშრომლობის გარეშე.

2006 წელს, ერთ-ერთი შვეიცარიული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის (Rheinaubund) ინიციატივით, 11-მა ჰიდროელექტროსადგურმა, რომლებიც ფორმალურად გაერთიანებული იყვნენ ჰიდროენერგეტიკის ასოციაციაში (VAR, Verband der Aare-Rhein-Kraftwerke), შექმნეს საერთო პლატფორმა (PGG, Projekt-Gruppe Geschiebe). და, პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოებთან ერთად (Bundesamt für Energie, BFE, შვეიცარიაში და Regierungspräsidium Freiburg, RPF, გერმანიაში), შეიმუშავეს მდ. რაინის ზედა წელში ჩამონატანის ტრანსპორტირებისა და ეკოლოგიური აღდგენის გენერალური გეგმა. პლატფორმას აქვს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია, მაგრამ ეროვნული და რეგიონული ხელისუფლება ამ გენერალურ გეგმას განიხილავს როგორც საექსპერტო კვლევას.

გენერალური გეგმა შემდეგ პროცესს გადის: (1) PGG-ის მთავრ ექსპერტთა ჯგუფი ამზადებს ტენდერს, ხელშეკრულებას და გენერალური გეგმის სამეცნიერო/ტექნიკურ განხილვას; (2) PGG-ფორუმი, რომელიც შედგება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებისაგან, განიხილავს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტს და შეიმუშავებს გენერალურ გეგმის წინასწარ ვერსიას; (3) PGG-პლენუმი, რომელიც შედგება ყველა დაინტერესებული მხარისგან, გაეცნობა დაგეგმილ პროექტს პირველ სემინარზე, შემდეგ სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ მიიღებს მოკლე მოხსენებებს, გენერალური გეგმის საბოლოო ვერსიას კი მიიღებს დასკვნით სემინარზე.

გენერალური გეგმის მიზნებია:

- მეცნიერული მიმოხილვის ჩატარება ჩამონატანის ტრანსპორტირების შესახებ ბუნებრივ და არსებულ სიტუაციებში, ანუ ჰიდროელექტროსადგურების არსებობის შემთხვევაში და მათ გარეშე;
- საბაზისო სამეცნიერო ცოდნის უზრუნველყოფა ჩამონატანის ტრანსპორტირების მექანიზმებისა და მოდელირების შესახებ;
- ყველა სავარაუდო და ტექნიკურად შესაძლებელი ღონისძიების და სცენარების განხილვა ჩამონატანის ტრანსპორტირებისა და თევზის ჰაბიტატების გასაუმჯობესებლად მდინარის ზემოქმედების ქვეშ არსებულ მთელ მონაკვეთზე.

პირველი ეტაპი (რომელიც ითვალისწინებდა PGG-ის ორგანიზებას და გენერალური გეგმის მომზადებას) განხორციელდა 2007 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში. მეორე ფაზაში, შვეიცარიისა და გერმანიის მთავრობების ხელმძღვანელობით, პლენუმი განიხილავს რეკომენდებული ინდივიდუალური ან კომბინირებული ზომების პოლიტიკურ მიზანშეწონილობას. ასევე გარკვეული შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას. ეს პროცესი ეფუძნებოდა პრიორიტეტების გამოყოფას, აღდგენის პოტენციალის, ხარჯ-სარგებლის ანალიზსა და რისკების შეფასებას. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:

[www.energiesdienst.de](http://www.energiesdienst.de)

## **EUCH2OICE PROJECT სერტიფიცირება HydrO-სთვის: სუფთა ენერჯის გაუმჯობესება**

ეს პროექტი განხორციელდა 2008 წლის სექტემბრიდან 2011 წლის თებერვლამდე პერიოდში. შემუშავდა ტექნიკურად და ეკონომიკურად მიზანშეწონილი სერტიფიცირების პროცედურა მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების ჰიდროელექტროსადგურებისთვის. პროცედურა უნდა ყოფილიყო წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, მისი გამოყენება მომხდარიყო „მწვანე ეტიკეტის“ მექანიზმით ელექტროენერჯის წარმოებისთვის და მაქსიმალურად ინტეგრირებული უნდა ყოფილიყო ევროკავშირის არსებულ ინსტრუმენტებთან, როგორცაა Ecolabel, EMAS, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მდგრადი ენერჯის ქმედება.

პროექტი მოიცავდა საოპერაციო მეთოდოლოგიის შემუშავებას და ტესტირებას საბაზრო პროდუქტების შესაქმნელად; ასევე შეიქმნა სახელმძღვანელო გზამკვლევის კრებული დეველოპერებისა და გადანაცვეტილების მიმღებთათვის დაგეგმვისა და ავტორიზაციის პროცედურების ჩასატარებლად. პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: იტალია, სლოვენია, საფრანგეთი, ესპანეთი და სლოვაკეთი. გრძელვადიან პერსპექტივაში, პროექტი დადებით გავლენას მოახდენს ევროკავშირის ჰიდროენერჯეტიკის სექტორზე, რადგან ის მიზნად ისახავს, დაეხმაროს ახალ სადგურებს უფრო მდგრადი გადანაცვეტილების მიმართულებით და ამავე დროს გაამარტივოს ავტორიზაციის პროცედურა.

კერძოდ პროექტის შედეგები მოიცავს შემდეგს:

1. ჩამოყალიბდა ზოგადი მეთოდოლოგიური მიდგომა წყლის ჩარჩო დირექტივისთვის - პროექტის პარტნიორები შეთანხმდნენ თანმიმდევრულ სერტიფიცირების პროცედურაზე, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ძირითადი პრობლემატური საკითხი წარსული გამოცდილებიდან და ჩართული ძირითადი დაინტერესებული მხარეების პოზიციებიდან გამომდინარე. მიღებული იქნა “სტრატეგიული” გადანაცვეტილებები (მაგ., რა ტიპის მიდგომები გამოვიყენოთ, რაოდენობრივი, ამოცანებზე ორიენტირებული თუ საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული).
2. იტალიამ და სლოვენიამ განსაზღვრეს და გამოსცადეს სერტიფიცირების ეროვნული მექანიზმები, რომლებიც ჩამოყალიბდა ეროვნული ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების კონსულტაციის საფუძველზე. პროექტის დასასრულისთვის სერტიფიცირების მეთოდი მზად იყო სარეალიზაციო პროდუქტში დასაანერგად.
3. შემუშავდა და ჰიდროენერჯეტიკულ კომპანიებთან შეთანხმდა ახალი გზამკვლევი გადანაცვეტილების მიმღები პირებისთვის “მწვანე ჰიდრო” სადგურების განთავსების, მშენებლობისა და მართვის შესახებ. ეს დოკუმენტი გადანაცვეტილების მიმღებ პირებს ეხმარება სწრაფად მოახდინონ ისეთი პროექტების იდენტიფიკაცია, როგორცაა არ ექნება უარყოფითი ზემოქმედება, მაგ. სადგურების აშენება ნაკლებად მნიშვნელოვან ხელოვნურ წყალსატევებზე. ასევე დოკუმენტი

კარგი სახელმძღვანელოა სადგურის დამპროექტებლებისა და შემფასებლებისთვის და საბოლოოდ კი, ლიცენზიის გამცემი პირებისთვის.

4. მომზადდა ანალიტიკური დოკუმენტი ესპანეთისთვის, რომელშიც მოცემულია „საგზაო რუკა“ მაღალი ეკოლოგიური სტანდარტების ჰიდროენერგეტიკული ობიექტების ნებაყოფლობითი სერტიფიცირების განვითარებისათვის.
5. ძირითადად, იტალიისა და საფრანგეთისთვის შემუშავდა რეკომენდაციები ეტიკეტირების სქემის არსებულ პროცედურებში ინტეგრაციის თაობაზე და ჩატარდა ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, ასევე შეგროვდა სხვადასხვა შესაბამისი აქტორების მოსაზრებები და გამოიკვეთა მათ შორის შეთანხმებული მომენტები.

<https://ec.europa.eu/energy/intelligent/projects/en/projects/ch2oice>

### **„ზუთხისებრთა პროგრამა 2020“: დუნაის ზუთხისებრების დაცვის სტრატეგიული პროგრამა**

ზუთხისებრები მდინარე დუნაის აუზის, ისევე როგორც მთელი შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს თევზები წყლისა და, ზოგადად, ჰაბიტატის ხარისხის შესანიშნავი ინდიკატორებია. შავი ზღვის ზუთხისებრთა ექვსი სახეობიდან ოთხი დღეს გადაშენების კრიტიკული საფრთხის ქვეშაა, ერთი მოწყვლად სახეობად ითვლება და ერთიც უკვე გადაშენებულია. ზუთხისებრთა ყველა სახეობა დაცულია ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით.

2011 წლის ივნისში მიღებული **ევროკავშირის სტრატეგია დუნაის რეგიონისთვის** ერთ-ერთი მიზანია „2020 წლისთვის დუნაის ზუთხის სახეობებისა და სხვა ადგილობრივი თევზის სახეობების სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების უზრუნველყოფა“ (მიზანი PA6). 2012 წლის იანვარში, ანუ ერთი წლის შემდეგ შეიქმნა დუნაის ზუთხისებრების სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფის მიზანი იყო დაედგინა, თუ როგორ უნდა იმუშაონ ქვეყნებმა ერთობლივად მიზნის მისაღწევად. ჯგუფში გაერთიანდნენ ზუთხისებრები სპეციალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მდინარე დუნაის დაცვის საერთაშორისო კომისიის, „დუნაის სტრატეგიისა“ და შესაბამისი ეროვნული მთავრობების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი პირველი ქმედება იყო „ზუთხისებრთა პროგრამა 2020“-ის შედგენა, რომელიც ქმნის შეთანხმებული მოქმედებების ჩარჩოს. პროგრამა „ცოცხალი“ და დინამიკური დოკუმენტია და მისი წარმატება დამოკიდებულია დაინტერესებული ქვეყნების გრძელვადიან ვალდებულებებზე და მათ ძალისხმევაზე პრაქტიკაში განახორციელონ დაგეგმილი ქმედებები, რადგან წარმატება დამოკიდებულია კომპლექსურ თანამშრომლობაზე მთავრობებს, გადაწყვეტილების მიმღებებს, ადგილობრივ თემებს, დაინტერესებულ მხარეებს,

მეცნიერებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

„ზუთხისებრთა პროგრამა 2020“-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია დუნაის აუზის მართვის გეგმა (DRBMP) და მისი ერთობლივი ღონისძიებების პროგრამა. გეგმის მე-2 ვარიანტი, რომელიც 2015 წელს განახლდა, ადგენს ერთობლივ ხედვასა და მენეჯმენტის მიზანს, რომელიც გულისხმობს „სიტუაციას, როცა ანთროპოგენური ბარიერები და ჰაბიტატის დეფიციტი აღარ აფერხებს თევზების მიგრაციას და ქვირითობას - ზუთხის სახეობებსა და სხვა მიგრირებად სახეობებს შეუძლიათ დაბრკოლების გარეშე შესვლა მდინარესა თუ მის შენაკადებში“. ზუთხისებრებისა და სხვა მითითებული მიგრირებადი სახეობების სიცოცხლისუნარიანი პოპულაციები წარმოდგენილია მთელ მათ ისტორიულ არეალში მდ. დუნაის აუზის მასშტაბით“

ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- 2021 წლისთვის თითოეული ქვეყანა მოახდენს თევზების მიგრაციის დამხმარე საშუალებებისთვის ლოკაციების საჭირო რაოდენობის დაზუსტებას და დანერგვას
- მდინარის მორფოლოგიის გაუმჯობესებისთვის აღდგენის, კონსერვაციისა და სხვა სათანადო ღონისძიებების განხორციელებლად დაზუსტდება ლოკაციები და საქმიანობის მასშტაბები, ხოლო თვით ღონისძიებები 2021 წლისთვის განხორციელდება თითოეულ ქვეყანაში;
- მოხდება ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში თევზების მიგრაციისთვის ახალი ბარიერების თავიდან აცილება; თუ ახალი ბარიერი გარდაუვალია, მაშინ პროექტი უნდა შეიცავდეს აუცილებელ შემარბილებელ ზომებს, როგორცაა თევზების მიგრაციის ხელშეწყობა ან სხვა შესაფერისი ზომები;
- დამატებითი კვლევების ჩატარება ზუთხისებრებისა და სხვა შერჩეული მიგრირებადი სახეობების დინების ზევით და ქვევით მიმართულებით მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ, დინებაში ე.წ. რკინის კარიბჭის I და II კაშხლების გავლით; ასევე მათი ჰაბიტატების კვლევები;
- ამ კვლევების შედეგების შესაბამისად უნდა განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები და ჩატარდეს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება გაბჩიკოვოს კაშხლისა და ზემო დუნაისთვის.

გეგმის მიხედვით, 2021 წლისთვის მოეწყობა 140 თევზების მიგრაციის დამხმარე კონსტრუქცია დუნაის აუზში (პირველი პროგრამის ფარგლებში უკვე აშენდა 120 ასეთი კონსტრუქცია). ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ზუთხისებრებისა და სხვა სახეობების ყველა ასაკობრივი ჯგუფის შეუფერხებელ მიგრაციას მდინარის გასწვრივ. დუნაის უწყვეტობის აღსადგენად კიდევ 330 ღონისძიება იგეგმება 2021 წლის შემდეგ (წყლის ჩარჩო დირექტივა, მუხლი 4.4).

<http://www.dstf.eu>

## თევზსავალი მდინარე ინზე, გერმანია

2015 წელს კომპანია ვერბუნდმა (VERBUND) ოთხი თევზსავალი (“თევზის კიბე”) მოაწყო მდინარე ინის ოთხ ელექტროსადგურზე (Feldkirchen, Neuötting, Teufelsbruck და Gars). ამ თევზსავალების საერთო ღირებულება 9,7 მილიონი ევრო იყო. ადგილის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული იყო სხვადასხვა სამშენებლო მეთოდი, რომელიც მოიცავდა შემარბილებელ ღონისძიებებს, როგორცაა დამატებითი საქვირითე ადგილების მოწყობა, ახალგაზრდა ინდივიდებისთვის გამოსადეგი ჰაბიტატების შექმნა და სედიმენტების ცვალებადობის უზრუნველყოფა. თევზსავალების საშუალებით თევზებს მიეცათ შესაძლებლობა უსაფრთხოდ შემოუარონ ელექტროსადგურებს და არ შეექმნათ ბარიერი მდინარეში მიგრაციისას.

„თევზისკიბის“ კონცეფციანინასწარ იყო შეთანხმებული ბუნების დაცვის უწყებებთან, როზენჰაიმის წყლის მართვის საბჭოსთან, ადგილობრივ მეთევზეთა ასოციაციასთან და თევზჭერის ექსპერტებთან. მოეწყო რამდენიმე ხელოვნური ყურე, ტოფობის ადგილი, და ა.შ. დინების როგორც ზემოთ, ისე ქვემოთ. როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ფაზაში სრული მხარდაჭერა იყო ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.



მოსალოდნელია, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში თევზებზე ჩატარებული სამეცნიერო მონიტორინგი, წარმოაჩენს ამ ღონისძიებების დადებითი გავლენის სრულ მასშტაბს მდინარე ინის თევზების პოპულაციაზე. თუმცა წინასწარი მონაცემები უკვე ცხადყოფს, რომ დუნაის ორაგული უკვე ქვირითობს გარსის სადგურთან არსებულ ბუნებრივთან მიახლოებულ თევზსავალში, რაც დიდი წარმატებაა ამ იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობასთან მიმართებაში.

[https://danubis.icpdr.org/system/files/shared/17\\_FRIK\\_VERBUND\\_Hydro%20Power%20GmbH\\_Ecological%20restoration%20measures%20at%20HP%20in%20AT.pdf](https://danubis.icpdr.org/system/files/shared/17_FRIK_VERBUND_Hydro%20Power%20GmbH_Ecological%20restoration%20measures%20at%20HP%20in%20AT.pdf)  
[https://danubis.icpdr.org/system/files/shared/17\\_FRIK\\_VERBUND\\_Hydro%20Power%20GmbH\\_Ecological%20restoration%20measures%20at%20HP%20in%20AT.pdf](https://danubis.icpdr.org/system/files/shared/17_FRIK_VERBUND_Hydro%20Power%20GmbH_Ecological%20restoration%20measures%20at%20HP%20in%20AT.pdf)

## 4. ჰიდროენერგეტიკაში ინტეგრირებული დაგეგმვის მიდგომის გამოყენების სანიმუშო პრაქტიკები

### 1. ინტეგრირებული დაგეგმვის უპირატესობები

ერთი მხრივ, განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების და, მეორე მხრივ, სათბურის აირების შემცირების მოთხოვნები, ევროკავშირის განახლებადი ენერჯის დირექტივის მიზნების შესაბამისად, ევროპაში ჰიდროენერგეტიკისა და განახლებადი ენერჯის სხვა წყაროების განვითარებისა და გამოყენების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ამავდროულად, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან შეასრულონ წყლის ჩარჩო დირექტივის და ევროკავშირის ველური ბუნების დირექტივების მიზნები, რაც გულისხმობს ევროპის წყლის ობიექტების მდგომარეობის არა მხოლოდ შემდგომი გაუარესების პრევენციას, არამედ მათი სტატუსის სანიმუშო (ან პოტენციურად სანიმუშო) დონემდე მიყვანას და, აგრეთვე, ევროკავშირის დონეზე დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების ხელსაყრელი კონსერვაციული სტატუსის მიღწევას მთელი ევროკავშირის მასშტაბით.

ამ რთული ამოცანების ეფექტიანად შესრულება სტრატეგიული და ინტეგრირებული დაგეგმვის მიდგომას მოითხოვს, რაც პრაქტიკაში განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმების, მდინარის აუზების მართვის გეგმებისა და ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციული მიზნების შესრულების მეშვეობით უნდა განხორციელდეს<sup>48</sup>.

სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომა:

- საუკეთესო შესაძლებლობაა წყლის რესურსების, ბუნების დაცვისა და ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნების, აგრეთვე სხვა ძირითადი სფეროების პოლიტიკის მიზნების ინტეგრირებისათვის;
- შესაძლებლობას გვაძლევს, ერთმანეთთან დავაკავშიროთ წყლის გარემოსა და ბუნების კონსერვაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და განახლებადი ელექტროენერჯის სფეროში ეროვნული ენერგეტიკის დაგეგმვა;
- იძლევა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვის შესაძლებლობას, რამაც შეიძლება შეამციროს შემდგომი პოტენციური კონფლიქტები და კარგი საფუძველი შექმნას პროექტების განხორციელებისთვის;
- პრიორიტეტების განსაზღვრისას ეფუძნება დაგეგმვის პროცესს (მაგ., იძლევა ენერჯის, ბუნებისა და წყლის რესურსების მართვის პრიორიტეტების დაბალანსების საშუალებას);

48. განხორციელების საერთო სტრატეგიის (CIS) მე-2 სემინარი: წყლის ჩარჩო დირექტივა და ჰიდროენერგეტიკა, ბრიუსელი, 2011, <https://circabc.europa.eu/sd/a/23d94d2d-6b9c-4f17-9e15-14045cd541f3/Issue.pdf>.

- ამარტივებს ახალი ჰიდროენერგეტიკული განვითარების პროექტების ავტორიზაციის პროცესს და აუმჯობესებს გამჭვირვალობას, ასევე პროგნოზირებადს ხდის პროცესს ჰიდროენერგეტიკის სექტორის დეველოპერებისთვის;
- გვეხმარება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტების შერჩევასა და ძირითადი საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეფასებაში;
- უზრუნველყოფს დეველოპერებს წინასწარი ინფორმაციით იმის შესახებ, თუ სად არის უფრო მეტად შესაძლებელი (გეოგრაფიულად) ნებართვის მოპოვება, რადგან ის ახდენს ყველაზე შესაფერისი / ნაკლებად შესაფერისი ტერიტორიების იდენტიფიცირებას;
- აწესებს პოლიტიკას და კრიტერიუმებს ჰიდროელექტროსადგურების კუმულაციური ეფექტების რისკების მართვის ხელშეწყობისთვის;
- მდინარის აუზების მართვის დაგეგმვის გზით, იძლევა, ჰიდროენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის წყლის გარემოს მიზნებთან ინტეგრირების შესაძლებლობას, ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციული მიზნების გათვალისწინებით.

წინამდებარე თავში განხილულია სხვადასხვა გზები, რომელთა საშუალებითაც ინტეგრირებული დაგეგმვის მიდგომა შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ჰაბიტატებსა და სახეობებზე პოტენციური ნეგატიური ზემოქმედების გასათვალისწინებლად, პროექტის დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპებზევე. მომდევნო მე-5 თავში კი განხილულია ველური ბუნების დირექტივების მოთხოვნები ახალი გეგმის და პროექტის სამართლებრივი შეფასებისთვის, რაც, როგორც წესი, მოგვიანებით ხორციელდება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება რომ მოსალოდნელია „მნიშვნელოვანი (უარყოფითი) ზეგავლენა“.

თუმცა, თუ ჰიდროენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა შეიცავს რაიმე არსებით სივრცულ ელემენტს (მაგ. განვითარების პოტენციური ტერიტორიების იდენტიფიცირება), ეს გეგმა უკვე ექვემდებარება შეფასებას ჰაბიტატების დირექტივის მე-6(3) მუხლის შესაბამისად. ეს ჰიდროენერგეტიკის განვითარების ნატურა 2000-ის ქსელზე პოტენციური ზემოქმედების შერბილების შესაძლებლობას იძლევა, განვითარების იმ ადგილებზე არდაშვებით, სადაც შესაძლოა შეიქმნას ინტერესთა კონფლიქტი განვითარებასა და ნატურა 2000-ის უბნის დაცვას შორის.

ევროპის წყლის რესურსების დაცვის გეგმაში, რომელიც 2012 წელს იყო მიღებული, ასევე ხაზგასმულია სტრატეგიული ინტეგრირებული დაგეგმვის მნიშვნელობა: „... მე-4(7) მუხლის კონტექსტში ... ჰიდროენერგეტიკა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას... არსებული სადგურების განახლებას და გაფართოებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, ახალ სადგურებთან შედარებით; ახალი სადგურების მშენებლობა **კი უნდა დაეფუძნოს სტრატეგიულ შეფასებას მდინარის აუზის მასშტაბით და ენერჯის წარმოებისა და გარემოზე ნაკლები ზემოქმედების თვალსაზრისით ოპტიმალური ადგილების შერჩევას.**

ცხადია, რომ ინტეგრირებული დაგეგმვის პროცესი მნიშვნელოვან საწყის ინვესტიციებს მოითხოვს შესაბამისი საჯარო უწყებების მხრიდან. თუმცა, გამოცდილება აჩვენებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ინტეგრირებულ

დაგეგმვას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ყველა დაინტერესებულ პირს და სექტორს - იქნება ეს ენერგეტიკის სექტორი, წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) ამოცანები, ნატურა 2000-ის მიზნები თუ სხვა ინტერესები. ეს სარგებელი კი ხშირად ბევრად აღემატება თავდაპირველ დამატებით ხარჯებს.

სტრატეგიული ინტეგრირებული დაგეგმვა უნდა განხორციელდეს რამდენიმე სხვადასხვა დონეზე და დაგეგმვის პროცესის რამდენიმე ფაზად, როგორც ხელისუფლების, ისე დეველოპერების მხრიდან. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც გვინდა **განახლებადი ენერჯის ისეთი წყაროს შერჩევა**, რომელიც ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის დირექტივის მიზნების მიღწევას და ამავე დროს, საუკეთესო არჩევანი იქნება გარემოსთვის. ალტერნატიული ვარიანტების მოძიება საჭიროა წყლის ჩარჩო დირექტივის მე-4(7) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების პროცედურების, აგრეთვე ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული შეფასების პროცედურების შემთხვევაში. თუმცა, ის ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვის ფაზაში ან განახლებადი ენერჯის ეროვნული/რეგიონული გეგმების შედგენის დროსაც.
- **ჰიდროენერჯის გამომუშავებისთვის იმ ყველაზე შესაფერისი ადგილების იდენტიფიცირებისას**, რომლებიც პოტენციურად შესაფერისია როგორც ენერგეტიკული, ასევე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. ამავდროულად, სტრატეგიული ინტეგრირებული დაგეგმვა ხელს უწყობს იმ ტერიტორიების იდენტიფიცირებას, სადაც გარემოზე ზემოქმედების მაღალი რისკი არსებობს და ამის გამო, წყლის დირექტივის 4(7) მუხლის გამონაკლისების პროცედურის ან ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლით განსაზღვრული შეფასების პროცედურის მიხედვით, ნებართვის მიღების შანსი მცირეა. დაგეგმვის პროცესის დასაწყისშივე რისკების წინასწარი შეფასების ან ბიომრავალფეროვნების სენსიტიურობის რუკების შემუშავება, დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ კონკრეტულ ადგილებზე იმ პოტენციური კონფლიქტების რისკების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება განვითარების პროცესის მოგვიანო ეტაპზე გამოვლინდნენ, როდესაც ფინანსური რესურსები უკვე მოძიებულია და მანევრირებისთვის ნაკლები სივრცეა დარჩენილი. ეს მიდგომა ასევე სასარგებლოა დეველოპერებისთვის, რადგან მათ უფრო გამჭვირვალე და სტაბილურ ნორმატიულ-სამართლებრივ გარემოს უქმნის იმისათვის, რომ წარმატებით მოიპოვონ ლიცენზია.

**ევროკავშირის წყლის რესურსების მმართველი დირექტორების განცხადება ჰიდროენერგეტიკის განვითარების შესახებ წყლის ჩარჩო დირექტივის მიხედვით, 2010 წ**

2010 წელს ევროკავშირის დირექტორებმა წყლის რესურსების მართვის სფეროში, მიიღეს ერთობლივი განცხადება „ჰიდროენერგეტიკის განვითარების შესახებ წყლის დირექტივის ფარგლებში“<sup>49</sup>, რომელშიც შეჯამებულია ერთიანი განხორციელების სტრატეგიის (ეგს) პროცესში შეთანხმებული ძირითადი პრინციპები და რეკომენდაციები. ეს განცხადება ძირითადად ეყრდნობოდა ეგს-ს მიერ მიღებულ პოლიტიკის დოკუმენტს წყლის ჩარჩო დირექტივისა და ჰიდრომორფოლოგიური ზენოლის შესახებ<sup>50</sup>, ეგს-ს გზამკვლევს No20 გარემოსდაცვითი მიზნებიდან გამონაკლისების შესახებ<sup>51</sup> და წყლის ჩარჩო დირექტივისა და ჰიდროენერგეტიკის შესახებ ეგს-ის პირველი სემინარის დასკვნებს<sup>52</sup>.

- უნდა შემუშავდეს წინასწარი დაგეგმვის მექანიზმები, რომლებიც გამოყოფს „დაუშვებელ“ ზონებს, ანუ ტერიტორიებს, სადაც ახალი ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელება არ იქნება ნებადართული. ამ ზონების გამოყოფა უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა კომპეტენტურ ორგანოებს, დაინტერესებულ მხარეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დიალოგს;
- ახალი მდინარეების ათვისების საჭიროების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების განვითარება უნდა მოხდეს არსებული სადგურების მოდერნიზებისა და განახლების გზით;
- ჰიდროენერგეტიკული პროექტები უნდა მოიცავდეს წყლის რესურსების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ეკოლოგიურ სტანდარტებს ახალი ობიექტების ან არსებული მოდერნიზებული ობიექტებისთვის და საექსპლუატაციო პირობების გაუმჯობესებას. მაგალითად, ახალ ჰიდროელექტროსადგურებს უნდა

49. ევროკავშირის წყლის და საზრავაო დირექტორების არაფორმალური სეხვედრა, სეგოვია, 27-28 მაისი, 2010, <https://circabc.europa.eu/w/browse/6414c39b-3d08-433a-8e00-0d20bcb249ad>.

50. ეგს წყლის ჩარჩო დირექტივისთვის, 2006: წყლის ჩარჩო დირექტივა და ჰიდრომორფოლოგიური ზემოქმედება - პოლიტიკის დოკუმენტი, 2006 წლის დეკემბერი, <https://circabc.europa.eu/sd/a/3dac5b10-1a16-4a31-a178-2f5401f30c50/pdf>.

51. ეგს წყლის ჩარჩო დირექტივისთვის, 2009: გზამკვლევს No20 გარემოსდაცვითი მიზნებიდან გამონაკლისების შესახებ, ტექნიკური ანგარიში - 2009-027, [https://circabc.europa.eu/sd/a/2a3ec00a-d0e6-405f-bf66-60e212555db1/Guidance\\_document.pdf](https://circabc.europa.eu/sd/a/2a3ec00a-d0e6-405f-bf66-60e212555db1/Guidance_document.pdf).

52. ეგს-ის სემინარის ძირითადი დასკვნები წყლის ჩარჩო დირექტივასა და ჰიდროენერგეტიკაზე, ბერლინი, 4-5 ივნისი, 2007 წ., <https://circabc.europa.eu/w/browse/062ef598-2126-4e76-a481-cfa68a28435c>.

ჰქონდეს თევზსავალები და უნდა დაიცვან მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი.

- აუცილებელია პროექტის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რათა დადგინდეს, აჭარბებს თუ არა პროექტის სარგებელი იმ სარგებელს, რაც გარემოსთვის და საზოგადოებისთვის იქნება, თუ პროექტი არ განხორციელდება და/ან წყლის ობიექტის კარგ მდგომარეობაში აღდგენას ხელი არ შეეშლება. ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი განსჯის გასაკეთებლად საჭირო იქნება ყველა ხარჯისა და სარგებლის მონეტარული ფორმით გამოხატვა ან თუნდაც რაოდენობრივი შეფასება.
- პროექტის ზომიარ წარმოადგენს კრიტერიუმს 4(7) მუხლის გამოსაყენებლად. შესაბამისი მიდგომა გულისხმობს იმის შეფასებას, მოჰყვება თუ არა მოცემულ პროექტს წყლის ობიექტის მდგომარეობის გაუარესება. ამგვარად, ნებისმიერი ზომის პროექტი შეიძლება მოექცეს 4(7) მუხლის ფარგლებში.

- **რა უფრო უპრიანია, არსებული ჰიდროენერგეტიკული ობიექტების განახლება თუ ახალი ჰიდროელექტროსადგურების განვითარება:** როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, როგორცაა წყლის ობიექტის მდგომარეობა წყლის, ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების მიხედვით, და მათი მიზნები კარგი ეკოლოგიური სტატუსის ან კონსერვაციის ხელსაყრელი სტატუსის მიღწევის თვალსაზრისით. მდინარის შეფასებები და ნატურა 2000-ის კონსერვაციის მიზნები ასევე გვხმარება იმის გარკვევაში, თუ რამდენად შეუძლია მდინარეს აიტანოს შემდგომი განვითარება წყლის ეკოსისტემის ყოველგვარი გაუარესების ან ნატურა 2000-ის უბნების მთლიანობაზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე.
- **როდესაც საჭიროა პროექტის ყველაზე შესაფერისი დიზაინის შერჩევა,** რომელიც თავიდანვე გაითვალისწინებს პოტენციურ ეფექტებს და საწყის საპროექტო გეგმაში გააერთიანებს შემარბილებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც გამორიცხავენ ან მინიმუმამდე შეამცირებენ პროექტის საბოლოო გავლენას წყლის გარემოზე და კერძოდ, ნატურა 2000-ზე. გეგმის ან პროექტის შემუშავების ტრადიციული მიდგომა, ჰიდროენერგეტიკისა თუ სხვა სექტორში, გულისხმობს გეგმის/პროექტის ჩამოყალიბებას ჯერ მისი მიზნებიდან გამომდინარე, და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გარემოსდაცვითი და სხვა საკითხების განხილვა. მაგრამ ასეთი მიდგომა ხშირად იწვევს სიტუაციას, როცა პოტენციური კონფლიქტების გათვალისწინება დაგეგმვის პროცესის შედარებით გვიან ეტაპზე ხდება, მაშინ როცა ნაკლები სივრცე რჩება მანევრირებისთვის. პრაქტიკაში, ეს ასევე ნიშნავს, რომ პროექტის ან გეგმის შემქმნელებს არასაკმარისი ურთიერთობა აქვთ გარემოსდაცვითი სექტორის ექსპერტებთან, სანამ პროექტი შესაბამისობის შეფასებისთვის იქნება წარდგენილი.

თუ პროექტის დიზაინის კონცეფცია უკვე შემუშავებულია, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ხშირად ისღა შეუძლია, რომ მაქსიმალურად შეამციროს ზიანი. ეს ნიშნავს, რომ, მაშინაც კი, თუ ყველა წესი, რომელიც არეგულირებს ამგვარ შეფასებებს, მათ შორის ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით, ზედმინევით დაცული იქნება, შეფასების მიზნების მიღწევის გარანტია არ არსებობს. პროექტის ან გეგმის

შემუშავების ამ ტრადიციულ მიდგომას ასევე შეუძლია მოჰყვეს ხანგრძლივი დისკუსიები დაგეგმვაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან, სხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საჯარო კონსულტაციების ფაზაში, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვანი შეფერხება და დამატებითი ხარჯების განევა გამოიწვიოს.

**აცნობიერებენ რა ამ სირთულეებს, ამჟამად ინფრასტრუქტურის სულ უფრო მეტი დამგეგმავი იყენებს ინტეგრირებულ მიდგომას პროექტის დაგეგმვისა და დიზაინის შემუშავებისთვის. ინტეგრირებული მიდგომა თავიდანვე ითვალისწინებს ტერიტორიის ინფრასტრუქტურულ და გარემოსდაცვით საჭიროებებს და ამ ფაქტორებს, მდინარის აუზის ტერიტორიაზე მინათსარგებლობის სხვა სახეებთან ერთად, პროექტის თავდაპირველ მონახაზშივე ასახავს. ის ასევე ხელს უწყობს დაგეგმვის უფრო ინტერაქტიულ და გამჭვირვალე პროცესს და ეკოლოგიებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ თანამშრომლობასა და მონაწილეობას თავიდანვე.**

### **ჰიდროენერგეტიკის მდგრადობის შეფასების პროტოკოლი**

პროექტი Hydro4LIFE, რომელსაც ჰიდროენერგეტიკის საერთაშორისო ასოციაცია ახორციელებს, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების მდგრადობის შეფასების პროტოკოლის განხორციელებას ევროკავშირში. პროტოკოლი გვთავაზობს ჰიდროენერგეტიკული პროექტის შესრულების შეფასების **მეთოდოლოგიას** 20 გარემოსდაცვითი, სოციალური, ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ის ასევე ქმნის „**საერთო ენას**“ მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ჰიდროენერგეტიკულ სექტორს შორის დიალოგისთვის და **მდგრადობის საკითხების შესაფასებლად**. ეს პროტოკოლი ჰიდროენერგეტიკული მდგრადობის შეფასების ფორუმის ინტენსიური მუშაობის შედეგია, რომელშიც ჩართული იყო მრავალი დაინტერესებული მხარე მთელი მსოფლიოდან, სოციალური და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, მთავრობების, ბანკებისა და ჰიდროენერგეტიკული სექტორის წარმომადგენლების ჩათვლით.

ამ პროტოკოლის მიხედვით შეფასება მოიცავს **პროექტის ყველა ეტაპს**: საწყის ეტაპს, მოსამზადებელ ფაზას, განხორციელების და ექსპლოატაციის ფაზებს. თითოეულ პროექტს ენიჭება 1-დან 5-მდე ქულა (5 ქულა შეესაბამება დადასტურებულ საუკეთესო პრაქტიკას) თითოეული 20 პარამეტრისთვის. ერთ-ერთი პარამეტრია ბიომრავალფეროვნება და ინვაზიური სახეობები. პროექტის მომზადების ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა:

- ეკოსისტემურ ღირებულებებს;
- ჰაბიტატებს;
- ისეთ კონკრეტულ საკითხებს, როგორცაა: საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები და თევზსავალები წყალშემკრებ აუზში, წყალსაცავსა და მდინარის დინების მიმართულებით;

- დაგეგმილ პროექტთან ასოცირებული ინვაზიური სახეობების გავრცელების პოტენციური რისკები

<http://www.hydrosustainability.org/Protocol/The-Protocol-Documents.aspx>

## **2. ინტეგრირებული ეროვნული ან რეგიონული ჰიდროენერგეტიკული გეგმები**

ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე ამოქმედებული სივრცითი გეგმები, რომლებიც შემუშავებულია თითოეულ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს ფართო გეოგრაფიულ არეალში განვიხილოთ მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოთხოვნები. ეს იძლევა შესაძლებლობას მდგრადი განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიის შემუშავებისთვის, რომელიც იყენებს ერთობლივ მიდგომებს და, სადაც ეს შესაძლებელია, მინიმუმამდე ამცირებს კონფლიქტებს.

სივრცითი გეგმები ასევე ითვალისწინებს განვითარების უფრო დაბალანსებულ ჩარჩოს, რადგან ისინი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესის დასაწყისშივე უფრო ფართოდ გათვალისწინებული იყოს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები. ეს უფრო პროგნოზირებად და სტაბილურ დაგეგმვის ფორმატს ქმნის ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ ეტაპებზე სირთულეებისა და შეფერხებების რისკის შემცირებას, მათ შორის ცალკეული პროექტების დონეზე. სივრცითი გეგმები ასევე ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, ინტერესთა ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენელთა უფრო ფართო ჩართულობას საჯარო კონსულტაციების პროცესში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

ამრიგად, სივრცითი დაგეგმარება და რეალური დარგობრივი დაგეგმარება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინდუსტრიისთვის. რაც შეეხება ჰიდროელექტროენერჯის გამომუშავებას, რიგმა ქვეყნებმა ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე შეიმუშავეს სპეციალური ჰიდროენერგეტიკული გეგმები, რათა მოთხოვნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაზღვრონ მომავალი განვითარების საკითხები. გარდა ამისა, ყველა წევრ სახელმწიფოს, განახლებადი ენერჯის დირექტივის შესაბამისად, მოეთხოვება განახლებადი ენერჯის ეროვნული გეგმების შემუშავება. ამ გეგმის დახმარებით, კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, მათ უნდა ჩამოაყალიბონ განახლებადი ენერჯის სხვადასხვა ტიპების განვითარების ყველაზე შესაფერისი კომბინაცია, რათა მიღწეულ იქნას განახლებადი ენერჯის გამოყენების მიზნები.

ორივე ტიპის გეგმა არა მხოლოდ იძლევა საპროექტო საჭიროებების გაანალიზის საშუალებას სხვადასხვა ტიპის განახლებადი ენერჯის (მათ შორის ჰიდროელექტროენერჯის) წარმოებისთვის, არამედ იძლევა შესაძლებლობას, რომ დაგეგმვის პროცესის ადრეულ და სტრატეგიულ ეტაპზე გავითვალისწინოთ უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური მოსაზრებები (მდინარის აუზის მართვის გეგმები

ან ნატურა 2000-ის უბნის მართვის გეგმები).

#### გეგმების შესაბამისობის შეფასება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლი მოითხოვს დაგეგმილი სამუშაოებისა და პროგრამების შესაბამისი შეფასების განხორციელებას (მაგ. ეროვნული ან რეგიონული ჰიდროენერგეტიკის გეგმები ან განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმები). ამას ადასტურებს ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაც<sup>53</sup>. სივრცითი გეგმის ან პროგრამის სათანადო შეფასება, რა თქმა უნდა, ხორციელდება უფრო სტრატეგიულ დონეზე, მაგრამ პროცედურა არსებითად ისეთივეა, როგორც - კონკრეტული პროექტებისთვის. ამდენად, შესაბამისობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გეგმის ან პროგრამის გავლენა ნატურა 2000-ის ქსელის მთლიანობაზე, როგორც ცალკე, ასევე სხვა გეგმებთან ან პროექტებთან კომბინაციაში.

განხორციელებული შეფასების სამუშაოები შემოთავაზებული გეგმის გეოგრაფიული მასშტაბის, აგრეთვე ნებისმიერი პოტენციური ზემოქმედების ხასიათისა და მასშტაბის პროპორციული უნდა იყოს. ასევე აუცილებელია საკმარისი ინფორმაციის მოპოვება შემოთავაზებული გეგმისა თუ სამუშაოს შესახებ, რათა „შესაბამისობის შეფასების“ პროცესი სწორად განხორციელდეს. უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს ნატურა 2000-ის ტერიტორიების მთლიანობაზე რაიმე მოსალოდნელი არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილება ან თავიდანვე აღმოფხვრილი იქნას ნებისმიერი გონივრული საფუძველი იმ დაშვებისთვის, რომ დაგეგმილ სამუშაოს ან პროექტს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი ეფექტი ქსელზე.

მთავარი სარგებელი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას კონკრეტული გეგმის შესაბამისი შეფასებების განხორციელების შედეგად არის ის, რომ ამ გზით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი პოტენციური შემდგომი კონფლიქტი ნატურა 2000-ის ობიექტებთან, მაგ., დაგეგმილი აქტივობების ზონირების გზით. პროცესი ასევე მოითხოვს, რომ ჩართულმა პირებმა განიხილონ ყველა ნაკლებად საზიანო გადაწყვეტილება, რომელიც საჭირო იქნება გეგმის მიზნების შესარულებლად. ეს უნდა მოხდეს დაგეგმვის პროცესის ძალიან ადრეულ ეტაპზე, რაც ჰიდროენერგეტიკის განვითარების პროცესში უფრო ინტეგრირებული და ჰოლისტიკური მიდგომების გამოყენებას შეუწყობს ხელს.

53. ევროპის სამართლიანობის სასამართლო საქმე C-6/04, კომისია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. 2005 წლის 20 ოქტომბერი.

### 3. ველური ბუნების სენსიტიურობის რუკები და ზონირება

მინათსარგებლობის ან დარგობრივი გეგმები, როგორც წესი, ფართო გეოგრაფიულ არეალებს მოიცავს. ეს მასშტაბი, გეგმების სივრცულ ბუნებასთან ერთად, იძლევა ჰიდროენერგეტიკის განვითარებისა და ობიექტების განლაგების შესახებ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას დიდ ტერიტორიაზე, მდინარეების მრავალფუნქციური როლისა და ამ გადაწყვეტილებების გარემოზე პოტენციური გავლენის გათვალისწინებით.

ამ კონტექსტში, ნატურა 2000-ის ობიექტებთან პოტენციური კონფლიქტების თავიდან აცილების ან მინიმიზაციის ერთ-ერთი ეფექტური გზაა მდინარის გასწვრივ მდებარე ისეთი ადგილების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ჰიდროენერგეტიკული ობიექტების განვითარებისთვის შესაფერისად ან შეუფერებლად. ამის შემდეგ, ყოველივე ეს შეიძლება გადავითანოთ მდინარის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციული პრიორიტეტების ამსახველ რუკაზე, რათა მოხდეს პოტენციური კონფლიქტური ტერიტორიების იდენტიფიცირება. ასეთ კატეგორიაში შეიძლება მოხვდნენ, მაგალითად, ისეთ დაცული ადგილები, როგორცაა ნატურა 2000 უბნები ან ევროკავშირის დაცული სახეობების მიგრაციული მარშრუტები.

ველური ბუნების სენსიტიურობის რუკების მომზადება სასარგებლოა ისეთი ადგილების გამოსავლენად, რომლებიც ნაკლებად მგრძნობიარე იქნებიან ჰიდროენერგეტიკული ობიექტების განვითარებისთვის. ასეთ ადგილებს შეიძლება მიეკუთვნოს ზონები, რომლებიც დაშორებულია ნატურა 2000-ის ქსელის იმ უბნებისგან, სადაც მნიშვნელოვანი ზემოქმედების მაღალი რისკი არსებობს. ასეთ ზონებში ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა და სხვა საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული სხვადასხვა გარემოსდაცვითი ნებართვის პროცედურებთან, იქნება ეს ნყლის ჩარჩო დირექტივა, ჰაბიტატების დირექტივა თუ გზშ-ს დირექტივა. ველური ბუნებისთვის მაღალი მგრძნობელობის უბნებზე კი ენერგეტიკული განვითარების პროექტების განხორციელება პირიქით აუცილებლად იქნება დაკავშირებული უფრო რთულ გარემოსდაცვით პროცედურებთან და დიდი ალბათობით შეიძლება იქნას უარყოფილი. სენსიტიურობის რუკები ასევე შეიძლება შემუშავდეს სახეობების შერჩეული კატეგორიებისთვის (მაგ., ევროპული მნიშვნელობის თევზის სახეობებისთვის) ან კონკრეტული ტიპების ჰაბიტატებისთვის, ან დაცული ტერიტორიებისთვის წინასწარ განსაზღვრული ადგილებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ რუკები ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ სამეცნიერო მონაცემებსა და ინფორმაციას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ადგილების შერჩევის კრიტერიუმები იყოს გამჭვირვალე და კარგად გასაგები ყველა დაინტერესებული მხარისთვის (რაც საბოლოოდ საჯარო კონსულტაციების საგანია). რუკების გარჩევადობა უნდა იყოს საკმარისად კარგი, რათა მასზე კარგად ჩანდეს ტერიტორიების მახასიათებლები.

ველური ბუნების სენსიტიურობის რუკების კიდევ ერთი მთავარი უპირატესობა **არის ის, რომ ისინი ხელს უწყობენ ფრინველების დირექტივის მე-5 მუხლთან და**

**ჰაბიტატების დირექტივის მე-12 და მე-13 მუხლებთან შესაძლო წინააღმდეგობის თავიდან აცილება.** როგორც პირველ თავშია განმარტებული, ეს დებულებები მიზნად ისახავენ ევროპული მნიშვნელობის სახეობების დაცვას ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულ მათ მთელ ბუნებრივ არეალში, მიუხედავად იმისა, გავრცელებული არიან თუ არა ისინი ნატურა 2000-ის ქსელის ტერიტორიებზე. **ამიტომ ჰიდროენერგეტიკის განვითარებით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა ან დამგეგმავმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის სახეობების დაცვის მკაცრი წესების მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.**

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ არსებული სახეობების განაწილებაზე დაფუძნებული სენსიტიურობის რუკები შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი, რადგან არსებული გავრცელების სურათი თავად შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული უკვე არსებული ობიექტების ზეგავლენებით და თავისთავად საჭიროებდეს გარკვეულ ძალისხმევას ნორმაში დასაბრუნებლად. ასეთი რუკების ნებისმიერი გამოყენება უნდა ითვალისწინებდეს სახეობების გავრცელების აღდგენის გეგმებს. მას შემდეგ, რაც შემუშავდება ჰიდროენერგეტიკული რუკები და ველური ბუნების სენსიტიურობის რუკები, მათი გადაფარვის შედეგად მდინარის სხვადასხვა მონაკვეთი შეიძლება დაიყოს, ჰიდროენერგეტიკის განვითარების თვალსაზრისით, რამდენიმე ფართო კატეგორიად:


- ხელსაყრელი ტერიტორიები – ის ტერიტორიები, რომლებსაც მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნიათ (ასევე არსებული ობიექტების განახლების თვალსაზრისით) და სადაც ბუნების კონსერვაციის ინტერესებთან კონფლიქტის რისკი დაბალია – მაგ., დაბალი ეკოლოგიური ინტერესის მქონე, ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტები ან მონაკვეთები სადაც არ არის ნატურა 2000 უბნები, ან ევროკავშირის დაცული მიგრირებადი სახეობები.
- ნაკლებად ხელსაყრელი ტერიტორიები – სადაც მდინარის გასწვრივ, ნატურა 2000-ის ერთ ან მეტ ობიექტთან ან ევროკავშირის დაცულ სახეობებთან კონფლიქტის გარკვეული რისკი არსებობს.
- არახელსაყრელი ტერიტორიები – სადაც მდინარის გასწვრივ, ნატურა 2000-ის ერთ ან მეტ ობიექტთან, ან ევროკავშირის დაცულ სახეობებთან, კონფლიქტის მაღალი რისკი არსებობს. საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ ასეთი ადგილებზე რაიმე ტიპის ჰიდროენერგეტიკული განვითარება არ მოხდება. ასეთ ადგილებში ძალიან რთული ან შეუძლებელი იქნება ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების პროცედურით, აგრეთვე წყლის ჩარჩო დირექტივის 4.7 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი პროცედურების ყველა პირობის შესრულება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სენსიტიურობის რუკებს პოტენციურად მაღალი რისკის (სადაც უმჯობესია ახალი პროექტების თავიდან აცილება), საშუალო რისკის (სადაც შესაძლებელია შემარბილებელი ზომების მიღება) და დაბალი რისკის (სადაც მოსალოდნელია, რომ ველურ გარემოზე ზეგავლენა შეზღუდული ან მცირე იქნება) ტერიტორიების მხოლოდ ზოგადი სურათის შემოთავაზება შეუძლიათ. როგორც ასეთი, ასეთი რუკები არ ანაცვლებენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ან შესაბამისობის შეფასების (AA) პროცედურებს პროექტის დონეზე. ეს

მონაცემები იძლევიან ზოგად წარმოდგენებს პოტენციური რისკის ზონების შესახებ, ხოლო ჰიდროენერგეტიკის განვითარების ცალკეული პროექტებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს გარკვეული პროცედურების გავლა.

ცალკეული უბნის დონეზე, გზშ-ს ან შესაბამისობის შეფასების პროცედურის ფარგლებში განხორციელებული სახეობათა ყოვლისმომცველი კვლევები, უფრო ზუსტად განსაზღვრავენ თითოეული უბნის კონკრეტულ ბუნებრივ ღირებულებებსა და მათზე ზემოქმედების სავარაუდო რისკებს. ამ კონტექსტში, სტრატეგიული დონის რუკები უკვე შეიძლება დაგვეხმაროს ცალკეული პროექტის დონეზე უფრო დეტალური და მკაცრი საბაზისო კვლევებისთვის საჭირო შეფასების დონის განსაზღვრაში.

### კომპიუტერული სერვისი დეველოპერებისთვის: THE NATURA 2000 VIEWER:



კომპიუტერული სერვისი „Natura 2000 viewer“ არის ონლაინ გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS), რომელიც საშუალებას აძლევს დეველოპერებს დაადგინონ და შეისწავლონ ნატურა 2000-ის თითოეული უბანი ევროკავშირის ტერიტორიაზე. ამ უბნების შესწავლა შესაძლებელია მეტად დეტალიზირებული მასშტაბით (1:500), სადაც ნაჩვენებია უბნის საზღვრები და მისი ძირითადი ლანდშაფტური მახასიათებლები, ძალიან მაღალი გარჩევადობით. თითოეული უბნისთვის შესაძლებელია მონაცემთა სტანდარტული ფორმის ჩამოტვირთვა, სადაც მოცემულია სახეობებისა და ჰაბიტატის ტიპების ჩამონათვალი, აგრეთვე პოპულაციის სავარაუდო რიცხოვნობა ან ტერიტორია და კონსერვაციული მდგომარეობა ადგილზე, აგრეთვე ამ უბნის მნიშვნელობა სახეობების ან მოცემული ტიპის ჰაბიტატისთვის. ასევე მას გააჩნია სხვა საძიებო და ვიზუალიზაციის ფუნქციები, რაც ნატურა 2000-ის უბნების შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების ზედდების საშუალებას იძლევა.

<http://natura2000.eea.europa.eu/>

## **ICPDR-ის რეკომენდაციები ეროვნული/რეგიონული შეფასებასთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებით**

ICPDR-ის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ჰიდროენერჯის ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე წარმოებისათვის, რეკომენდებულია ორეტაპიანი სტრატეგიული ზონალური დაგეგმვის პროცესის გამოყენება. პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს მდინარეების ის მონაკვეთები, სადაც ჰიდროენერგეტიკის განვითარება აკრძალულია შესაბამისი საერთაშორისო, ეროვნული ან რეგიონული კანონმდებლობის/შეთანხმებების შესაბამისად (გამორიცხვის ზონები). მეორე ეტაპზე, ყველა სხვა მონაკვეთი უნდა შეფასდეს წინასწარ დადგენილი კლასიფიკაციის სქემის გამოყენებით, შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ/რეგიონულ დონეზე შეფასება იყოს ტექნიკურად შესაძლებელი და ეფუძნებოდეს ყველა იმ მონაცემს, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია ამ დონეზე. მიღებული მატრიცა იქნება მხარდაჭერის ინსტრუმენტი გადაწყვეტილების მისაღებად ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი მიზნების დაბალანსებული გზით მიღწევისათვის. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს ეროვნული/რეგიონული დონის კომპეტენტური ორგანოს მიერ თითოეულ ქვეყანაში, საზოგადოების მონაწილეობით. მისი შედეგები უნდა შევიდეს მდინარის აუზის მართვის გეგმებში და განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმებში.

## **4. წინასწარი კონსულტაციები**

წინასწარი კონსულტაციები გარემოსდაცვით სფეროში მოღვაწე და ზოგადად ყველა დაინტერესებულ მხარეებთან, მნიშვნელოვანია მისაღები და მდგრადი გადაწყვეტილებების ძიებისათვის. ეს პროცესი ასევე მეტად მნიშვნელოვანია პრობლემების ერთიანი აღქმისათვის და გადაწყვეტილებების ძიებისას თანამშრომლობის წახალისების მიზნით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ეკოლოგიური ეფექტები არ ექვემდებარება ტრადიციულ შემარბილებელ მიდგომებს.

ხშირად, კონფლიქტები წარმოიქმნება იმის გამო, რომ დაგეგმვის პროცედურაში გარემოსდაცვით სფეროში მომუშავე დაინტერესებული მხარეები საკმარისად ადრეულ ეტაპზე არ ერთვებიან, რამაც შემდგომში შეიძლება ხანგრძლივი და ძვირადღირებული შეფერხებები გამოიწვიოს. იდეალურ შემთხვევაში, დაინტერესებული მხარეები და ფართო საზოგადოება პროექტის ან გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე უნდა მონაწილეობდნენ. მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის ან გეგმის შემუშავების ფაზაში და პრობლემური ტერიტორიებისთვის რეალისტური ალტერნატიული გადაწყვეტილებების შემუშავების ინტერაქტიური და განმეორებითი პროცესის დროს.

ევროპული კანონმდებლობა და პროცედურები არ არის ძალიან სპეციფიკური საჯარო კონსულტაციებსა და მონაწილეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების თვალსაზრისით და, როგორც წესი, ოფიციალურ საჯარო კონსულტაციებს მხოლოდ

გარემოზე ზემოქმედების კვლევების დასრულების შემდეგ ითვალისწინებს, იმ ეტაპზე როდესაც დაგეგმილი სამუშაოს ან პროექტის დასამტკიცებლად წარდგენა ხდება. თუმცა, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს პროექტის ინიციატორებს, მოაწიონ საკუთარი ღონისძიებები, რომლის მიზანიც იქნება საჯარო კონსულტაციების ჩატარება სანყის ეტაპზე.

საზოგადოების მონაწილეობის ნებისმიერი კარგად ორგანიზებული სტრატეგიის მიზნები უნდა იყოს:

- ინფრასტრუქტურული გეგმის ან პროექტის დაგეგმვისა და გადანყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ყველა სათანადო ინფორმაციისა და მონაცემის საჯარო ხელმისაწვდომობა;
- ცნობიერების ამაღლება საერთო გეგმის ან პროექტის მიზნებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება დაგეგმვის პროცესისა და პროექტის ან გეგმის განხორციელებისთვის;
- დაგეგმვის ფაზაში, ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართვა, რათა შეიქმნას ურთიერთნდობისა და პატივისცემის ატმოსფერო და ამით ხელი შეეწყოს გეგმის ან პროექტის საზოგადოების მიერ მიმღებლობას და მის წარმატებულ განხორციელებას.

პრაქტიკაში, შემდეგი საკითხების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების წარმატებული კონსულტაციისა და მონაწილეობის პროცესის უზრუნველსაყოფად:

- **საზოგადოების მონაწილეობის დრო:** დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უნდა დაიწყოს გეგმის ან პროექტის ადრეულ ეტაპებზე, რათა გარემოსდაცვითი ინფორმაცია იყოს გამოყენებული დაგეგმილი ჰიდროენერგეტიკული პროექტის დიზაინის, ადგილმდებარეობისა და ფინანსური მონაცემების ალტერნატივების განხილვისათვის. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია უნდა გაგრძელდეს გარემოსდაცვითი შეფასების პროცესისა და გეგმის ან პროექტის განხორციელების მთელი ციკლის განმავლობაში.
- **შესაბამისი დაინტერესებული ჯგუფების იდენტიფიცირება:** დაინტერესებული ჯგუფების ან მხარეების იდენტიფიცირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოების წარმატებული ჩართულობისთვის, იქნება ეს პოლიტიკის დოკუმენტი, დაგეგმილი სამუშაო, პროგრამა (მაგ. სექტორული თუ რეგიონული პროგრამები) თუ პროექტი. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ანალიზი, რომელშიც დაგეგმილია სამუშაოს ან პროექტის განხორციელება, ასევე დაგვეხმარება ყველა შესაბამისი სოციალური აქტორის ან დაინტერესებული მხარის გამოვლენასა და კონსულტაციების პროცესში ჩართვაში.

### **კომუნიკაციისა და კონსულტაციის სწორი ფორმის არჩევა:**

საზოგადოების ჩართულობა შეიძლება მერყეობდეს ინფორმაციის მარტივი გავრცელებიდან, კონსულტაციამდე და გადანყვეტილების მიღების პროცესში სრულ მონაწილეობამდე:

- **ინფორმირება:** ინფორმაციის ცალმხრივი ნაკადი გეგმის ავტორებიდან საზოგადოებამდე.
- **კონსულტაცია:** ინფორმაციის ორმხრივი ნაკადი ინიციატორებსა და

საზოგადოებას შორის, რაც საზოგადოებას აზრის გამოთქმის, ხოლო პროექტის ავტორებს პასუხის გაცემის შესაძლებლობას აძლევს.

- **მონაწილეობა:** ინფორმაციისა და იდეების ორმხრივი გაცვლა, რომელშიც მონაწილეობენ როგორც საზოგადოების წარმომადგენლები ასევე ინიციატორები. საზოგადოება/დაინტერესებული მხარეები ჩართულნი არიან ერთობლივ ანალიზსა და დღის წესრიგის განსაზღვრის პროცესში. ისინი ნებაყოფლობით მონაწილეობენ პროექტის დიზაინისა და მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ძირითად საკითხებზე კონსენსუსის გზით. კონკრეტული გეგმის ან პროექტისთვის საჭირო საზოგადოების ჩართულობის დონე შეიძლება განსხვავდებოდეს სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით. მონაწილეობის მატრიცა შესაძლებელია განისაზღვროს თითოეული ძირითადი დაინტერესებული მხარის ჯგუფისთვის, რათა დადგინდეს მონაწილეობის შესაბამისი ხარისხი. მატრიცა ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სისტემატური ინსტრუმენტი დაინტერესებული მხარეების როლებისა და პასუხისმგებლობების დასადგენად და ჯგუფებს შორის პოტენციური უთანხმოების სფეროების იდენტიფიცირებისთვის.
- **საკუთრება და ვალდებულება:** პოტენციურად შეხებაში მყოფ ჯგუფებთან წინასწარმა კონსულტაციებმა შეიძლება გააუმჯობესოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხარისხი, რომელიც მიეწოდება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (მაგ. გარემოზე ზემოქმედების ფორმების იდენტიფიცირების გზით ან შესაბამისი შემარბილებელი ზომების შემუშავებით) და პროცესს პოტენციური კონფლიქტებისა და შეფერხებების მინიმუმამდე შემცირებაში დაეხმარება. პროექტის ინიციატორების მხრიდან საზოგადოებისთვის ინფორმაციის ღიად მიწოდების პოლიტიკამ და წინადადებებზე ან შეშფოთებაზე რეაგირების რეალურმა საპასუხო ძალისხმევამ, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს არასწორად გაგების თავიდან აცილებას და განაპირობოს ინიცირებული პროექტის უფრო ფართო მიღება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

ეჭვგარეშეა, რომ საჯარო კონსულტაციები და მონაწილეობა შეიძლება იყოს შრომატევადი და საჭიროებდეს დიდ ძალისხმევასა და დროს, მაგრამ პოზიტიური მიდგომის შემთხვევაში, მათ შეიძლება შეამცირონ ანტაგონიზმი და გაზარდონ გრძელვადიანი წარმატების პოტენციალი.

## 5. შეფასების პროცედურა ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით

### 1. შესავალი

ევროკავშირის ველური ბუნების კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ნებისმიერმა გეგმამ ან პროექტმა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ნატურა 2000-ის ერთ ან მეტ ობიექტზე, ჰაბიტატების დირექტივის 6.3 მუხლის მოთხოვნების მიხედვით გაიაროს შესაბამისი შეფასება. ამ თავში მოცემულია ეტაპობრივი გზამკვლევი, რომელიც განკუთვნილია ჰიდროენერგეტიკული გეგმებისა და პროექტების შესაბამისობის შეფასების ჩატარებისთვის<sup>54</sup>.

**მუხლი 6(3)** ნებისმიერი გეგმა ან პროექტი, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ან აუცილებელი არ არის საიტის მართვისთვის, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მასზე, ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან, ან პროექტებთან ერთად, მისი ზეგავლენის უბანზე ექვემდებარება შესაბამისობის შეფასებას. ობიექტზე ზეგავლენის შეფასების დასკვნების და მე-4 პუნქტის დებულებების მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპეტენტური ეროვნული ორგანოები ეთანხმებიან გეგმას ან პროექტს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ ის უარყოფითად არ იმოქმედებს ტერიტორიის მთლიანობაზე. საჭიროების შემთხვევაში თანხმობა უნდა გაიცეს დაინტერესებული ფართო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით.

**მუხლი 6(4)** იმ შემთხვევაში თუ უმთავრესი საზოგადოებრივი ინტერესის იმპერატიული საჭიროებიდან გამომდინარე (მათ შორის სოციალური ან ეკონომიკური ხასიათის გამო) პროექტი მაინც უნდა განხორციელდეს მიუხედავად იმისა, რომ შეფასება აჩვენებს დაგეგმილი სამუშაოს მხრიდან ობიექტზე უარყოფით ზეგავლენას და ასევე არ არსებობს ალტერნატიული გეგმა, წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საკომპენსაციო ზომა, რათა უზრუნველყოს Natura 2000-ის მთლიანობის დაცვა. ამავდროულად იგი (წევრი სახელმწიფო) საქმის კურსში აყენებს კომისიას მიღებული საკომპენსაციო ზომების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ ნატურა 2000-ის ქსელი იცავს ევროპის ყველაზე ღირებულ და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ჰაბიტატებსა და სახეობებს, ლოგიკურია, რომ დაგეგმილი სამუშაოებისა და პროექტების განხორციელებაზე (რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ ამ ადგილებზე) ნებართვის გაცემის პროცედურები უნდა იყოს საკმარისად დეტალიზირებული და მკაცრი. ამ გზით თავიდან იქნება აცილებული ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივების საერთო მიზნებით გათვალისწინებული ამოცანების

54. კომისიამ მოამზადა სახელმძღვანელო დოკუმენტები, რათა დაეხმაროს ადამიანებს გააცნობიერონ და ეფექტურად გამოიყენონ შესაბამისი შეფასების პროცედურა. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია კომისიის Natura 2000 ვებსაიტზე, [http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance_en.htm)

ხელყოფა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საფუძვლიანი სამეცნიერო ინფორმაციისა და ექსპერტიზის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას. დამტკიცების პროცესის შეფერხება ხშირად გამოწვეულია შესაბამისობის შეფასების უხარისხობით, რაც ხელს უშლის კომპეტენტურ ორგანოებს, ადეკვატურად შეაფასონ დაგეგმილი პროექტის ან გეგმის შესაძლო ნეგატიური შედეგები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის შეფასება, რომელიც განხორციელდა ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, არ აგვერიოს გზშ-ს და სგშ-ს, ისევე როგორც წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლის 4.7-ით გამოწვევებით გათვალისწინებულ პროცედურებში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეფასებები ძალიან ხშირად ტარდება ერთად და შეიძლება კოორდინირებული ხასიათი ჰქონდეს, თითოეულს აქვს განსხვავებული მიზანი და ამოცანები. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი აფასებენ გარემოზე ზემოქმედების სხვადასხვა ასპექტებს. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იდეალურ შემთხვევაში კოორდინირებული ფორმით უნდა მიმდინარეობდნენ, ვერ შეცვლიან და ვერ ჩაანაცვლებენ შესაბამისობის შეფასების პროცედურას.

**შესაბამისობის შეფასების პროცედურაში ყურადღება გამახვილებულია ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივებით დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატების ტიპებზე, განსაკუთრებით იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომელთა კონსერვაციის მიზნით დაარსებულია ნატურა 2000-ის უბანი.** აქედან გამომდინარე შესაბამისობის შეფასების პროცედურა, რომელიც განსაზღვრულია ჰაბიტატების დირექტივის 6.3 მუხლით, უფრო ვიწროა, ვიდრე წყლის ჩარჩო დირექტივის, გზშ-ს ან სგშ-ს დირექტივების მიხედვით ჩატარებული შეფასებები და შემოიფარგლება ნატურა 2000-ის უბნებით და მათი კონსერვაციული მიზნებით.

თითოეული შეფასების პროცედურის ეფექტი ასევე განსხვავებულია. შესაბამისობის შეფასება და წყლის ჩარჩო დირექტივის ფარგლებში ჩატარებული შეფასებები იურიდიულად სავალდებულოა კომპეტენტური ორგანოსთვის და განსაზღვრავს ამ ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ შესაბამისობის შეფასების პროცედურა დაადგენს, რომ მიუხედავად შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებისა, ადგილი ექნება ნატურა 2000 უბნის მთლიანობაზე უარყოფით ზეგავლენას, მაშინ გეგმა ან პროექტი შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ჰაბიტატის დირექტივის 6.4 მუხლით განსაზღვრული პირობები.

## **2. როდის არის აუცილებელი მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენება?**

პროცედურული და არსებითი გარანტიები, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს ნებისმიერი დაგეგმილი საქმიანობის თუ პროექტის განხორციელებისას და რომლებსაც დიდი ალბათობით მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ნატურა 2000-ის უბანზე, ასახულია ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლში.

ეს პროცედურა შექმნილია რათა:

- ტერიტორიის კონსერვაციის მიზნებიდან გამომდინარე, შეფასდეს დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის შედეგები, რომელსაც სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ნატურა 2000-ის უბანზე, მისი კონსერვაციული მიზნების გათვალისწინებით;
- დადგინდეს, მოახდენს თუ არა ეს შედეგები უარყოფით გავლენას უბნის მთლიანობაზე;
- შექმნას ნებართვის გაცემის მექანიზმი ისეთი დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის განხორციელებისთვის, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ნატურა 2000-ის უბანზე, თუ არ არსებობს ნაკლები ზიანის მომტანი ალტერნატიული გადაწყვეტილებები და მისი განხორციელება მაინც საჭიროდ ჩაითვლება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის გამო;
- ზემოთ აღნიშნულ გამონაკლის შემთხვევაში გატარდეს საკომპენსაციო ზომები, ნატურა 2000-ის ქსელის მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

ჰაბიტატის დირექტივის მუხლი 6.3 აზუსტებს რამდენიმე ტერმინს იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა შესაბამისობის შეფასების ჩატარება. ეს ეხება:

- ნებისმიერ გეგმას ან პროექტს;
- რომელსაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ნატურა 2000-ის ერთ უბანზე მაინც;
- ცალკე ან სხვა გეგმებთან ან პროექტებთან ერთად;
- მაგრამ რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული უბნის კონსერვაციული მართვის საკითხებთან.

დირექტივა არ განსაზღვრავს „გეგმის“ ან „პროექტის“ ფარგლებს. ამის ნაცვლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, მოახდენს თუ არა პროექტი სერიოზულ გავლენას გარემოზე. ამიტომ ტერმინი „პროექტი“ ფართო კონტექსტში უნდა განიმარტოს. ის უნდა მოიცავდეს როგორც სამშენებლო სამუშაოებს, ასევე ბუნებრივ გარემოში ნებისმიერ სხვა ჩარევას<sup>55</sup>. პროცედურა ასევე მოიცავს პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ არსებული ჰიდროელექტროსადგურის მოდერნიზაციის, აღდგენის და განახლებით სამუშაოებს, თუ ითვლება, რომ ამან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ნატურა 2000-ის უბანზე.

რაც შეეხება მის გეოგრაფიულ ფარგლებს, მუხლი 6.3 არ შემოიფარგლება მხოლოდ ნატურა 2000-ის ტერიტორიის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობებითა და პროექტებით. ის ასევე მოიცავს ნატურა 2000-ის უბნის მიღმა დაგეგმილ საქმიანობებს, იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა ამ უბანზე. იმის გამო, რომ შემოთავაზებული საქმიანობა ან პროექტი ხორციელდება ნატურა 2000-ის უბნის საზღვრებს გარეთ, ის არ შეიძლება გათავისუფლდეს შესაბამისობის შეფასების ჩატარების მოთხოვნისაგან (ჰაბიტატის დირექტივის 6.3 მუხლი).

ამრიგად, შეფასების საჭიროება დამოკიდებულია იმაზე, მოახდენს თუ არა დაგეგმილი საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ნატურა 2000-ის უბანზე, კონკრეტულად ამ

---

55. ევროპის სამართლიანობის სასამართლოს გადაწყვეტილება European Court of Justice Ruling C-127/02

კონკრეტული პროექტის ფარგლებში იქნება ეს თუ სხვა გეგმებთან ან პროექტებთან ერთად, განურჩევლად იმისა, პროექტი ნატურა 2000-ის ქსელის ფარგლებში ხორციელდება თუ მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, თუ პროექტი ხორციელდება ნატურა 2000-ის ტერიტორიისგან მოშორებით, დინების ზედა ნაწილში, მან შესაძლოა მაინც მიაყენოს ზიანი ტერიტორიის მთლიანობას, რომელიც დინების ქვემო წელში მდებარეობს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს წყლის ნაკადის ინტენსივობის დარღვევით, ნალექების გადატანის ცვლილებებით, დაბინძურების ან სახეობების გადაადგილებისა და მიგრაციის პროცესებში ბარიერების შექმნით და სხვ. ასეთ შემთხვევებში პროექტი უნდა შეფასდეს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

იდეალურ შემთხვევაში ყოველივე ეს ასევე უნდა მოიცავდეს ნებისმიერი სავარაუდო ტრანსსასაზღვრო ეფექტის განხილვასაც. თუ გეგმას ან პროექტს ერთ ქვეყანაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ნატურა 2000-ის უბანზე სხვა ქვეყანაში, ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან ან პროექტებთან ერთობლიობაში, მაშინ შესაბამისობის შეფასების პროცედურამ ასევე უნდა შეაფასოს ზემოქმედება ნატურა 2000-ის უბნების მთლიანობაზე სხვა ქვეყანის ტერიტორიაზეც. ეს შეესაბამება ესპოს კონვენციის მოთხოვნებს (გაეროს „კონვენცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ტრანსსასაზღვრო კონტექსტში“ - Convention On Environmental Impact Assessment in a Transboundary Context”), რომელიც დანერგულია ევროკავშირში გზმ-ს და სგმ-ს დირექტივებით.

### 3. ეტაპობრივი პროცედურა

მე-6(3) მუხლით გათვალისწინებული პროცედურა თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს. თითოეული ნაბიჯი განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა პროცესის შემდგომი ნაბიჯის გატარება. მაგალითად, თუ სკრინინგის შემდეგ დადგინდება, რომ ნატურა 2000-ის უბანზე უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება, მაშინ დაგეგმილი საქმიანობა ან პროექტი შეიძლება შემდგომი შეფასების გარეშე დამტკიცდეს.

ნაბიჯები შემდეგია (იხ. ბლოკ-სქემა):

სკრინინგი - ეს პირველი ნაბიჯი განსაზღვრავს მოეთხოვება თუ არა დაგეგმილ საქმიანობას ან პროექტს შესაბამისობის შეფასება. თუ შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ გეგმა ან პროექტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ნატურა 2000-ის რომელიმე უბანზე, მაშინ შესაბამისობის შეფასების განხორციელება აუცილებელია.


შესაბამისობის შეფასება - როგორც კი გადაწყდება, რომ შესაბამისობის შეფასება არის საჭირო, დეტალური ანალიზი უნდა გაკეთდეს დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის ნატურა 2000-ის ტერიტორიის მთლიანობაზე პოტენციური ზეგავლენის შესახებ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვა გეგმებთან კომბინაციაში.

გადაწყვეტილების მიღება - თუ შესაბამისობის შეფასება ვერ დაამტკიცებს, რომ ადგილი არ ექნება უარყოფით ზემოქმედებას საიტის მთლიანობაზე ან რაიმე სახის უარყოფითი ეფექტი შეიძლება შემცირდეს გარკვეული ღონისძიებების განხორციელების ხარჯზე, მაშინ კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უარყონ დაგეგმილი სამუშაო, ან პროექტი. მეორე მხრივ, თუ შესაბამისობის შეფასება

დაამტკიცებს, რომ არ იქნება უარყოფითი ზეგავლენა ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობაზე, პროექტი შეიძლება დამტკიცდეს.

მუხლი 6.4 უშვებს გარკვეულ გამონაკლისებს ამ ზოგადი წესიდან. დაგეგმილი სამუშაოების ან პროექტის ინიციატორს შეუძლია მოითხოვოს გეგმის ან პროექტის დამტკიცება გამონაკლის შემთხვევებში იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სიფრთხილის პრინციპზეა დაფუძნებული. აქცენტი კეთდება ობიექტურ, სანდო მტკიცებულებებზე, რომ ადგილი არ ექნება უარყოფით ზემოქმედებას ნატურა 2000-ის უბანზე. უარყოფითი შედეგების არ ქონის დასაბუთების პასუხისმგებლობა ეკისრება დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის განმახორციელებელ მხარეს.



სურათი 6: ჰაბიტატების დიხექტივის მუხდი 6.3 და 6.4-ით გათვალისწინებული პირობების ბლოკ-სქემა (ევროკომისიის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით)

ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6.3-ით გათვალისწინებული პროცედურის პირველი ნაბიჯი გულისხმობს იმის დადგენას, საჭიროა თუ არა შესაბამისობის შეფასება ე.ი. ექნება თუ არა გეგმას ან პროექტს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ნატურა 2000-ის ობიექტზე. თუ საკმარისი მტკიცებულებებით დადგინდება, რომ დაგეგმილ საქმიანობას ან პროექტს არ ექნება მნიშვნელოვანი ეფექტი, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა პროექტებთან ერთად, მაშინ ის შეიძლება დამტკიცდეს შემდგომი შეფასების გარეშე.

თუმცა, თუ რაიმე ეჭვი არსებობს გავლენის ალბათობასთან დაკავშირებით, საჭირო იქნება შესაბამისობის შეფასების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს პოტენციური გავლენების სრულად შესწავლა. ეს მიდგომა დაადასტურა ევროპულმა სასამართლომ Waddenzee-ს გადაწყვეტილებაში (C-127/02), რომელშიც სასამართლომ დაასკვნა, რომ: „მე-6(3) მუხლით გათვალისწინებული გარემოს დაცვის მექანიზმი არ გულისხმობს იმას, რომ გეგმა ან პროექტი აუცილებლად მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას მოცემულ უბანზე, არამედ გამომდინარეობს იქიდან, რომ ასეთი ზეგავლენის ალბათობა თან ახლავს დაგეგმილი საქმიანობის/პროექტის განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ არის გამორიცხული, შესაბამისობის შეფასება უნდა განხორციელდეს. ეს მიდგომა შესაძლებელს ხდის, რომ გეგმები ან პროექტები, რომლებიც უარყოფითად აისახება შესაბამისი საიტის მთლიანობაზე, არ იქნება ავტორიზებული და ამით ხელი შეეწყობა ჰაბიტატების დირექტივის საერთო მიზნების მიღწევას“.

შესაბამისობის შეფასების ჩატარების გადაწყვეტილების მიღების საბოლოო მიზეზები უნდა დაფიქსირდეს. დასკვნის გასამყარებლად საკმარისი ინფორმაცია უნდა იყოს მოწოდებული.

<b>გარემოსდაცვითი განხორციელებისთვის</b>	<b>ნებართვა</b>	<b>ჰიდროენერგეტიკული</b>	<b>პროექტის</b>
<p>გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ შემოიღო ელექტრონული განაცხადის ფორმა - სახელწოდებით „საკონტროლო სია ჰიდროენერგეტიკული პროექტების გარემოსდაცვითი აუდიტისათვის“ - რომლის მიზანია პოტენციური პროექტების სკრინინგის ხელშეწყობა წინასწარი დაგეგმვის ეტაპზე. საკონტროლო სია ეხმარება განმცხადებელს დაადგინოს, რა ინფორმაციის გაგზავნაა საჭირო კომპეტენტური ორგანოებისთვის, რათა მათ შეძლონ შემოთავაზებული ჰიდროენერგეტიკული პროექტის გავლენის სრულყოფილი შეფასება, ასევე, განმცხადებელს დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით პირველი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობას აძლევს. ეს ხელს შეუწყობს დროისა და რესურსების არასაჭირო ხარჯვის თავის არიდებას ისეთ პროექტებზე, რომელთა მიერ ნებართვის მოპოვება ნაკლებად არის სავარაუდო. განმცხადებლებს კონკრეტულად მოეთხოვებათ საკონტროლო სიის შევსება, რომელიც შემდეგ კითხვებს მოიცავს:</p>			
<p>1. წყალაღება და ნაკადის მართვა</p>			

2. კონსერვაცია
3. წყლის ხარისხი
4. ბიომრავალფეროვნება და თევზჭერა
5. წყალდიდობის რისკის მართვა
6. ნავიგაცია

მთავრობამ ასევე გამოსცა სახელმძღვანელო დოკუმენტების სერია, რომელთა მიზანია დაეხმაროს დეველოპერებს მდინარეზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის საჭირო განაცხადის მომზადებაში. ეს დოკუმენტები განმარტავს

- როგორ არეგულირებს დიდი ბრიტანეთის გარემოს დაცვის სააგენტო ჰიდროენერგეტიკას;
- გასათვალისწინებელ გარემოსდაცვითი საკითხებს;
- რჩევები ჰიდროენერგეტიკული პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- როგორ უნდა წარადგინოთ განაცხადი საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების მოსაპოვებლად.

<https://www.gov.uk/government/publications/wr325-hydropower-schemes-environmental-site-audit-checklist>

<https://www.gov.uk/government/publications/good-practice-guidelines-to-the-environment-agency-hydropower-handbook>

<b>2. კონსერვაცია</b>		
დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ჩვენი რჩევა: წყლის ჩარჩო დირექტივა, ბუნების კონსერვაცია და მემკვიდრეობა		
	YES	NO
არის თუ არა პროექტის განხორციელების ადგილი მოქცეული განსაკუთრებული სამეცნიერო დანიშნულების ტერიტორიაზე (SSSI) ან სავარაუდოდ მოახდენს თუ არა მასზე ზეგავლენას? (იხ. შენიშვნა 2ა)	YES	NO
არის თუ არა პროექტის განხორციელების ადგილი მოქცეული კონსერვაციის სპეციალურ ზონაში (SAC) ან სავარაუდოდ მოახდენს თუ არა მასზე ზეგავლენას? (იხ. შენიშვნა 2ბ)	YES	NO
არის თუ არა პროექტის განხორციელების ადგილი მოქცეული სპეციალურ დაცულ ზონაში (SPA) ან სავარაუდოდ მოახდენს თუ არა მასზე ზეგავლენას? (იხ. შენიშვნა 2გ)	YES	NO
არის თუ არა პროექტის განხორციელების ადგილი მოქცეული ეროვნულ ნაკრძალში, ან სავარაუდოდ მოახდენს თუ არა მასზე ზეგავლენას? (იხილეთ შენიშვნა 2დ)	YES	NO
არის თუ არა პროექტის განხორციელების ადგილი მოქცეული ადგილობრივ ნაკრძალში ან სავარაუდოდ მოახდენს თუ არა მასზე ზეგავლენას? (იხ. შენიშვნა 2დ)	YES	NO
არის თუ არა პროექტის განხორციელების ადგილი გამორჩეული ბუნებრივი სილამაზის ზონაში (AONB)? (იხ. შენიშვნა 2ე)	YES	NO
არის თუ არა პროექტის განხორციელების ადგილი ეროვნულ პარკში? (იხ. შენიშვნა 2ვ)	YES	NO
შეიძლება თუ არა რომ ამ პროექტმა გავლენა მოახდინოს რომელიმე ჩანჩქერზე, საზოგადოებრივ საფეხმავლო ბილიკზე, მემკვიდრეობის ძეგლზე ან კონსერვაციულ ზონაზე? (იხ. შენიშვნა 2ზ)	YES	NO
ჩატარდა თუ არა ადგილზე ოფიციალური ეკოლოგიური კვლევები? (იხ. შენიშვნა 2თ)	NO	YES
ითვალისწინებს თუ არა სქემა დაცულ სახეობებს, რომლებიც შეიძლება ბინადრობდნენ ამ უბანზე ან მის მახლობლად? (იხ. შენიშვნა 2ი)	NO	YES

### 5.3.2 შესაბამისობის შეფასება

მას შემდეგ რაც გადაწყდება, რომ საჭიროა შესაბამისობის შეფასების ჩატარება, ის უნდა განხორციელდეს მანამ, სანამ კომპეტენტური ორგანო მოახდენს დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის ავტორიზაციას (სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით C-127/02). ტერმინი „შესაბამისობა“ არსებითად ნიშნავს, რომ პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ შეფასდეს ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივების მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, უნდა შეფასდეს, უზრუნველყოფილი იქნება თუ არა სახეობებისა და ჰაბიტატების ტიპების დაცვა, რისთვისაც ნატურა 2000-ის უბანი შეიქმნა.

56. Judgment of the Court სასამართლოს გადაწყვეტილება C-127/02 – Waddenvereniging and Vogelsbeschermingvereniging.

ტერმინი „შესაბამისი“ ასევე ნიშნავს, რომ შეფასებამ უნდა მიგვიყვანოს დასაბუთებულ დასკვნამდე. თუ მომზადებულ ანგარიშში წარმოდგენილი არ იქნება საკმარისად დეტალური შეფასება, რომელიც ზუსტად აღწერს ნატურა 2000-ის ობიექტზე ზემოქმედებას ან არ შეიცავს საკმარის მტკიცებულებებს მკაფიოდ გასაგები დასკვნების გასაკეთებლად იმის შესახებ, მოხდება თუ არა უარყოფითი ზემოქმედება უბნის მთლიანობაზე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შეფასებამ ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია და იგი დირექტივის 6.3 მუხლის მიზნების „შესაბამისად“ ვერ ჩაითვლება.

ეს დაადასტურა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ IREALP<sup>57</sup> ანგარიში მართლაც მიუთითებს, რომ მთავარი ზემოქმედება ფაუნაზე ხდება ტყეების გაჩეხვის ეტაპზე ბუდეების განადგურების შედეგად, ასევე ჰაბიტატების ფრაგმენტაციის გამო, მასში მოცემული უამრავი მიგნება წინასწარი ხასიათისაა და არ შეიცავს საბოლოო დასკვნებს. ანგარიში საუბრობს ეტაპობრივად ჩასატარებელი შეფასებების მნიშვნელობაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს იმ ცოდნისა და დეტალური მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოვლინდება პროექტის განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, ანგარიში ჩაფიქრებული იყო როგორც დაგეგმილი ოპერაციების გარემოზე ზემოქმედების შემცირების სხვა წინადადებების შემოთავაზების შესაძლებლობა“.

„ეს ფაქტორები ნიშნავს, რომ IREALP ანგარიში ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამუშაოების SPA IT 2040044-ზე გავლენის შესაბამისობის შეფასებად“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ როგორც 2000 წლის კვლევას, ასევე 2002 წლის ანგარიშს აქვთ ხარვეზები და მოკლებული არიან სრულ, ზუსტ და საბოლოო აღმოჩენებსა და დასკვნებს, რომლებსაც შეუძლიათ მოხსნან ყველა გონივრული მეცნიერული ეჭვი შესაბამის SPA-უბანზე შემოთავაზებული სამუშაოების შედეგებთან დაკავშირებით. ასეთი აღმოჩენები და დასკვნები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კომპეტენტური ორგანოები საჭირო დონეზე დარწმუნდნენ, რომ შესაძლებელია სამუშაოების ავტორიზაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა შესაბამისობის შეფასების განხორციელებისას საუკეთესო მეცნიერული ცოდნის გამოყენების მნიშვნელობას, რათა კომპეტენტურ ორგანოებს მიეცეთ საშუალება საკმარისად დარწმუნებით იმსჯელონ იმის თაობაზე, რომ უბნის მთლიანობაზე უარყოფითი გავლენა არ იქნება. სასამართლომ მიიჩნია, რომ „გეგმის ან პროექტის ყველა ასპექტი, რომელსაც შეუძლია, ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან, ან პროექტებთან ერთად, გავლენა მოახდინოს მიზნებზე, უნდა განისაზღვროს ამ სფეროში საუკეთესო სამეცნიერო ცოდნაზე დაყრდნობით“ (C-127/). 02, პუნქტი 54).

---

57. გამოყენებითი ეკოლოგიისა და ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი ალპურ რეგიონში. (Research Institute for Applied Ecology and Economics in the Alpine Region).

შეფასების ანგარიში:

- დეტალურად უნდა აღწერდეს პროექტს ან დაგეგმილ სამუშაოს, რათა დადგინდეს მისი მასშტაბი, ფარგლები და მიზნები;
- აღწერდეს ნატურა 2000-ის უბნის საბაზისო კონსერვაციულ მიზნებსა და ამოცანებს;
- აღწერდეს ყველა შესაძლო ეფექტს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი;
- აანალიზებდეს ურთიერთკავშირს პროექტის მახასიათებლებსა და იმ სახეობებისა და ჰაბიტატების ეკოლოგიურ პარამეტრებს შორის, რომელთა კონსერვაციის მიზნითაც შეიქმნა აღნიშნული უბანი, რათა განისაზღვროს პროექტის ან დაგეგმილი სამუშაოების Natura 2000-ის უბანზე პოტენციური გავლენა და ამ სამუშაოების მნიშვნელობის დონე;
- განმარტავდეს, როგორ უნდა მოხდეს ასეთი ნეგატიური ეფექტების თავიდან აცილება ან შექცევისდაგვარად შერბილება;
- ადგენდეს ვადებს და მექანიზმებს, რომელთა დახმარებითაც მოხდება შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა, განხორციელება და მონიტორინგი;
- შეიცავდეს ინფორმაციის ყველა გამოყენებული მასალის და ლიტერატურული წყაროს შესახებ.

და ბოლოს, პროექტის განმახორციელებელი პასუხისმგებელია შესაბამისობის შეფასების პროცესის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე და მისი ადეკვატური ხარისხის მონაცემების მიწოდებაზე. ხელისუფლება პასუხისმგებელია მოწოდებული მონაცემების სამართლიანად და სრულად შეფასებაზე, ზემოქმედების შესახებ დასკვნების სისწორისა და მათი მნიშვნელობის შემოწმებასა და იმის დადასტურებაზე, რომ არ იქნება რაიმე უარყოფითი ზეგავლენა ნატურა 2000-ის ტერიტორიის მთლიანობაზე, მისი კონსერვაციული მიზნების გათვალისწინებით.

გავლენის შეფასება მოცემული უბნის კონსერვაციული მიზნების გათვალისწინებით

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისობის შეფასებამ უნდა გაანალიზოს დაგეგმილი სამუშაოს ან პროექტის ზემოქმედება უბანზე იმ კონსერვაციული მიზნების გათვალისწინებით, რომელიც ამ ტერიტორიისთვის იყო განსაზღვრული. როგორც მინიმუმ, კონსერვაციის მიზანია თავიდან იყოს აცილებული სახეობებისა და ჰაბიტატების მდგომარეობის გაუარესება, რომელთა კონსერვაციისთვისაც ეს უბანი იყო განსაზღვრული.

თუ კონსერვაციის უფრო ამბიციური მიზნებია დასახული დირექტივის 6.1 მუხლის მიხედვით, მაშინ დაგეგმილი სამუშაოების ან პროექტის პოტენციური გავლენა უნდა შეფასდეს უფრო ამბიციურ მიზნებთან მიმართებაში. მაგალითად, თუ მიზანია ალკუნის პოპულაციის გარკვეულ დონეზე აღდგენა 8 წლის განმავლობაში, უნდა შეფასდეს, შეაფერხებს თუ არა შემოთავაზებული გეგმა ან პროექტი ამ აღდგენის პროცესს და არა ის, პოპულაცია უბრალოდ სტაბილური იქნება თუ არა.

## ნატურა 2000-ის მონაცემების სტანდარტული ფორმა

ნატურა 2000-ის თითოეული უბნისთვის იქმნება მონაცემების სტანდარტული ფორმები. ისინი შეიცავს ინფორმაციას უბნის ფართობის, ჰაბიტატების ტიპებისა და მათი კონსერვაციული სტატუსის შესახებ, აგრეთვე შეფასებას, თუ რა გლობალური ღირებულება გააჩნია ამ უბანს მათი კონსერვაციისათვის. ასევე შეიცავენ ინფორმაციას ამ უბანში გავრცელებული სახეობების - მაგ., პოპულაციის ზომის, მათი კონსერვაციული სტატუსის შესახებ (არის თუა არა ეს პოპულაცია რეზიდენტი, იზამთრებს, მიგრირებს, გამრავლების ადგილების შესახებ). მონაცემთა სტანდარტულ ფორმაში ასევე მოცემულია ინფორმაცია უბნის მდგომარეობის და ტერიტორიის ღირებულების შესახებ შესაბამისი სახეობებისთვის<sup>58</sup>.

### ქართული ტექსტის რედაქტორის შენიშვნა.

საქართველოში დაარსებული „ზურმუხტის ქსელის“ საიტებისთვის ასევე იქმნება სტანდარტულ მონაცემთა ფორმა, რომელიც თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ნატურა 2000-ის ქსელის უბნის სტანდარტულ მონაცემთა ფორმის ანალოგია. ამ ფორმაში შესაძლებელია ნანახი იქნას ინფორმაცია იმ ჰაბიტატების და სახეობების შესახებ, რომელთა კონსერვაციის მიზნით არის დაარსებული „ზურმუხტის ქსელის“ უბანი. „ზურმუხტის ქსელით“ დაცული ჰაბიტატების და სახეობების ჩამონათვალი მოცემულია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი საბჭოს რეზოლუცია #4-სა და რეზოლუცია #6-ში (რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ბერნის კონვენციის დანართების განახლებულ ვარიანტებს), ხოლო ნატურა 2000-ის ქსელით დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის საკითხები მოცემულია ფრინველების და ჰაბიტატების დირექტივის დანართებში.

## უბანზე გავრცელებული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის მდგომარეობა

სახეობის ან ჰაბიტატის კონსერვაციის სტატუსი არ უნდა აგვერიოს ამ სახეობის ან ჰაბიტატის კონსერვაციულ მდგომარეობაში. „კონსერვაციის სტატუსი“ ეხება ევროკავშირის ტერიტორიაზე სახეობის ან ჰაბიტატის სტატუსს მისი გავრცელების ბუნებრივ არეალში და შეიძლება შეფასდეს მხოლოდ უფრო მაღალ დონეზე (მაგ. ეროვნული, ბიოგეოგრაფიული ან ევროკავშირის მასშტაბით). „კონსერვაციის მდგომარეობა“ კი გულისხმობს კონკრეტული სახეობის ან ჰაბიტატის მდგომარეობას კონკრეტულ ადგილზე. თუ მისი მდგომარეობა არასახარბიელოა, ხელისუფლებამ შესაძლოა გადაწყვიტოს ამ სახეობის ან ჰაბიტატის კონსერვაციის უფრო ამბიციური მიზნების დასახვა, ვიდრე უბრალოდ მისი გაუარესების პრევენციაა.

58. გამოყენებითი ეკოლოგიისა და ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი ალპურ რეგიონში. (Research Institute for Applied Ecology and Economics in the Alpine Region).

ექვს წელიწადში ერთხელ, წევრი სახელმწიფოები ამზადებენ ანგარიშს ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის სტატუსის თაობაზე მათ ტერიტორიაზე ჰაბიტატების დირექტივის მე-17 მუხლის შესაბამისად. ამ ეროვნული ანგარიშების საფუძველზე, კომისია ამზადებს კონსოლიდირებულ ანგარიშს მათი კონსერვაციის სტატუსის შესახებ ბიოგეოგრაფიულ დონეზე და ევროკავშირის დონეზე<sup>59</sup>.

### **ნატურა 2000 მართვის გეგმები**

მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო არ არის, ჰაბიტატების დირექტივა რეკომენდაციას იძლევა, რომ შემუშავდეს მენეჯმენტის გეგმები, რათა განისაზღვროს კონსერვაციის მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ზომები ადგილზე სახეობებისა და ჰაბიტატების ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მართვის გეგმები ნატურა 2000-ის შესახებ ინფორმაციის ფასდაუდებელი წყაროა<sup>60</sup>.

### **ქართული ტექსტის რედაქტორის შენიშვნა.**

#### **ბიოგეოგრაფიული რეგიონები**


ევროპის მთელი ტერიტორია დაყოფილია ე.წ ბიოგეოგრაფიულ რეგიონებად, რომლიდანაც სამი: შავი ზღვის, ალპური და სტეპური რეგიონი გვხვდება საქართველოშიც (ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილება (T-PVS/PA) (2010 წ.) European biogeographical regions' map, as adopted by the Standing Committee to the Bern Convention, December 2010).

საქართველოში დაარსებული „ზურმუხტის ქსელის“ ფარგლებში ჩატარებული კვლევები ასევე ითვალისწინებს სახეობებისა და ჰაბიტატების „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ განსაზღვრას, რომლის დადგენაც ხდება ბიოგეოგრაფიული რეგიონებისთვის.

საიტებისთვის ასევე იქმნება სტანდარტულ მონაცემთა ფორმა, რომელიც თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ნატურა 2000-ის ქსელის უბნის სტანდარტულ მონაცემთა ფორმის ანალოგია. ამ ფორმაში შესაძლებელია ნანახი იქნას ინფორმაცია იმ ჰაბიტატების და სახეობების შესახებ, რომელთა კონსერვაციის მიზნით არის დაარსებული „ზურმუხტის ქსელის“ უბანი. „ზურმუხტის ქსელით“ დაცული ჰაბიტატების და სახეობების ჩამონათვალი მოცემულია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი საბჭოს რეზოლუცია #4-სა და რეზოლუცია #6-ში (რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ბერნის კონვენციის დანართების განახლებულ ვარიანტებს), ხოლო ნატურა 2000 -ის ქსელით დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის საკითხები მოცემულია ფრინველების და ჰაბიტატების დირექტივის შესაბამის დანართებში.

59. [http://ec.europa.eu/environment/nature/knowledge/rep\\_habitats/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/knowledge/rep_habitats/index_en.htm)

60. [http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance_en.htm)



შესაბამისობის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება

შესაბამისობის შეფასების პროცესის ჩატარების პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვება როგორც დაგეგმილი პროექტის, ასევე ნატურა 2000-ის უბნის შესახებ. ჩვეულებრივ, ეს არის განმეორებითი პროცესი. თუ პირველადი კვლევა და ანალიზი გამოავლენს მნიშვნელოვან ხარვეზებს ცოდნის კუთხით, მაშინ შესაძლოა საჭირო გახდეს შემდგომი ეკოლოგიური კვლევისა თუ საველე სამუშაოების ჩატარება, რომელთა მიზანიც იქნება არსებული მონაცემების გამდიდრება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის შეფასების პროცესი ეფუძნებოდეს არსებულ საუკეთესო მეცნიერულ ცოდნას მოცემულ სფეროში, რათა მოიხსნას ყველა გონივრული ეჭვი დაგეგმილი სამუშაოების მხრიდან შესაბამის უბანზე შესაძლო ზეგავლენასთან დაკავშირებით.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ დეტალური კვლევები და საველე სამუშაოები ფოკუსირებული იყოს იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომელთა კონსერვაციის მიზნითაც შეიქმნა ნატურა 2000-ის უბანი და რომლებიც მგრძნობიარე შეიძლება აღმოჩნდნენ შემოთავაზებული საქმიანობის მიმართ. მათი სენსიტიურობა უნდა გაანალიზდეს პროექტის აქტივობების (ტიპი, მასშტაბი, მეთოდები და ა.შ.) და შესაბამის ჰაბიტატებსა და სახეობებს შორის შესაძლო ურთიერთქმედების გათვალისწინებით (ადგილმდებარეობა, ეკოლოგიური მოთხოვნები, სასიცოცხლო ზონები, ქცევა და სხვ.).

**ნებისმიერი საველე კვლევა უნდა იყოს საკმარისად ხარისხიანი და ხანგრძლივი,** რათა გათვალისწინებული იყოს ის ფაქტი და ეკოლოგიური თავისებურებები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სეზონების და წლების მიხედვით. მაგალითად, ზამთარში რამდენიმე დღის განმავლობაში სახეობის საველე კვლევა ვერ ასახავს მის მიერ ჰაბიტატის გამოყენების თავისებურებას წლის სხვა, უფრო მნიშვნელოვან პერიოდებში (მაგ., მიგრაციის ან გამრავლების სეზონზე).

დარგის ავტორიტეტებთან, მეცნიერ ექსპერტებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და კონსერვაციულ ორგანიზაციებთან კონსულტაციები პროცესის დასაწყისშივე დაგვეხმარება ტერიტორიის, სახეობების/ჰაბიტატებისა და გასაანალიზებელი ზემოქმედების ტიპის სრული სურათის ჩამოყალიბებაში. ამ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს შეუძლიათ აგრეთვე შესთავაზონ პროექტის ინიციატორს რჩევები, მიაწოდონ უახლესი ხელმისაწვდომი სამეცნიერო ინფორმაცია ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე ევროკავშირის მიერ დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ. გარდა ამისა, ამგვარ ორგანიზაციებსა და ექსპერტებს შეიძლება გააჩნდეთ ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაცია საბაზისო და საველე კვლევების ჩატარების აუცილებლობის შესახებ, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს პროექტის სავარაუდო შედეგების შესაფასებლად.

#### გვერდითი ეფექტების გამოვლენა

მას შემდეგ რაც შეგროვდება ყველა საჭირო საბაზისო მონაცემი, შესაძლებელი გახდება დაგვეგმილი სამუშაოს ან პროექტის ზეგავლენის შეფასება ნატურა 2000-ის უბანზე. ჰიდროენერგეტიკული პროექტების პოტენციური გვერდითი ეფექტების აღწერა მოცემულია მე-3 თავში, რომელთა გაცნობაც შეიძლება დაგვეხმაროს გავლენის იმ ტიპის იდენტიფიცირებაში, რომლებსაც პოტენციურად ექნება ადგილი პროექტის განხორციელების შემთხვევაში. აშკარაა, **რომ თითოეული პროექტის ეფექტი უნიკალური იქნება და თითოეულ შემთხვევაში უნდა ცალ-ცალკე შეფასდეს.** ეს შეესაბამება Waddenzee-ის სასამართლოს გადაწყვეტილებას (იხ. ზემოთ): „გვერდით ან პროექტის პოტენციური ეფექტების შეფასებისას, ზეგავლენის მნიშვნელობა უნდა დადგინდეს კონკრეტულად იმ უბნის მახასიათებლებისა და სპეციფიკური გარემო პირობების გათვალისწინებით, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული დაგვეგმილი სამუშაოს ან პროექტის ზეგავლენა“.

პროცესის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება, რათა დადგინდეს თუ რომელი ევროკავშირის მიერ დაცული სახეობა ან ჰაბიტატი (რომელთა კონსერვაციისთვისაც ეს უბანი არის განკუთვნილი) შეიძლება აღმოჩნდეს პოტენციური ზემოქმედების ობიექტი. სწორედ ეს სახეობები და ჰაბიტატები უნდა დაექვემდებაროს შემდგომ სიღრმისეულ შეფასებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან ყველა სახეობასა და ჰაბიტატის ტიპს აქვს თავისი ეკოლოგიური სასიცოცხლო ციკლი და კონსერვაციული მოთხოვნები. ზემოქმედება თითოეულ შემთხვევაში ასევე იქნება განსხვავებული მეორე შემთხვევისგან, რაც გამომდინარეობს კონკრეტული უბნის მდგომარეობიდან და ამ კონკრეტული უბნის ძირითადი ეკოლოგიური პირობებიდან (მაგ. რა მდგომარეობაშია ჰაბიტატი, რამდენად არის ის მიახლოებული ბუნებრივ მდგომარეობასთან, და ა.შ. ქართული

ტექსტის რედაქტორის შენიშვნა). თითოეული გამოვლენილი ეფექტისთვის, შეფასებამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ზემოქმედების სიდიდე, ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი, ხანგრძლივობა, ინტენსივობა და დრო.

შესაბამისობის შეფასება ასევე მოიცავს დაგეგმილი სამუშაოს ან პროექტის ყველა ასპექტის განხილვას, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ნატურა 2000-ის უბანზე. თითოეული მათგანი რიგ-რიგობით უნდა შემოწმდეს (მაგ. არა მხოლოდ ასაშენებელი კაშხალი, არამედ ახალი მისასვლელი გზები ან კაშხლისთვის დაგეგმილი ნებისმიერი სხვა ინფრასტრუქტურა). პოტენციური გავლენები ასევე გასათვალისწინებელია თითოეული სახეობის ან ჰაბიტატის ტიპისთვის, რომლებისთვისაც უბანი არის განკუთვნილი (ხშირად მოიხსენიება როგორც „სამიზნე მახასიათებელი“ ან „მახასიათებელი“), (ქართული ტექსტის რედაქტორის შენიშვნა: ქართულ ლიტერატურაში „ზურმუხტის ქსელის“ უბნებთან მიმართებით შეხვდებით ტერმინს „პრიორიტეტული სახეობა“ ან „პრიორიტეტული ჰაბიტატი“). სხვადასხვა მახასიათებლებზე გავლენა განხილული უნდა იყოს ერთობლივად და ერთმანეთთან მიმართებაში, რათა მათ შორის არსებული ურთიერთქმედებებიც გამოვლინდეს.



- საკვლევი არეალის განსაზღვრა
- ნატურა 2000-ის კონსერვაციის მიზნების განსაზღვრა
- გაიარეთ კონსულტაცია კომპეტენტურ ორგანოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან
- შეფასებისას გასათვალისწინებელი ეკოლოგიური მახასიათებლების იდენტიფიცირება პროექტის მოქმედებების პოტენციური ეფექტების ანალიზი სახეობებსა და ჰაბიტატებზე
- შეაგროვეთ ინფორმაცია სხვა გეგმებისა და პროექტების შესახებ, რათა შეძლოთ კუმულაციური ეფექტების შეფასება
- შეაფასეთ ეფექტები და მათი მნიშვნელობა სამიზნე ჰაბიტატის ტიპებზე, სახეობებზე, აგრეთვე ტერიტორიის ეკოლოგიურ სტრუქტურასა და ფუნქციაზე
- შეიმუშავეთ მონიტორინგის პროგრამა
- გამოავლინეთ/შეაფასეთ პრევენციული და შემარბილებელი ხასიათის ღონისძიებები, რათა უარყოფითი ეფექტები უმნიშვნელო დონემდე იქნას შემცირებული ან საერთოდ განეიტრალოს
- განსაზღვრეთ, არის თუ არა ნარჩენი ეფექტები, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება საიტის მთლიანობაზე

მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროკავშირის ერთიანი ინტერესის მქონე სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომლითაც დასაბუთებულია ამ უბნის აღიარება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სამიზნე სახეობები და ჰაბიტატები კომპლექსურად ურთიერთქმედებენ სხვა სახეობებთან და ფიზიკურ გარემოსთან. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილი იყოს ეკოსისტემის სტრუქტურის, ფუნქციონირებისა და დინამიკის ყველა აუცილებელი კომპონენტი. ამ კომპონენტების ნებისმიერ ცვლილებას, რაც არ უნდა მცირე იყოს ის, ასევე შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს უბანზე გავრცელებულ ჰაბიტატის ტიპებსა და სახეობებზე.

მოსალოდნელი ზეგავლენის ეფექტები უნდა იყოს პროგნოზირებული რაც შეიძლება ზუსტად და ამ პროგნოზების საფუძველი უნდა იყოს მკაფიო და დაფიქსირებული შესაბამისობის შეფასების დოკუმენტში (აქედან გამომდინარე, დოკუმენტი ასევე უნდა შეიცავდეს პროგნოზების მკაფიო დასაბუთებას და ახსნას, რადგან ეს არის საკვანძო საკითხი - შეფასებაში კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, რომ პროგნოზირებული ნეგატიური ეფექტები არ წარმოადგენს უბრალოდ გონივრულ სამეცნიერო ეჭვს). როგორც ყველა ზემოქმედების შეფასებისას, შესაბამისობის შეფასება ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ პროგნოზები გაკეთდეს რაც შეიძლება ობიექტურად და რაოდენობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. ეს ასევე გააადვილებს შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების პროცესს, რაც ხელს შეუწყობს პროგნოზირებული ეფექტების განეიტრალებას ან უმნიშვნელო დონემდე შემცირებას.

დაბოლოს, პოტენციური ეფექტების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ისინი შეიძლება წარმოჩინდეს ჰიდროენერგეტიკული ობიექტის განვითარების ნებისმიერ ფაზაში, დაწყებული მშენებლობიდან, ექსპლუატაციის ეტაპზე და განახლების (გაუმჯობესების) საფეხურზე ან ექსპლოატაციიდან გამოყვანის სტადიაზეც. ასე რომ, ეფექტებს შეიძლება ჰქონდეს

დროებითი ან მუდმივი სახე, მოქმედებდნენ უშუალოდ ადგილზე ან მისგან მოშორებით (მათ შორის უბნის გარეთ), ასევე შეიძლება გააჩნდეთ კომულაციური ეფექტი და მოქმედებდნენ ან გამომჟღავნებდნენ პროექტის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე.

### **ეფექტების პროგნოზირებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდები**

შესაბამისობის შეფასებისას, ეფექტების მასშტაბის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს სანიმუშო პრაქტიკის ტექნიკა და მეთოდები.

- პირდაპირი გაზომვები შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ჰაბიტატის დაკარგვის ან გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიების, სახეობების პოპულაციების ზომის შემცირების, ჰაბიტატების გავრცელების არელების და სხვა საკითხების გათვალისწინებით.
- ბლოკ-სქემები, ქსელების და სისტემის დიაგრამები საშუალებას იძლევა ამოვიცნოთ ზემოქმედების ჯაჭვები, რომლებიც წარმოიქმნება დაგეგმილი საქმიანობის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად; ირიბ ეფექტებს უწოდებენ მეორადს, მესამეულს და ა.შ. ეფექტებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ თანმიმდევრობით ხდება მათი გამონვევა. სისტემური დიაგრამები უფრო მოქნილად ასახავენ პროცესებს ვიდრე ქსელური დიაგრამები.
- რაოდენობრივი პროგნოზირების მოდელებს შეუძლია მოგვცეს მათემატიკურად დასაბუთებული პროგნოზები, რომლებიც ეფუძნება მიღებულ მონაცემებს და ზემოქმედების ძალისა და მიმართულების შესახებ დაშვებებს. მოდელებს შეუძლია იმ პროგნოზების ექსტრაპოლირება, რომლებიც წარსულში შეგროვებულ და ამჟამად არსებულ მონაცემებს ეყრდნობა (ტენდენციების ანალიზს, სცენარებს, ასევე ანალოგიებს რომლებიც გადმოტანილი იქნება სხვა მსგავსი ობიექტებიდან) და ინტუიციურ პროგნოზებს. ნორმატიული მიდგომები გულისხმობს სასურველი შედეგიდან უკუსვლით ანალიზს, რათა შეფასდეს მიგვიყვანს თუ არა დაგეგმილი პროექტი ამ საბოლოო მიზნებამდე. პროგნოზირებადი მოდელირება ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ძირითადი ეფექტები ხშირად მოჰყვება მდინარის ჰიდრომორფოლოგიურ ცვლილებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად დანალექების რეჟიმის ცვლილება და რასაც თავის მხრივ სერიოზული შედეგები მოჰყვება წყლის ორგანიზმებისთვის.
- პოპულაციის დონეზე ჩატარებული კვლევები პოტენციურად სასარგებლოა, მაგალითად ფრინველებზე, ღამურებზე ან ზღვის ძუძუმწოვრების პოპულაციებზე ზემოქმედების დასადგენად.
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) გამოიყენება სივრცითი მონაცემების ბაზების შესაქმნელად, როგორცაა შეზღუდვების ურთიერთგადაფარვა, ან მგრძნობიარე ტერიტორიების ან ჰაბიტატების კარგვის უბნების რუკებზე ასახვა. GIS არის კომპიუტერიზებული კარტოგრაფირების სისტემა, რომელსაც გააჩნია რუკის შენახული

მონაცემების და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები, შეუძლია შეინახოს ისეთი ატრიბუტები, როგორცაა მიწათსარგებლობის ფორმები, კალთების დახრილობა და სხვ. GIS სისტემა შენახული ცვლადების სწრაფი ვიზუალიზაციის და მათი გაანალიზების ან გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა.

- ინფორმაცია მსგავსი წინა ჰიდროენერგეტიკული პროექტებიდან შეიძლება სასარგებლო იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ გაკეთდება რაოდენობრივი პროგნოზები და ექსპლუატაციის დროს განხორციელდა მონიტორინგი.
- საექსპერტო დასკვნები და მოსაზრებები ყოველთვის შეიძლება მოპოვებული იქნას წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით და მსგავს პროექტებზე კონსულტაციების გზით, ასევე გამოცდილების მქონე და მოცემული ტერიტორიის მცოდნე ადგილობრივი ექსპერტებისგან.
- აღწერა და კორელაცია: ფიზიკური ფაქტორები (მაგ. წყლის რეჟიმი, დინება, სუბსტრატი) შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული სახეობების გავრცელებასა და რიცხოვნობასთან. თუ სამომავლო ფიზიკური პირობების პროგნოზირება შესაძლებელია, მაშინ შესაძლებელი იქნება ჰაბიტატებისა და პოპულაციების მომავალი განვითარების პროგნოზირებაც და ამის საფუძველზე სახეობებისა და ჰაბიტატების მხრიდან შესაძლო რეაგირებაც.
- შესაძლებლობების ანალიზი მოიცავს სტრესის მაქსიმალური ზღვრის იდენტიფიცირებას, რომლის ქვემოთაც შეიძლება შენარჩუნდეს პოპულაციები და ეკოსისტემის ფუნქციები. ის მოიცავს პოტენციურად შემზღუდველი ფაქტორების იდენტიფიცირებას და რესურსის ან სისტემის შესაძლებლობების აღსაწერად მათემატიკური განტოლებების შემუშავებას, თითოეული შემზღუდველი ფაქტორის მიერ დაწესებული ზღურბლის მიხედვით.

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტის დებულებების შესახებ

### პოტენციური კუმულაციური ეფექტების შეფასება

**კუმულაციური ეფექტები აყალიბებენ შეფასების გადამწყვეტ ნაწილს.** ეს არა მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნაა, არამედ მას ასევე შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა დაგეგმილ საქმიანობასა თუ პროექტზე და იმავე ტერიტორიისთვის შემოთავაზებულ სხვა შემდგომ გეგმებზეც. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ჰიდროენერგეტიკისთვის, სადაც მცირე დანადგარების კუმულაციური ეფექტიც კი შეიძლება იყოს მიუღებლად მაღალი.

ინდივიდუალური და მოკრძალებული ეფექტების სერია თავისთავად შეიძლება იყოს უმნიშვნელო, მაგრამ ერთობლიობაში შეფასებისას შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს. ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6.3 არეგულირებს ამ საკითხებს სხვა გეგმების ან პროექტების ეფექტების ერთობლიობის გათვალისწინებით. ის არ აკონკრეტებს, რომელი სხვა გეგმები და პროექტები ექცევა ამ დებულების ფარგლებში, თუმცა ცხადია, რომ განიხილული უნდა იყოს უკვე დასრულებული

(ანუ უკვე არსებული) ინფრასტრუქტურა და დამტკიცებული გეგმები. ამ მხრივ, შეიძლება სასარგებლო იყოს წყლის ჩარჩო დირექტივის ფარგლებში მომზადებული მდინარის აუზის მართვის გეგმებში (RBMPs) აგრეთვე ნატურა 2000-ის უბნებისთვის შემუშავებული ნებისმიერი მართვის გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია.

უნდა გვესმოდეს, რომ შემოთავაზებული გეგმის ან პროექტის განხილვით, წევრი სახელმწიფო არ ქმნის პრეზუმფციას სხვა მსგავსი სამომავლო გეგმებისა თუ პროექტების სასარგებლოდ. პირიქით, თუ ტერიტორიაზე უკვე დამტკიცებულია ერთი ან მეტი პროექტი, ამან შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიური მოთხოვნების გამძაფრება ამ ტერიტორიაზე სამომავლო გეგმებისა თუ პროექტების განხორციელებისას.

მაგალითად, თუ ნატურა 2000-ის უბნებში ან მის მიმდებარედ იგეგმება რამდენიმე ჰიდროენერგეტიკული ობიექტის მშენებლობა ერთმანეთის მიყოლებით, პირველი პროექტის შეფასებამ შეიძლება დაასკვნას, რომ ის უარყოფითად არ იმოქმედებს ნატურა 2000-ის უბანზე, ხოლო მეორე და მესამე პროექტები შეიძლება ველარც დამტკიცდეს, რადგან მათი გავლენა, წინა პროექტის ეფექტებთან ერთად, საკმარისი იქნება იმისათვის, რომ უარყოფითად იმოქმედოს უბნის მთლიანობაზე.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხილვა სტრატეგიულ ქრილში და ერთმანეთთან კომბინაციით, თანაც საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალში და არა მხოლოდ ცალკეული იზოლირებული პროექტების სახით. კუმულაციური ეფექტების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ჰიდროელექტროსადგური და სხვა დაგეგმილი ობიექტები წყალშემკრებ აუზში, განურჩევლად იმისა, ისინი მდებარეობენ თუ არა უშუალოდ ნატურა 2000-ის უბანში.

იდეალურ შემთხვევაში, კუმულაციური ეფექტების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შესაბამის ორგანოებთან მჭიდრო კონსულტაციის გზით. ასეთ ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ ინფორმაცია ყველა გასათვალისწინებელი გეგმისა და პროექტის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს წყლის ჩარჩო დირექტივის ფორმატში მომზადებულ აუზების მართვის გეგმებს, ასევე უნდა იყოს განხილული, რადგან ეს დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას წყლის გარემოზე ზეწოლისა და ზემოქმედების შესახებ მთელი წყალშემკრები აუზის ფარგლებში.

პოტენციური კუმულაციური ეფექტები უნდა შეფასდეს სარწმუნო და საფუძვლიანი მონაცემების გამოყენებით და არ დაეყრდნოს მხოლოდ ხარისხობრივ კრიტერიუმებს. ამასთან, ეს უნდა იყოს მთლიანი შეფასების განუყოფელი ნაწილი და არ განიხილებოდეს, როგორც „ბოლოს დასამატებელი“ კომპონენტი.

## გავლენების მნიშვნელობის განსაზღვრა

გავლენების იდენტიფიცირების შემდეგ (იხ. ასევე განყოფილება 4.7), საჭიროა, უბნის კონსერვაციის მიზნებიდან გამომდინარე, მოხდეს გავრცელებული სახეობებისა და ჰაბიტატებისათვის მათი მნიშვნელობის<sup>51</sup> შეფასება.

შეფასების დროს შეიძლება გათვალისწინებული იყოს შემდეგი პარამეტრები:

- სამიზნე სახეობებისა და ჰაბიტატების რაოდენობრივი პარამეტრები (ანუ სახეობა ან ჰაბიტატის ტიპი, რომლისთვისაც შერჩეული იყო ადგილი): მაგალითად, ამ სახეობის რამდენი ჰაბიტატია დაკარგული. ზოგიერთი სახეობისთვის (მაგ. ჰაბიტატის დირექტივით დადგენილი პრიორიტეტული ჰაბიტატის ტიპებისა და სახეობებისთვის), ნატურა 2000-ის მოცემულ უბანზე თუნდაც ცალკეული ნაწილის ან გავრცელების არეალის მცირე პროცენტული ნაწილის დაკარგვა მიჩნეული უნდა იყოს მნიშვნელოვან გავლენად. სხვა სახეობებისთვის, „მნიშვნელოვნების“ ზღვარი შეიძლება უფრო მაღალი იყოს. ისევ და ისევ, ეს დამოკიდებულია სახეობებზე და ჰაბიტატის ტიპებზე, მათ კონსერვაციულ მდგომარეობაზე ამ უბანში და მათ სამომავლო პერსპექტივაზე.
- სამიზნე სახეობებისა და ჰაბიტატების ხარისხობრივი პარამეტრები: რაოდენობრივი პარამეტრებისგან დამოუკიდებლად, გავლენის მნიშვნელობის შეფასება უნდა მოხდეს სამიზნე სახეობის ან ჰაბიტატის ხარისხობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:
  - ერთადერთი ნატურა 2000-ის უბანი კონკრეტულ რეგიონში ან ქვეყანაში, სადაც გვხვდება ეს სამიზნე ჰაბიტატი ან სახეობა (ანუ სამიზნე სახეობა ან ჰაბიტატი შეიძლება იყოს ფართოდ წარმოდგენილი მოცემულ უბანზე, მაგრამ ეს იყოს ერთადერთი ადგილი, სადაც ის გვხვდება და არის დაცული);
  - უბანი, რომელიც წარმოადგენს სახეობებისთვის უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას (მაგ. წარმოადგენს ძირითადი გავრცელების ზონას, დიდი ფართობი დაფარულია ბუნებრივთან დაახლოებული ტყის ფორმით და ა.შ.);
  - ადგილი, სადაც სახეობა იმყოფება მისი გავრცელების არეალის უკიდურეს ზღვარზე (ეს მომენტი მნიშვნელოვანია მომავალში კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის გათვალისწინებით).
- უბნის მნიშვნელობა სახეობების ბიოლოგიისთვის, მაგ. გამრავლების ადგილი (ბუდეების მოწყობის ადგილი, ქვირითობის ადგილები და სხვ.); საკვები ჰაბიტატი; თავშესაფარი; მიგრაციის გზა ან მიგრაციის დროს გასაჩერებელი ადგილი.
- ეკოსისტემის ნაწილი, რომლებიც საჭიროა სამიზნე სახეობების ან

---

58. „მნიშვნელოვნება“ აქ ეხება ზეგავლენის ეფექტების მნიშვნელობას. ის არ უნდა აგვერიოს სკრინინგის ეტაპში, რომელიც ყურადღებას მნიშვნელოვანი გავლენების აღბათობაზე ამახვილებს.

ჰაბიტატების შესანარჩუნებლად და, შესაბამისად, ტერიტორიის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

იმ შემთხვევაში თუ სამიზნე სახეობებსა და ჰაბიტატებზე გავლენის მაშტაბების ან მნიშვნელობის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა, ან ეჭვები არსებობს, უმჯობესია რეგიონალური და ეროვნული ექსპერტების ჩართვა და უფრო ფართო კონსენსუსის მოძებნა.

### უბნის მთლიანობაზე ზემოქმედების დადგენა

დადგენა იმისა, იმოქმედებს თუ არა დაგეგმილი საქმიანობა უბნის მთლიანობაზე, უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის მოსალოდნელი გავლენები რაც შეიძლება ზუსტად იქნება პროგნოზირებული. გარდა ამისა უნდა შეფასდეს მათი მნიშვნელობის დონე და შესწავლილი იყოს ყველა შესაძლო შემარბილებელი ღონისძიება. ამის შემდეგ, შესაბამისობის შეფასების პროცესმა უნდა დაასკვნას, მოახდენს თუ არა ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობაზე.

ტერმინი „მთლიანობა“ აშკარად უკავშირდება **ეკოლოგიურ მთლიანობას**. „უბნის მთლიანობა“ შეიძლება განიმარტოს, როგორც უბნის ეკოლოგიური სტრუქტურების, ფუნქციისა და ეკოლოგიური პროცესების ერთობლიობა მთელი ტერიტორიისთვის ან იმ ჰაბიტატებისთვის და/ან სახეობების პოპულაციებისთვის, რომელთა კონსერვაციისთვის ეს უბანი არის განკუთვნილი. ტერიტორია შეიძლება შეფასდეს მაღალი ხარისხის მთლიანობის მქონედ, თუ იქ შენარჩუნებულია კონსერვაციული მიზნების მიღწევის საწყისი პოტენციალი, ასევე შენარჩუნებულია მისი თვითაღდგენის და თვითგანახლების უნარი დინამიკურ პირობებში და საჭიროა მინიმალური მართვა გარედან.

თუ გეგმა ან პროექტი უარყოფითად მოქმედებს უბნის ვიზუალურ სახესა და ესთეტიკურ ხარისხზე, ან იწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ისეთ ჰაბიტატებსა ან/და სახეობებზე, რომელთა დაცვა არ არის ამ კონკრეტული ნატურა 2000-ის უბნის კონსერვაციული მიზანი, მაშინ ასეთ საქმიანობას არ ექნება უარყოფითი შედეგი ჰაბიტატის დირექტივის 6.3 მუხლის მიზნებთან მიმართებაში. **მეორე მხრივ, თუ ერთ-ერთი სახეობა ან ჰაბიტატის ტიპი, რომელთა კონსერვაციის დანიშნულებაც აქვს ამ კონკრეტულ ნატურა 2000-ის უბანს, განიცდის მნიშვნელოვან ზემოქმედებას, მაშინ ეს პროცესი ტერიტორიის მთლიანობაზეც აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს.**

გამოთქმა „უბნის მთლიანობა“ აჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება კონკრეტულ უბანზე. ამრიგად, ტერიტორიის ნაწილის ან მთლიანად დაზიანების გამართლება არ შეიძლება იმ არგუმენტით, რომ ჰაბიტატის ტიპებისა და სახეობების კონსერვაციის სტატუსი დარჩება ხელსაყრელი ნევრი სახელმწიფოს ევროპულ ტერიტორიაზე.

პრაქტიკაში, ტერიტორიის მთლიანობის შეფასება განსაკუთრებით უნდა იყოს ფოკუსირებული იმის დადგენაზე, ხელს უშლის თუ არა დაგეგმილი პროექტი ნატურა 2000-ის უბნის კონსერვაციის მიზნების მიღწევაში, და:

- ინვევს ცვლილებებს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ფუნქციებში, რომლებიც აუცილებელია სამიზნე სახეობების ან ჰაბიტატის ტიპებისთვის;
- მნიშვნელოვნად ამცირებს ჰაბიტატის არეალს (თუნდაც ისეთი ჰაბიტატების, რომლებიც იმყოფებიან დეგრადირებულ მდგომარეობაში), ასევე ამცირებს იმ სახეობების პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობას, რომლებიც მოცემული უბნის სამიზნე ობიექტს წარმოადგენენ;
- ამცირებს ტერიტორიის მრავალფეროვნებას;
- ინვევს ტერიტორიის ფრაგმენტაციას;
- ინვევს ტერიტორიის ძირითადი მახასიათებლების დაკარგვას ან შესუსტებას (მაგ. ტყის საფარი, რეგულარული წლიური წყალდიდობები და სხვა), რომლებზეც დამოკიდებულია სამიზნე სახეობების და ჰაბიტატების სტატუსი;
- ინვევს სამიზნე სახეობების ინდივიდების დაღუპვას.

არასასურველი ეფექტების აღმოსაფხვრელი ზომების დანერგვა

თუ ჰიდროენერგეტიკული პროექტის შესაბამისობის შეფასება, დაადგენს ერთი ან რამდენიმე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორის არსებობას ნატურა 2000-ის უბანზე, გეგმა ან პროექტი შეიძლება ავტომატურად მაინც არ იყოს უარყოფილი. პოტენციური ეფექტების სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლოა (შემდგომში) ისეთი შემარბილებელი ღონისძიებების დაინერგოს, რომლებიც აღმოფხვრის ამ უარყოფით შედეგებს ან, სულ მცირე, უმნიშვნელოს გახდის მათ. ცხადია, რომ ეს დაშვება აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუ უკვე მომზადებულ გეგმაში ან პროექტში ასეთი შემარბილებელი ზომების ინტეგრირება გათვალისწინებული არ იყო.

ზემოქმედების შერბილების მიდგომა	უპირატესობა	
აიცილებს ზემოქმედება წყაროზე	მაღალი	
შეამცირებს ზემოქმედება წყაროზე		
აღმოფხვრათ ზემოქმედება უბანზე		
აღმოფხვრათ ზემოქმედება უშუალოდ სახეობაზე ან ჰაბიტატზე	დაბალი	

შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება, ისევე როგორც თავად ზემოქმედების შეფასება, უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი სახეობების/ჰაბიტატების საფუძვლიან შესწავლას და მეცნიერულ ცოდნას, ასევე კონსულტაციებსა და დიალოგს პროექტის ავტორებს, კომპეტენტურ ორგანოსა და კონსერვაციის ექსპერტებს შორის.

შემარბილებელი ზომები შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებს ჰიდროენერგეტიკის ობიექტის მასშტაბებში, ზომის, ადგილმდებარეობის, ასევე დიზაინსა და ტექნოლოგიაში ცვლილებებს (მაგ., ტურბინებით გამოწვეული მიგრაციული ბარიერების და/ან თევზის დაზიანებების თავიდან აცილება). გარდა ამისა, პროექტის განმახორციელებელ მხარეს შეუძლია მიიღოს დროებითი ზომები, მშენებლობის ან ექსპლუატაციის ფაზების ეტაპზე (მაგ. წყლის დაბინძურების თავიდან აცილება, იმ შემთხვევაში თუ სამიზნე სახეობების პოპულაციების მგრძნობიარე ნაწილები ბინადრობს დინების ქვედა ნაწილში). ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მხრიდან პოტენციური შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია

იხილეთ თავი 3-ში.

თითოეული შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებისთვის მნიშვნელოვანია:

- ახსნას, თუ როგორ აღკვეთს ან არამნიშვნელოვანს გახდის შეფასების დროს გამოვლენილ უბანზე მოქმედ არასასურველ ეფექტებს;
- წარმოადგინოს მტკიცებულება, თუ როგორ იქნება ისინი უზრუნველყოფილი და ვის მიერ განხორციელდება;
- წარმოადგინონ მტკიცებულება შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად დადებითი შედეგის მიღწევის სანდოობის თვალსაზრისით;
- ღონისძიებების განხორციელების ვადები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის განხორციელების ვადებთან;
- მიაწოდოს მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდება ღონისძიებების მონიტორინგი და როგორ იქნება შემოღებული დამატებითი ზომები, თუ შემარბილებელი ღონისძიებები აღმოჩნდება არასაკმარისი.

მას შემდეგ რაც დადგინდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების გეგმა და დეტალები, ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის პროცედურების შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოების ან პროექტის განხორციელებაზე შეიძლება გაიცეს ნებართვა იმ პირობით, რომ შემარბილებელი ზომები: (1) უზრუნველყოფენ, რომ გამოვლენილ ეფექტებს არ ექნება მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნატურა 2000-ის უბნის კონსერვაციის მიზნებზე და (2) განხორციელდება როგორც პროექტის ორგანული ნაწილი.

თუმცა, თუ მიღებული შემარბილებელი ზომების მიუხედავად, უბანზე მაინც იქნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ეფექტი, საჭიროა ალტერნატიული ზომების შესწავლა (მაგ. პროექტის სხვა ადგილზე გადატანა, მასშტაბები ან დიზაინის ცვლილება, ალტერნატიული ტექნოლოგიური მიდგომების გამოყენება და სხვა). თუ არცერთი ასეთი ალტერნატივა არსებობს, მაშინ გეგმა ან პროექტი შეიძლება მაინც დამტკიცდეს გამონაკლისი შემთხვევის სახით, იმ პირობით, რომ დაკმაყოფილდება ჰაბიტატის დირექტივის მუხლი 6.4 პირობები და განხორციელდება დამატებითი ღონისძიებები. კერძოდ დამტკიცდება შესაბამისი საკომპენსაციო ზომები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებენ დარჩენილ უარყოფით ეფექტებს, რათა საფრთხის ქვეშ არ აღმოჩნდეს ნატურა 2000-ის ქსელის ფუნქციონირება.

### 5.3.3 შესაბამისი შეფასების შედეგად მიღებული დასკვნები

კომპეტენტური ეროვნული ორგანოების გადასაწყვეტია, შესაბამისობის შეფასების დასკვნების საფუძველზე, დამტკიცდება დაგეგმილი საქმიანობა ან პროექტი თუ არა. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაბამისი ოფიციალური პირები დარწმუნდებიან, რომ შემოთავაზებული საქმიანობა უარყოფითად არ იმოქმედებს ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნები დადებითია და არ რჩება გონივრული სამეცნიერო ეჭვი უბანზე ზემოქმედების არარსებობის შესახებ, კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ დაამტკიცონ შემოთავაზებული გეგმა ან პროექტი.

**ამგვარად, სიფრთხილის პრინციპიდან გამომდინარე, პასუხისმეზლობას წარმოადგენს ეფექტების არარსებობის დამტკიცება და არა მათი არსებობის დამტკიცება** (საქმე C-157/96). ეს დადასტურდა ევროპის სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში. Waddenzee-ის საქმეში (C-127/02) სასამართლომ დაადასტურა, რომ „გეგმას ან პროექტს [...] შეიძლება მიენიჭოს ავტორიზაცია მხოლოდ იმ პირობით, რომ კომპეტენტური ეროვნული ორგანოები დარწმუნებულნი იქნებიან, რომ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს შესაბამისი უბნის მთლიანობაზე. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა თქვას ავტორიზაციაზე უარი იმ შემთხვევაში თუ რჩება ეჭვი, რომ დაგეგმილ საქმიანობას ან პროექტს არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა სამიზნე უბნის მთლიანობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპეტენტური ორგანოები ყოველგვარი გონივრული მეცნიერული ეჭვის გარეშე უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ შემოთავაზებული საქმიანობა ან პროექტი არ იმოქმედებს უარყოფითად ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობაზე.

შესაბამისობის შეფასება და მისი დასკვნები უნდა იყოს მკაფიო. ანგარიში უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რათა მკაფიოდ აჩვენოს, როგორ იქნა მიღებული საბოლოო შედეგები და რა სამეცნიერო საფუძვლებზე იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება.

#### **4. გამონაკლისი მე-6(4) მუხლის ქვეშ**

მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესიდან. ეს არ არის ავტომატური პროცესი; პროექტის ან გეგმის ინიციატორის გადასაწყვეტია, სურს თუ არა მას ამის შესახებ განაცხადის წარდგენა. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი აყალიბებს პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ასეთ შემთხვევებში და რა ნაბიჯები უნდა განხორციელდეს მანამ, სანამ კომპეტენტური ეროვნული ორგანო შეძლებს დაგეგმილი სამუშაოს ან პროექტის ავტორიზაციას. ცხადია, რომ ეს პროცედურა იწყება იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი გეგმა ან პროექტი შეფასებული იქნება ჰაბიტატის დირექტივის მუხლი 6.3-ის მიხედვით, როგორც უარყოფითად მოქმედი უბნის მთლიანობაზე.

დაგეგმილი სამუშაოს ან პროექტის ავტორიზაციის შესახებ სანამ გადაწყვეტილების მიღება მოხდება, ჰაბიტატის დირექტივის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ითხოვს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა უზრუნველყონ შემდეგი პირობების დაცვა:

- დასამტკიცებლად წარმოდგენილი ალტერნატივა ყველაზე ნაკლებად აზიანებს ჰაბიტატებს, სახეობებს და ნატურა 2000-ის უბნის მთლიანობას, თანაც იმ პირობით, რომ არ არსებობს რეალური ალტერნატივა, რომელიც გავლენას არ მოახდენს ტერიტორიის მთლიანობაზე.
- არსებობს გეგმის ან პროექტის ავტორიზაციისთვის საზოგადოებრივი ინტერესის იმპერატიული მიზეზები.
- მიღებულია ყველა საკომპენსაციო ღონისძიება ნატურა 2000-ის ქსელის საერთო მთლიანობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

ამ პირობების შესრულების თანმიმდევრობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან თითოეული ნაბიჯი განსაზღვრავს შემდეგი ნაბიჯის საჭიროებას. თუ მაგალითად, მოიძებნება განსახილველი გეგმის ან პროექტის ალტერნატივა, აზრი არ აქვს

იმის შემოწმებას, არის თუ არა თავდაპირველი გეგმა ან პროექტი უმთავრესი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი. ასევე აზრი არ ექნება შესაბამისი კომპენსაციის ზომების შემუშავებას, ვინაიდან გეგმა ან პროექტი არ შეიძლება იყოს ავტორიზებული, თუ არსებობს ეფექტური ალტერნატივა.

### ალტერნატიული გადაწყვეტილებების არარსებობის დემონსტრირება

ალტერნატივების ძიება შეიძლება იყოს საკმაოდ ფართო და უნდა იყოს დაკავშირებული გეგმის ან პროექტის საზოგადოებრივი ინტერესის მიღების მიზნებთან. ეს შეიძლება მოიცავდეს ალტერნატიულ ადგილებს, პროექტის განხორციელების სხვადასხვა მასშტაბებს ან დიზაინს, მშენებლობის სხვადასხვა მეთოდს, ან ალტერნატიულ პროცესებს და განახლებადი ენერჯის წარმოებისთვის საჭირო მიდგომებს. ეს მოთხოვნა ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული წყლის ჩარჩო დირექტივის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის დ ქვეპუნქტთან, რომელიც ხელისუფლების ორგანოებისგან მოითხოვს, დარწმუნდნენ რომ არ არსებობს უკეთესი ვარიანტი, რომელსაც ექნება ნაკლები გარემოსდაცვითი შედეგები<sup>62</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატივების ძიების მოთხოვნა დაფიქსირებულია ჰაბიტატის დირექტივის 6.4 მუხლის ფორმატში, პრაქტიკაში, დამგეგმავი მხარისთვის ძალიან სასარგებლოა განიხილოს ყველა შესაძლო ალტერნატივა რაც შეიძლება ადრეულ საფეხურზე, განვითარების პროექტის პირველად დაგეგმვის ეტაპზე. თუ იმ ეტაპზე მოიძებნება შესაბამისი ალტერნატივა, რომელსაც სავარაუდოდ არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ნატურა 2000-ის ობიექტზე, მაშინ მისი დამტკიცება შეიძლება დაუყოვნებლივ მოხდეს და შესაბამისობის შეფასების ჩატარება არ იქნება საჭირო (თუმცა შესაძლოა სხვა გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება მაინც იყოს აუცილებელი).

თუმცა, თუ პროექტი გადის შესაბამისობის შეფასების საფეხურს, რომელიც ასკვნის, რომ ადგილის მთლიანობაზე უარყოფითი ზემოქმედება გარდაუვალია, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ალტერნატიული გადაწყვეტილებები. ეს ნიშნავს, რომ უნდა გაანალიზდეს ყველა შესაძლო ალტერნატივა, კერძოდ მათი შედარებითი ეფექტურობა - უზრუნველყონ ნატურა 2000-ის უბნის კონსერვაციის მიზნები და ტერიტორიის მთლიანობა.

თუ არსებობს განხორციელებადი ალტერნატიული გადაწყვეტილება, რომელიც აკმაყოფილებს პროექტის მიზნებს, მაგრამ მას ექნება მნიშვნელოვანი გავლენა იმავე ან სხვა ნატურა 2000-ის ობიექტზე, მაშინ ალტერნატიულმა ვარიანტმაც ასევე უნდა გაიაროს ახალი შესაბამისობის შეფასების პროცედურა. ჩვეულებრივ, თუ ალტერნატივა ახლოსაა საწყის ვარიანტთან, მაშინ ახალ შეფასებას შეუძლია მიიღოს ბევრი საჭირო ინფორმაცია პირველი შესაბამისობის შეფასების ანგარიშიდან.

---

62. See CIS guidance No 20.ობიექტ Common Implementation Strategy - მითითება No 20..

## უმთავრესი საზოგადოებრივი ინტერესის იმპერატიული მიზეზები

ალტერნატივის არარსებობის ან იმ შემთხვევაში თუ ალტერნატივას აქვს კიდევ უფრო უარყოფითი გავლენა ნატურა 2000-ის უბნის კონსერვაციის მიზნებსა თუ მთლიანობაზე, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა შეამოწმონ არის თუ არა სახეზე იმპერატიული მიზეზები, რომლებიც გაამართლებენ უმთავრეს საზოგადოებრივი ინტერესის არსებობას<sup>63</sup>. მხოლოდ ასეთი მიზეზების არსებობამ შეიძლება გაამართლოს დაგეგმილი სამუშაოს ან პროექტის ავტორიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ნატურა 2000-ის ერთი ან მეტი ობიექტის მთლიანობაზე.

„უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესის იმპერატიული მიზეზის“ ცნება არ არის განსაზღვრული დირექტივაში. თუმცა, ფორმულირებიდან ირკვევა, რომ იმისათვის, რომ გეგმა ან პროექტი კვალიფიცირდეს მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით, **ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ პირობას:**

- ის უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს - ფორმულირებიდან ირკვევა, რომ მხოლოდ საერთო საჯარო ინტერესი შეიძლება იყოს დირექტივის კონსერვაციის მიზნების საპირწონე. ამრიგად, კერძო სექტორის მიერ შემუშავებული პროექტები შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხადად ჩანს, რომ იგი ემსახურება ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს (საქმე C-182/10 Solvay and Others, პუნქტი 71-79).
- უნდა არსებობდეს იმპერატიული მიზეზები გეგმის ან პროექტის განსახორციელებლად - იმპერატივი ამ თვალსაზრისით აშკარად ნიშნავს, რომ პროექტი აუცილებელია საზოგადოებისთვის და არა მხოლოდ სასურველია ან სასარგებლო.
- დაგეგმილ საქმიანობას ან პროექტს აქვს უპირატესი ინტერესი — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნათლად უნდა ჩანდეს, რომ გეგმის ან პროექტის განხორციელება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოცემული ნატურა 2000-ის უბნის დაცვა. ცხადია, რომ სოციალური ან ეკონომიკური ხასიათის ყველა პროექტი ვერ იქნება საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვით დირექტივით დაცულ ინტერესებს გააჩნია განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობა (იხ. მაგ. მისი მეოთხე პუნქტი, რომელიც მიუთითებს „თანამეგობრობის ბუნებრივ მემკვიდრეობაზე“). ასევე გონივრულია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებრივი ინტერესი შეიძლება იყოს უპირატესი მხოლოდ მაშინ, თუ ის არის გრძელვადიანი ინტერესი; მოკლევადიანი ეკონომიკური ინტერესები ან სხვა ინტერესები, რომლებიც მხოლოდ მოკლევადიან სარგებელს მოუტანს საზოგადოებას, არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ გადაწონოს დირექტივით დაცული გრძელვადიანი კონსერვაციის ინტერესები.

გაითვალისწინეთ, რომ უმთავრეს საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებული პირობები კიდევ უფრო მკაცრია იმ გეგმისა ან პროექტისთვის, რომელიც, სავარაუდოდ

---


63. This concept is also used in Article 4(7) of the WFD. იგივე მიდგომა ასევე გამოიყენება წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4(7)-ში.

უარყოფითად იმოქმედებს ნატურა 2000-ის ისეთი საიტის მთლიანობაზე, რომელიც მასპინძლობს დირექტივით დაცულ პრიორიტეტულ ჰაბიტატის ტიპებს და/ან სახეობებს. თუ ეს ჰაბიტატის ტიპები და/ან სახეობები შეიძლება დაზარალდეს პროექტის განხორციელების შედეგად, უმთავრესი საზოგადოებრივი ინტერესის იმპერატიული მიზეზები შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეხება:

- ადამიანის ჯანმრთელობას და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ან
- უპირატესი სასიკეთო შედეგები გარემოსდაცვის მხრივ, ან
- სხვა იმპერატიული მიზეზები თუ ამ გეგმის ან პროექტის დამტკიცებამდე ევროპის კომისიამ დააფიქსირა ამ საკითხზე თავისი პოზიცია.

### საკომპენსაციო ღონისძიებები

თუ არ არსებობს ალტერნატივა, მაგრამ უმთავრესი საზოგადოებრივი ინტერესის იმპერატიული მიზეზების გამო პროექტი მაინც უნდა განხორციელდეს, მაშინ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს კომპენსაციის ზომების მიღება პროექტის დაწყებამდე. შესაბამისად, კომპენსაციის ზომები არის „უკანასკნელი საშუალება“ და გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია ზემოთ აღწერილი პირობებით.



#### 6.4 მუხლის პირობების შესხუდების სქემა

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ საკომპენსაციო ღონისძიებები პროექტისგან დამოუკიდებლად უნდა განხორციელდეს და, როგორც წესი, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის გარეთ. ასეთი ღონისძიებების განხორციელების შედეგად სრულად უნდა ანაზღაურდეს ნატურა 2000-ის ობიექტისა და მის სამიზნე სახეობებსა და ჰაბიტატებზე მიყენებული ზიანი. მნიშვნელოვანია, რომ საკომპენსაციო

ლონისძიებები საკმარისი იყოს ნატურა 2000 ქსელის საერთო მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

ნატურა 2000-ის საერთო მთლიანობის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილი სამუშაოს ან პროექტის მხრიდან შემოთავაზებული საკომპენსაციო ზომებმა

- შესაბამის წევრ სახელმწიფოების ტერიტორიაზე წვლილი უნდა შეიტანოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჰაბიტატის და სახეობების კონსერვაციის პროცესში შესაბამის ბიოგეოგრაფიულ რეგიონში ან გავრცელების არეალში, ასევე მიგრაციის გზაზე ან სახეობების გამოზამთრების ზონაში;
- განახორციელონ ლონისძიებები იმისთვის, რომ შექმნან იმ საწყისი პირობების ანალოგიური ეკოლოგიური პირობები, რომელთა გამოც ნატურა 2000-ის უბნის დაარსება მოხდა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ადეკვატური გეოგრაფიული გავრცელების უზრუნველყოფის საკითხზე;
- წარმოადგენდნენ დირექტივით გათვალისწინებული ნორმალური ვალდებულებების და მოვალეობების დამატებას. ეს ნიშნავს, რომ ისინი ვერ ჩაანაცვლებენ ჰაბიტატების დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, როგორცაა ნატურა 2000-ის მენეჯმენტის გეგმების განხორციელება.

კომისიის არსებული მითითებების თანახმად, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო ლონისძიებები შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი შემდეგი საკითხისგან:

- სათანადო ჰაბიტატის აღდგენა ან დეგრადირებული ჰაბიტატის ბიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ნატურა 2000-ის აღიარებულ უბანზე იმ პირობით, რომ ეს აღმატება ტერიტორიის კონსერვაციის მიზნების ჩარჩოს და არ აზიანებს ნატურა 2000-ის სხვა სამიზნე სახეობებსა და ჰაბიტატებს ამ უბანზე;
- შესადარებელი ჰაბიტატის რეკრეაცია ან დეგრადირებული ჰაბიტატის ბიოლოგიური გაუმჯობესება დანიშნული ადგილის გარეთ, რომელიც შემდეგ შედის Natura 2000 ქსელში;
- Natura 2000-ის ქსელში ახალი უბნის დამატება, ხარისხისა და მდგომარეობის შესადარებელი ან უკეთესი, ვიდრე ორიგინალური ადგილი<sup>64</sup>.

ჰაბიტატის ტიპები და სახეობები, რომლებიც განიცდიან უარყოფით ზემოქმედებას, მინიმუმ უნდა კომპენსირდნენ შესაბამისი პროპორციით.

აქ უნდა იყოს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მაღალი რისკების, დეგრადირებული ჰაბიტატების ხელახლა შექმნის მცდელობებთან დაკავშირებული მეცნიერული გაურკვევლობის გათვალისწინებით, მკაცრად რეკომენდებულია, რომ აღდგენილი ტერიტორიების ფართობი და დაზიანებული ფართობების თანაფარდობა 1:1-ზე მეტი იყოს, გამოიყენება, რათა დარწმუნდნენ, რომ ზომები ნამდვილად უზრუნველყოფს აუცილებელ კომპენსაციას.

---

64. This addition must be formally designated by the Member State authorities after EC approval. ეს დამატება ოფიციალურად უნდა იყოს დანიშნული წევრი სახელმწიფოს ორგანოების მიერ EC დამტკიცების შემდეგ.

## **ქართული ტექსტის რედაქტორის შენიშვნა.**

ჰაბიტატების აღდგენის მცდელობა წარმოადგენს ურთულეს, კომპლექსურ და ძვირად ღირებულ ამოცანას. საქართველოში გავრცელებული პრაქტიკა, როგორც წესი, გულისხმობს დაზიანებული ან მოჭრილი ხის ინდივიდების (წითელი ნუსხის სახეობების და სხვა) ხელახლა დარგვის მექანიკურ ვალდებულებას, რაც ვერ იქნება აღიარებული ჰაბიტატის აღდგენად. მაგალითად წითელი ნუსხის რომელიმე ჰაბიტატის წარმომქმნელი ხე-მცენარის მოჭრის სანაცვლოდ, თუნდაც 100 ახალგაზრდა ინდივიდის დარგვა და გახარება, ვერ ქმნის ანალოგიურ ეკოლოგიურ პირობებს, რომელსაც ქმნიდა სანყისი ინდივიდი. მაგალითად ასეთი ინდივიდის ქერქში შეიძლება ბინადრობდნენ, ან ნაყოფებით იკვებებოდნენ ჰაბიტატის დირექტივით დაცული სხვა სახეობები. ახალგაზრდა ინდივიდებს (თუნდაც გახარებულ ინდივიდებს) არ ძალუძს ანალოგიური ეკოლოგიური პირობების შეთავაზება და ვერ უზრუნველყოფენ სხვა სახეობებისთვის მისაღები ჰაბიტატის შექმნას დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

კიდევ უფრო რთული ამოცანაა ჰაბიტატის აღდგენა, რომელიც ასობით და ათასობით მცენარის დარგვას და გახარებას, ან მდინარის ეკოსისტემის აღდგენას შეიძლება გულისხმობდეს. შესაბამისად, ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, კომპენსაციური ღონისძიებების სრულფასოვანი ჩატარება (თუნდაც დირექტივის 6.4 მუხლის გამონაკლისი პირობების დაშვებით) წარმოადგენს ურთულეს ამოცანას და დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. შესაბამისად, პროექტის დაგეგმვის სანყის ეტაპზევე აუცილებელია მაქსიმალური ძალისხმევა, რათა თავიდან იქნას აცილებული დირექტივებით დაცული ჰაბიტატების დაზიანება.

წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ შემთხვევებს როცა, დაგეგმილი საქმიანობის ან პროექტის უარყოფითი შედეგები იგრძნობა მოწყვლად ბუნებრივ ჰაბიტატებზე ან ისეთი სახეობების ბუნებრივ ჰაბიტატებზე, რომლებსაც დიდი დრო სჭირდებათ ეკოლოგიური ფუნქციის აღსადგენად. ზოგიერთი ჰაბიტატისა და სახეობისთვის შესაძლოა უბრალოდ შეუძლებელი იყოს რაიმე დანაკარგის კომპენსირება გონივრულ ვადაში, რადგან მათ განვითარებას შეიძლება ათწლეულები დასჭირდეს.

უფრო მეტიც, ზოგიერთი ჰაბიტატის ტიპის და სახეობის ჰაბიტატის კომპენსირება ვერ მოხერხდება, რადგან მათი ეკოლოგიური მახასიათებლების ხელოვნურად გამეორება შეუძლებელია. ამიტომ, ყოველი ახალი ჰიდროელექტროსადგურის განვითარების მომხრეებმა უნდა გააცნობიერონ კონკრეტული ჰაბიტატის ტიპებისა თუ სახეობების აღდგენის კომპენსაციის შესაძლებლობასთან დაკავშირებული სირთულეები, მანამ სანამ დაიწყებენ გეგმის ან პროექტის შემუშავებას.

და ბოლოს, საკომპენსაციო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს და სრულად ფუნქციონირებდეს დაგეგმილ სამუშაოებზე ან პროექტზე მუშაობის დაწყებამდე. ეს მიზნად ისახავს პროექტის მავნე ზემოქმედების შემცირებას სახეობებსა და

ჰაბიტატებზე მათთვის შესაფერისი ალტერნატიული ადგილების შეთავაზებით კომპენსაციის ზონაში. თუ ეს სრულად არ არის მიღწევადი, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მოითხოვონ დამატებითი კომპენსაცია შუალედური ზარალის ასანაზღაურებლად. ინფორმაცია საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ უნდა წარედგინოს ევროპის კომისიას, როგორც კი ისინი მიღებული იქნება დაგეგმვის ეტაპზე, რათა კომისიას, რომელიც ხელშეკრულებების გარანტიის როლში გამოდის, ჰქონდეს საშუალება შეაფასოს, ადგილი აქვს თუ არა დირექტივის სწორად გამოყენებას.